# საერთო გაზეთი

№4 (316) ● 11 თებერვალი, 2015 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● WWW.SAERTOGAZETI.GE ● ფასი 1 ლარი

**სოსო მანჯავიძე:**
ამ კანონის მიღება არის პირდაპირ ქვეყნის ღალატი, დიახ, ღალატი! აი, ასე დაწერეთ!

**იგორ გიორგაძე:**
მინდა საქართველო გავაფრთხილო...

**სოსო ჯაჭვლიანი:**
იური ვაზაგაშვილს თურმე შვილიშვილიც უნდა წაეყვანა სასაფლაოზე...



**კობა არაბული:**
უტიფართა მიერ ენის ქვეშ გაგდებული და „სანიფხვედ ქცეული“ ქვეყანა

**გრიგოლ გაგნიძე:**
ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი ნაცზონდერებს იფარავს?

**გურამ ადამაშვილი:**
„ნაციონალები“ რეგიონებში ახალგაზრდებისგან „ზონდერბრიგადებს“ ქმნიან?

## საქართველო და ქართული ეკლესია აპოკალიფსის კარიბჭესთან


დენიზა სუმბაძე

უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბატონ ბიძინა ივანიშვილის პოზიციას, რამდენად არის იგი ამ მოვლენების სიღრმეში ჩახედული და ინფორმაციულ ლაბირინთებს დაუფლებული. რამდენად არის გათავისებული მის მიერ ქართველი ხალხის განსაცდელი, როგორც განსაცდელი. გაცნობიერებულია თუ არა მის მიერ რომ ყოველივე ამასთან დაკავშირებით, საფრთხეშია მთელი ქართველი ხალხის სიცოცხლე და მომავალი, და ქართველი ხალხის მხოლოდ დიდ ერთსულოვან შემართებაშია ამ განსაცდელიდან ხსნაც და მისივე საკუთარი დიადი მომავალიც.

**„...საჭიროდ ჩავთვალე, მშველელად ვუხმო ქართველ ხალხს“**

დასასრული. დასაწყისი იხ. „საერთო გაზეთი“ №42-3



**უკრაინის კრიზისი — საით მიექანება მსოფლიო?**

**„აფეთქებს“ თუ არა იური ვაზაგაშვილის ამფეთქებელი სოსანაშვილი „შტერ“ ირაკლი ფირცხალავას?**

**სხვისი შვილები მალში! საკუთარი — სახლში!**



**ნოდარ ნათაძე:**
თუ პუტინი ფართომასშტაბიან ომს დაიწყებს უკრაინის წინააღმდეგ, მაშინ მას თავისი გენერლები მოკლავენ

**„ნაციონალები“ ისევ გვისმენენ?**

**საზღვარს მიღმა აღმოჩენილი ნამდვილი საქართველო**

„მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა...“
ილია

# პატრიოტი

## მსოფლიო პრესის მიხედვით

# მინსკის შეხვედრა უკრაინის საკითხზე და დასავლეთის დამოკიდებულება



რუსეთის, უკრაინის, გერმანიისა და საფრანგეთის ოთხი ლიდერი ბელარუსის დედაქალაქ მინსკში შეხვედრას გეგმავს. შეხვედრას, რომელსაც თან ახლავს აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარე შეუწყვეტელი ბრძოლის აკომპანემენტი, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. რატომ არის საჭირო შეხვედრა, თუკი ამ „ოთხეულმა", როგორც დიპლომატიური წყაროებით ირკვევა, მოსკოვსა და მინსკში ყველა საკითხზე უკვე იმსჯელა?

იმიტომ, რომ არავის სურს, ბელარუსის დედაქალაქი შედეგის მიუღწევლად დატოვოს. მაგრამ ისინი ხომ უკვე შეხვდნენ ერთმანეთს? ამ შეხვედრის შედეგია მინსკის შეთანხმებაც, მაგრამ იგი ახლა ცარიელ ფურცლად იქცა უკვე. კვირას პუტინი ელაპარაკა ბელარუსის პრეზიდენტ ლუკაშენკოს. პუტინმა დაადასტურა, რომ უკვე ელაპარაკა მომავალი შეხვედრის ყველა მონაწილეს, ანუ უკრაინის, გერმანიისა და საფრანგეთის ლიდერებს. თუმცა დასძინა, შეხვედრა გაიმართება, თუკი ყველა მონაწილე შეჯერდება განსხვავებულ მოსაზრებებზე, რომლებსაც ბოლო დღეებში ინტენსიურად განიხილავდნენ.

გერმანელების აზრით, აღმოსავლეთ უკრაინაში სამხედრო კონფლიქტის გაღრმავება აუცილებელს ხდის მინსკში შეხვედრას. დასავლელი ლიდერები და კიევი მოსკოვს ბრალს სდებენ, რომ სეპარატისტებს იარაღს უგზავნიან და ამ შეიარაღებასთან ერთად უკრაინის ტერიტორიაზე აღწევენ რუსი სამხედრო დანაყოფები. რუსეთი, რასაკვირველია, უარყოფს ამას, მაგრამ დასავლელი ლიდერები არ შოშმინდებიან, არ სჯერათ ამის.

მინსკში არ იქნებიან. ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები გასაგებია, რატომაც არა. ზოგიერთი ოფიციალური პირის განცხადებები, რომ აუცილებელია კიევის მთავრობას მომაკვდინებელი იარაღი მიაწოდონ, ბუნებრივია, მინსკის შეხვედრამდე ატმოსფეროს წამლავს. როგორც ჯონ მაკკეინმა კვირას განაცხადა: „ეს მართალია, ტრიუმიზმია, რომ უკრაინის კონფლიქტის მოგვარება სამხედრო გზით ვერ მოხერხდება, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ პრობლემას არ გააჩნია სამხედრო საზომი, რომელსაც შეუძლია კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინოს ჩვენზე მინსკის სამიტის გადაწყვეტილებით".

კანცლერი მერკელი ეჭვობს — ღირს კი უკრაინის შეიარაღება მომაკვდინებელი იარაღით. „პროგრესი, რომელიც სჭირდება უკრაინას, ვერ მიიღწევა იარაღის მეშვეობით", — განაცხადა მან და დასძინა — თუ დასავლეთი უკრაინას იარაღს მიაწვდის, რუსეთმა შესაძლოა აამოქმედოს თავისი სამხედრო-საჰაერო ძალები".

ამერიკის სახელმწიფო მდივან ჯონ კერის განცხადებით, ამერიკასა და ევროპას ერთიანი პოზიცია აქვთ დიპლომატიური ზომების შესახებ. „მინდა, ყველამ იცოდეს, რომ ჩვენ შორის არანაირი უთანხოება და განხეთქილება არ არის", — ეს განცხადება კერიმ მიუნხენის კონფერენციაზე გააკეთა. კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ უკრაინის კრიზისის სამხედრო გზით გადაჭრა არ არსებობს და უკრაინის საზღვრები ძალის გამოყენებით ვერ შეიცვლება. და დასძინა: რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება კონფლიქტი, იძულებული გავხდებით, გავზარდოთ ამის ფასი რუსეთისთვისაც და მისი მოკავშირეებისთვისაც.

ვაშინგტონში განწყობილებები, რა თქმა უნდა, უფრო „მამლაყინწურია", ვიდრე მიუნხენში. ატლანტიკური კავშირის ახალი მოხსენება, რომელიც მისმა ყოფილმა ექვსმა წევრმა დაწერა, 3 წლის განმავლობაში უკრაინის სამხედრო აღჭურვაზე 3 მილიარდის დახარჯვას სთავაზობს. ამ მოხსენებაში სხვა იარაღთან ერთად ნახსენებია ტანკსაწინააღმდეგო რაკეტებიც. „მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კრემლს ეცოდინება, რა რისკი ელოდება უკრაინაში სამხედრო ჩარევის გაფართოების შემდეგ, იგი მისაღები პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღწევას შეეცდება", — ვკითხულობთ მოხსენებაში. არადა, პრეზიდენტი ობამა ეწინააღმდეგება უკრაინაში აქტიურ ჩარევას.

სამხედრო ანალიტიკოსი ჯეი კონრად მუცუკა წერს: ამერიკული იარაღის გაგზავნას შეუძლია წააქეზოს რუსეთი ასეთივე საქციელისთვის. უფრო მეტიც — ეს ერთგვარად შეიძლება თავის გასამართლებელიც კი აღმოჩნდეს რუსეთის პრეზიდენტისთვის, რომელიც უკრაინულ არმიას ნატოს ლეგიონს უწოდებს. თუ რუსეთის პრეზიდენტი საყოველთაო მობილიზაციას გამოაცხადებს და უკრაინაში რუსეთის შეიარაღებულ ძალებს გაგზავნის, უკრაინას ამერიკის შეერთებული შტატების ვერანაირი შეიარაღება ვეღარ უშველის.

**მელორ სტურუა**

# უკრაინის კრიზისი გლობალური ხდება — საით მიექანება მსოფლიო?

**ამერიკაში სულ უფრო ხმამაღლა ისმის მოწოდებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეაიარაღონ კიევი. უკრაინის უკიდურესად გამწვავებული კონფლიქტით შეშფოთებული არიან მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების ლიდერები, რომლებიც საგანგებო შეხვედრებს მართავენ, ექსპერტები მსჯელობენ და ვარაუდებს გამოთქვამენ, მასმედია მიმდინარე პროცესებს თვალს ადევნებს: ორშაბათს მერკელი ობამას შეხვდა, პუტინი არ აპირებს თავისი სტრატეგიის შეცვლას, მიუნხენში ლავროვის აბსურდული განცხადებები დასაცინი გახდა, შესაძლოა, მინსკის სამიტს დადებითი ძვრები მოჰყვეს...**

### რა წყენა დაუგროვდა პუტინს დასავლეთის მიმართ?

გამოცემა აქვეყნებს ამ ნუსხას:

1. ნატოს გაფართოება. პუტინს კარგად ახსოვს ნატოს გენერალური მდივნის მანფრედ ვერნერის 1990 წლის განცხადება — ჩვენს ძალებს გერმანიის აღმოსავლეთით არ განვალაგებთო, და საბჭოთა კავშირს უსაფრთხოების გარანტიები მისცა. პუტინი ნატოს შემდგომი გაფართოების საფრთხეს ყირიმის ანექსიის გასამართლებლად იყენებს.



2. გამარჯვება „ცივ ომში". პუტინი და ბევრი რუსეთელი დარწმუნებულია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დასავლეთმა ისარგებლა რუსეთის სისუსტით და მოახდინა დასავლური ტრადიციებისა და ფასეულობების ექსპორტი და უგულებელყო რუსული. პუტინის აღშფოთებას იწვევს ნატოს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემებიც.

3. საქართველო, უკრაინა და ნატო. ამ ქვეყნების ნატოში შესვლის პერსპექტივამ გაამწვავა რუსეთისა და დასავლეთის დაპირისპირება და მას სრულიად ახალი დონე შესძინა.

4. ლიბია. ანალიტიკოსთა აზრით, გაეროს რეზოლუცია, ლიბიაში არასაფრენი ზონის შესახებ რუსეთსა და ამერიკას შორის განხეთქილების ერთ-ერთი ბიძგი გახდა. მოსკოვის აზრით, დასავლეთმა ისარგებლა ამ დოკუმენტით და ლიბიაში რეჟიმის ცვლილების პროვოცირება მოახდინა.

**Financial Times**

### ახალ მსოფლიო ომს ახალი „ცივი ომი" სჯობს

მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციის წინაშე იდგა დილემა უკრაინის შესახებ. ყველა ერთნაირად ფიქრობს, რომ რუსები ცრუობენ და არ აპირებენ შეასრულონ დაპირებები ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და იმავდროულად, საერთო აზრი ვერ გამონახეს, თუ როგორ უნდა იმოქმედონ.

ეგრეთ წოდებული „სამოქალაქო ომი" უკრაინაში — ხელოვნური კონფლიქტია, რომელსაც ხელმძღვანელობენ რუსული უშიშროების ორგანოები. ამ ომის მიზანია, ხელი შეუშალონ უკრაინას გახდეს ევროპის აყვავებული ქვეყანა, რადგან ამით იდეოლოგიური საფრთხე ექმნება პუტინიზმს.

დასავლეთს სჭირდება ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილი სტრატეგია, რომელიც განამტკიცებს უკრაინის სახელმწიფოებრიობას და უკრაინის ევროპაში ინტეგრაციას. საჭიროა, დონეცკს შემოვარტყათ „ბერლინის კედელი" დემილიტარიზებული ზონის სახით, დანარჩენ უკრაინას კი ისევე მოვექცეთ, როგორც დასავლეთ გერმანიას.

თუ უკრაინა დამარცხდება, გათამამებული პუტინი მიადგება შემდეგ „გაყინულ კონფლიქტს". არ გვჭირდება ახალი „ცივი ომი", მაგრამ ისევ ეს სჯობს ახალ მსოფლიო ომს, რომელსაც ვერ ავიცილებთ, თუ საამისოდ სერიოზულ სტრატეგიას არ შევიმუშავებთ.

**T**

### ომის პროვოცირება რუსეთთან „სხვისი ხელით"

გერმანია ეწინააღმდეგება უკრაინული არმიისთვის იარაღის მიწოდებას, ამიტომაც შესაძლოა ამერიკაში გაძლიერდეს წნეხი პრეზიდენტ ობამაზე. შტატებში სულ უფრო იზრდება მაღალჩინოსანი სამხედროებისა და სახელმწიფო დეპარტამენტის მოხელეთა რიცხვი, რომლებიც უერთდებიან რესპუბლიკელი კონგრესმენების მოწოდებას უკრაინის შეიარაღების შესახებ. ამბობენ, რომ ობამა ამის წინააღმდეგია.

ორშაბათს მერკელმა და ობამამ ამ საკითხზე იმსჯელეს; ამერიკის სახელმწიფო მდივანი კერი იმედს გამოთქვამს, რომ ობამა ამ შეხვედრის შემდეგ მალევე მიიღებს გადაწყვეტილებას.

თუ მერკელი მიანიშნებს, რომ საჯაროდ არ გაკიცხავს ცალკეულ ქვეყნებს უკრაინის შეიარაღების გამო, ობამა იარაღის მიწოდებაზე სანქციას არ გასცემს. თუ მერკელი იარაღის ცალმხრივად მიწოდების წინააღმდეგი იქნება, ობამა თავის გადაწყვეტილებას დაასაბუთებს მერკელის მიბაძვით და მოიყვანს არგუმენტს, რაოდენ მნიშვნელოვანია პუტინის წინააღმდეგ ერთიანობა და რამდენად სახიფათოა „სხვისი ხელით" ომის პროვოცირება რუსეთთან.

უკრაინის შეიარაღებას საჯაროდ ეთანხმებიან ევროპაში ამერიკის ჯარების სარდალი გენერალი ბრიდლავი, ეშტონ კარტერი, რომელსაც ობამა ამერიკის თავდაცვის მინისტრობაზე რეკომენდაციას უწევდა, აგრეთვე ამერიკის ყოფილი ელჩები უკრაინასა და ნატოში.



ზოგიერთი ამერიკელი სამხედრო და დაზვერვის თანამშრომელი ვარაუდობს, რომ პუტინის ახლანდელი ამოცანაა სახმელეთო დერეფნის შექმნა რუსეთსა და ყირიმს შორის მარიუპოლის გავლით. ახლა რუსეთი სეპარატისტებს უფრო ხარისხიან შეიარაღებას აწვდის, განსაკუთრებით — კავშირგაბმულობისა და სათვალთვალოს, აგრეთვე ჰაერსაწინააღმდეგო დაცვისთვის. ყოველივე ეს დასავლეთს ახალ ამოცანებს უსახავს. მხოლოდ ყველაზე თანამედროვე ტექნიკის მეშვეობით თუ შეაჩერებენ იმას, რასაც რუსეთის მოკავშირეები უკრაინაში იყენებენ, და თუ ასეთ ტექნიკას გაგზავნიან უკრაინაში, არსებობს მათი ხელში ჩაგდების რისკი — კორუმპირებული და ლოიალური უკრანელები მას მოწინააღმდეგეს მიჰყიდიან.

**Bloomberg**

„საერთო გაზეთი"
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა საშობლოში"; ტელ.: 599 95 31 90

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი ნაცზონდერებს იფარავს?



„საერთო გაზეთი“ უფლებადამცველ **გრიგოლ გაგნიძეს** ესაუბრა.

**— ბატონო გრიგოლ, უზენაესი სასამართლოს თავჯდომარის პოსტზე წარმოდგენილი იყო რამდენიმე კანდიდატი, რისი მიხედვით შეირჩნენ ეს ადამიანები, რას გვეტყვით მათზე?**

— დავიწყებ იმით, რომ პრეზიდენტმა და პარლამენტმა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგენითა და დანიშვნით კონსტიტუცია არ უნდა დაარღვიონ, კერძოდ, აბსოლუტურად ანტიკონსტიტუციურია, როდესაც პრეზიდენტი გარკვეულ კრიტერიუმებს აწესებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის დანიშვნასთან დაკავშირებით. იგი, ძირითადად, აპელირებს, რომ კანდიდატი აპოლიტიკური უნდა იყოს, ამასთანავე წარსულშიც არ უნდა ჰქონდეს პოლიტიკასთან შეხება, ეს კრიტერიუმები აშკარად ანტიკონსტიტუციურია და პრეზიდენტი აშკარად შეიძლება ითქვას, ბოროტად იყენებს მის კონსტიტუციურ უფლებას დაასახელოს და პარლამენს წარუდგინოს კანდიდატები, მის მიერ გაჟღერებული კრიტერიუმების შესაბამისად, მაგ: ის რომ კანდიდატი პოლიტიკური გუნდიდან არ უნდა იყოს ან პოლიტიკური წარსული არ უნდა ჰქონდეს, არც კონსტიტუციაში და არც სხვა რომელიმე კანონში წერია, ამიტომ რატომ უნდა შეიზღუდოს დავუშვათ პარტიული ?? თუ რომელიმე კანდიდატი პარტიულია, არჩევის შემთხვევაში იგი დატოვებს პარტიას, თუ ასეთი კანდიდატი იქნება. ამასთანავე, უფრო მზაკვრული და საზოგადოებისათვის თვალში ნაცრის



ზაზა ხატიაშვილი



გოგა ონიანი

შეყრა იქნება, თუ ისეთი კანდიდატის შეთავაზება მოხდება პარლამენტზე, ვისაც წარსული პოლიტიკური გუნდი აქტიურად აწინაურებდა.!!!

**ვერ ვნახავთ ვერც ერთ კანდიდატს, ვისაც პირდაპირი ან ირიბი შეხება არ ჰქონდეს ამა თუ იმ პარტიასთან ან პოლიტიკურ გუნდთან. გვინდაარ გვინდა ჩვენ ასეთ რეალობაში ვცხოვრობთ.**

რაც შეეხება კანდიდატებს, როგორც ვიცით, თბილისის ი.ვ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა წრეებმა, პროფესორებმა დაასახელეს იურიდიული ფაკულტეტის დეკანი ირაკლი ბურდული, რომელზეც მაქვს ინფორმაცია, რომ იგი ნაცმოძრაობის რეჟიმის მაღალჩინოსნების მიერ არის წარსულში დაწინაურებული და ამჟამად დასახელებულია და წარდგენილი პრეზიდენტთან. კონკრეტულად კი ირაკლი ბურდული 2005 -2008 წლებში იყო უზენასი სასამართლოს თავმჯდომარის კონსტანტინე კუბლაშვილის თანაშემწე და მრჩეველი, 2008 წლიდან იგი უნივერსიტეტში დეკანის თანამდებობაზე წარადგენილ იქნა ზურა ადეიშვილისა და ვანო მერაბიშვილის რეკომენდაციით, რომელიც უნივერსიტეტის პრორექტორ ლევან ალექსიძის მიერ დანიშნული იქნა იურიდიული ფაკულტეტის დეკანად.

მინდა კიდევ ერთხელ შევახსენო ხელისუფლებას, არ მოხდეს შეცდომა და არ დაინიშნოს ისეთი თავმჯდომარე, ვინც ხელს დააფარებს „ნაცმოძრაობის“ დროს „მოღვაწე“ დამნაშავე მოსამართლეებს, სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომა ისევ სასამართლომ უნდა გამოასწოროს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამართლიანობის აღდგენა მითად დარჩება და ამ ყველაფერს რა შედეგიც მოყვება, თავად და საზოგადოებამ განსაჯოს.

**— რა პირობას უნდა აკმაყოფილებდეს პიროვნება, რომ ის უზენაესი სასამართლოს თავჯდომარედ დაინიშნოს?**

— ადვოკატებმა ამ პოსტზე ზაქარია ქუცნაშვილის კანდიდატურა დაასახელეს, მათ შორის, მეც, ჯერ კიდევ იანვარში. ის წარმატებული ადვოკატი იყო, ახლაც წარმატებული იურისტია და ვფიქრობ, რომ უზენაესი სასამართლოს თავჯდომარესთვის შესაფერისი კადრია. უზენაესი სასამართლოს თავჯდომარე ქუცნაშვილის მსგავსი კანდიდატი უნდა იყოს.

ბოლო ერთი წლის განმავლობაში სასამართლოს ხელმძღვანელობამ აქტიურად დაიწყო თანამშრომლობა ადვოკატთა კორპუსთან, პრესკონფერენციებით და ა.შ. ეს კარგია, მაგრამ ვფიქრობ, არადროულია. ეს დაემსგავსა კუბლაშვილისა და მისი კონტინგენტის ( ვინც ჰყავს იქ კოლეგიაში, იგივე მოადგილეები), გადარჩენის მცდელობას. ადვოკატთა კორპუსი მათ, რატომღაც, 2004 წლიდან 2010- 2011 წლამდე არ გახსენებიათ, სასამართლო ხელისუფლება აბსოლუტურად იგნორს გვიკეთებდა, არაფრად გვაგდებდა იმ პერიოდში. ვფიქრობ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ყოფილი ადვოკატი უნდა იყოს, ვინაიდან ადვოკატებმა უფრო კარგად ვიცით, რა პრობლემებისა და გამოწვევების წინაშე იდგა წარსულში სასამართლო და დგას დღესაც.

**—ადვოკატთა ასოციაციამაც წარმოადგინა კანდიდატი ამ პოსტზე...**

— დიახ, დათო ასათიანი. ის არის ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ადვოკატების გაერთიანების ხელმძღვანელია, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო არჩევნებში ადვოკატთა ასოციაციის საბჭოს წევრად გავიდა. ის, რა თქმა უნდა, კვალიფიციური იურისტი და კარგი ადვოკატია, მაგრამ ჩემი ინფორმაციით, ის დავით სააკაშვილის ახლო მეგობარი იყო, დიახ, ის წლების განმავლობაში მიშა სააკაშვილის ძმასთან მეგობრობდა, კიდევ ვიმეორებ, ირიბად თუ პირდაპირ ისეთი კატეგორიის ადამიანის არჩევა, ვინც სამართლაინობის აღდგენას შეაფერხებს, არ შეიძლება.

**— საქართველოს ამჟამად უამრავი ადვოკატი ჰყავს, ამ ხალხს ჩაბარებული აქვს ტესტები ადვოკატთა ასოციაციაში, შესაძლოა, სრულიად კანონიერად, მაგრამ ადვოკატობის უფლება აქვს ძალიან ბევრ ყოფილ პოლიციელს, ყოფილ პროკურორსა და ნაცზონდერებს, მაგალითად, გოგა ონიანი. რამდენად სწორია, რამდენად მიზანშეწონილია ასეთი ადვოკატების არსებობა საქართველოში ?**

— აქ პრობლემა იმაში არ არის, რომ ადვოკატთა ასოციაცია გამოცდებს ატარებს და სერთიფიკატს გასცემს. აქ არის ერთი რამ: ადვოკატთა ასოციაციამ წინა წლებში არ მოინდომა და იმედია, მომავალში მაინც მოინდომებს, რომ პარლამენტში შეიტანოს კანონპროექტი, რათა გარკვეული ცვლილებები შევიდეს კანონში საქართველოს ადვოკატთა შესახებ. აი, პრობლემა აქედან მოდის. ანუ როდესაც სახელმწიფო უწყებიდან მოდის პიროვნება, ეს ყოფილი გამომძიებელი, პროკურორი, თუ თუნდაც სხვადასხვა უწყების იურისტი იქნება, მან უნდა წარმოადგინოს დოკუმენტი, რომ მის მიმართ, დავუშვათ, რაიმე დისციპლინარული კვლევა ან გენერალური ინსპექციის მიერ კვლევა არ ხდება. პლუს ამას კიდევ სამი წელი მაინც არ უნდა გახდეს პირი ადვოკატი, სამი წელი უნდა იყოს სტაჟიორი ჩემი აზრით. ამჟამად ერთწლიანი სტაჟირება არის აუცილებელი ადვოკატისა, რომ შემდეგ ის ადვოკატი გახდეს. აი, ეს არის ჩასაწერი კანონში... ეს ჩემი მოსაზრებაა, რაზეც მე ბატონ ზაზა ხატიაშვილს ვესაუბრე წინა წლებში, მან მიპასუხა, პარლამენტი ამას მაინც არ გაიზიარებსო. მე ვუთხარი, არ გაიზიარებს რა, ჩვენ ვცადოთ-მეთქი. თქვენ სცადეთ კაცო, არა? სამწუხაროდ, არ ეცადა. არადა, ეს რომ გაკეთებულიყო, აი, რაც თქვენ ბრძანეთ ახლა - ონიანების მსგავსი ზონდერების შემოდინება ადვოკატთა ასოციაციაში არ მოხდებოდა. ონიანმა და მისთანებმა ტანჯულის მანტია მოისხეს და ადვოკატობენ... გარკვეული ბარიერები ხომ უნდა იყოს, არა? ვიმეორებ, მინიმუმ სამი წელი, თუ პირს რაღაც გადაცდომა აქვს, არ უნდა იქნეს მიღებული ადვოკატთა ასოციაციაში, ასევე, რა თქმა უნდა, თვითონ ადვოკატის მენტალობა სხვა არის და პროკურორისა და პოლიციელის მენტალობა მაინც სხვა არის, მინიმუმ 5- 6 წელი უნდა, რომ ადამიანი ჩამოყალიბდეს ადვოკატად.

**— ანუ ხატიაშვილს ონიანის დაბლოკვა არ შეეძლო?**

— ხატიაშვილი იძახის, ონიანი ადვოკატთა ასოციაციაში არ მივიღეო, რის შემდეგაც მან ეს სასამართლოში გაასაჩივრა და სასამართლომ დამაკისრა მისი მიღებაო. სიმართლე გითხრათ, მე სასამართლოს გადაწყვეტილება არ მინახავს. მე ვიცი, რომ მან რამდენიმე ყოფილი პროკურორი არ მიიღო და მათ სასამართლოთი აღადგენინეს ადვოკატობა ხატიაშვილს. ონიანთან მიმართებაში ასე აცხადებს, მაგრამ ვიმეორებ, მე სასამართლო გადაწყვეტილება არ მინახავს.

**— ბევრგან გამიგია, რომ ზაზა ხატიაშვილი ზონდერებს იფარავს... ხვალ რომ რომელიმე მათგანი დააკავონ, ადვოკატთა ასოციაცია, ცხადია, ხმას ამოიღებს მათ დასაცავად...**

— დიახ, მეც მსმენია მსგავსი რამ...ყოფილ პროკურორზეა კიდევ საუბარი. რა არის იცით, თვითონ კანონი არ არის დახვეწილი, რომ კანონით ბერკეტი მიეცეს ადვოკატთა ასოციაციას ასეთი ხალხის დაბლოკვის, გარკვეული პერიოდი მაინც, ადვოკატთა ასოციაციაში მათი არ გაწევრიანების.

მაგრამ აქაც არის ერთი მაგრამ, გასაგებია, ის რომ კანონით ვერ ბოჭავ, დავუშვათ, ზონდერს თუ ყოფილ პოლიციელს, მაგრამ მეორეა კიდევ ის, თუ რას აკეთებ ამისთვის? დიახ, რას აკეთებს იმისთვის საბჭო, რომ ადვოკატთა ასოციაციაში ზონდერების შემოდინება არ მოხდეს? ასე რთულია, რომ მოამზადოს საკანონმდებლო ცვლილება და წარუდგინოს პარლამენტს?

**ქეთი ხომერიკი**
592 53 53 03

# სოსო ჯაჭვლიანი:

# იური ვაზაგაშვილს თურმე შვილიშვილიც უნდა წაეყვანა სასაფლაოზე... ხომ წარმოგიდგენიათ, რა უმართავი პროცესები შეიძლებოდა დაწყებულიყო, იმ დღეს იურასთან ერთად ბავშვიც რომ დაღუპულიყო

***სოსო ჯაჭვლიანს პარლამენტში ვესტუმრე. როგორც თავად უწოდებს „ეშმაკის ყუთში" ინფორმაციებს ეცნობოდა და აღშფოთება ვერ დამალა:***

— საზოგადოებაში უკმაყოფილებაა, ვინ დაიყენა გვერდით ივანიშვილმა, ეს რა ხალხი ჰყავს პარლამენტშიო. მინდა მათ გასაგონად ვთქვა: პოლიტიკაში მოსასვლელად არასდროს ვიქაჩებოდი, მხოლოდ ჩემს აზრს გამოვხატავდი, მაგრამ პოლიტიკა, თითოეულ იმ ადამიანთან, ვისაც ხალხი საყვედურობს პოლიტიკაში რა უნდათო, თვითონ მოვიდა. მე კი არ მინდოდა პოლიტიკა, იგი ჩემთან თვითონ მოვიდა. რატომ უკვირთ, ბატონმა ბიძინამ თანამებრძოლები თუ ამოიყენა გვერდით. მაგრამ იცი რა არ მომწონს? — მან თქვა, უფალი ხომ არ ვარ, მოდით ფუნქციები გადავინაწილოთ და ყველამ თავის საქმე გააკეთოსო. ბევრმა ფუნქცია სწორად ვერ გადაინაწილა. სამართლიანობის აღდგენა, ჩამორთმეული ქონებების დაბრუნება ძალიან ნელი ტემპით მიდის, რაც მოსახლეობაში გაღიზიანებას იწვევს, რადგან უსამართლოდ დაჩაგრული ხალხი ვერ იცდის იმდენ ხანს, რამდენსაც მათგან მთავრობა ითხოვს.



არ შემიძლია იური ვაზაგაშვილის მკვლელობას არ შევეხო. იგი, ვისაც სამართლიანობის აღდგენა, რეჟიმის შეცვლა უნდოდა, ყველას მეგობარი იყო. გარდაცვალებამდე სამი კვირით ადრე ვნახე, გახარებული იყო ყველაფერი დალაგდებაო. როცა ეს უბედურება მოხდა, უცხოეთში გახლდით. თურმე, იურა სოფელში შვილიშვილთან ერთად ყოფილა და საფლავზე მის გაყვანასაც აპირებდა. ბავშვს უთქვამს სახლში დავრჩებიო. წარმოგიდგენიათ, რა დონის ქაოსზე იყო გათვლა, ბავშვი აფეთქებას შემთხვევით გადაურჩა. ქვეყანაში დიდი ქაოსის დაწყება იყო გათვლილი.

**— სოსო, თქვენ ამბობთ, რომ ამ მკვლელობით ქვეყანაში არეულობის დაწყება იგეგმებოდა?**

— აბა რააა, ბავშვი ბაბუას საფლავზე რომ წაჰყოლოდა, ახლა ცოცხალი აღარ იქნებოდა. ხვდები, ამას რა მოჰყვებოდა?! რაც მოხდა მხოლოდ მაფიოზურ ფილმებში თუ გვინახავს. მახსოვს, ერთხელ, რუსეთში ააფეთქეს კაცი სასაფლაოზე მაფიოზური გარჩევების დროს, აქ კი მამა შვილის საფლავზე დააკლეს. ეს დიდ ქაოსზე იყო გათვლილი, ვულკანივით უნდა ამოხეთქილიყო, რათა ადამიანების რისხვა ველარ შეკავებულიყო. მინდა, დიდი მადლობა ვუთხრა ია მეტრეველს, სოსო რობაქიძეს და სხვებს, რომელთაც მოქმედებებმაც მოსალოდნელი არეულობის მუხტი ჩააცხრეს. ეს დიდი ამბავია.

ადრეც გითხარი, თავიდანვე რამდენიმე დიდი შეცდომა დავუშვით, სააკაშვილს პარლამენტი გავახსნევინეთ, არადა პანდურით გარეთ უნდა გაგვეგდო, ბარამიძე უნდა დაგვეჭირა, ის 26 ათასი ფაილი კი საჯაროდ კინო-თეატრებში უნდა გვეჩვენებინა. ნაცებმა რომ დაინახეს ყველაფერი რა კარგად წავიდა — მკვლელობებში დამნაშავე პირი სპიკერად დავნიშნეთ, სააკაშვილს ვერაფერი დავაკელით, 26 ათასი ფაილი ვითომ დავწვით, გაბლატავდნენ და გაღმა შეედავე გამოღმა შეგრჩებას პოზაში ჩადგნენ. ამ დროს, ვიცი, ჩვენი ამომრჩეველი განაწყენებულია, მათ „ნაციონალები" არ მოსწონთ, გამორიცხულია მათ მხარეზე დადგნენ, მაგრამ ჩვენს მიმართაც პროტესტი აქვთ, დიდი ნაწილი კრიტიკულადაა განწყობილი.

ჩვენი საუბრიდან გამომდინარე, მკითხველი იფიქრებს: რამდენი რამე მოყვა ამ ჯაჭვლიანმა, კრიტიკულადაა განწყობილიო. დიახ, კრიტიკულად ვარ განწყობილი. თუ გუნდს სიმართლე არ ვუთხარი, მაშინ მათი მტერი ვყოფილვარ. არსად ვაპირებ წასვლას, ყოველთვის ვეცდები თუ ვინმე შიგნით, ხელისშემშლელია, ის წავიდეს. მე ხალხში დავდივარ და მათი განწყობის მუხტიდან გამომდინარე ვსაუბრობ ასე.

**— „ნაცები" კვლავ უსაფრთხოდ გრძნობენ თავს და აქეთ დაობენ, აბა, მტკიცებულებები გვაჩვენეთო. რატომ უჭირს უმრავლესობას კომპეტენტური პასუხის გაცემა, გადავახვიოთ ჩვენი ტელევიზიების ორი თვის წინანდელი ჩანაწერები და უამრავ მტკიცებულებას აღმოვაჩენთ.**

— კი ბატონო, გეტყვი. მოდი, ფრჩხილები გავხსნათ, არ გვინდა ენის მოჩლექვით ლაპარაკი. რაზე ვსაუბრობთ, როცა მართლა უამრავი სატელევიზიო გამოსვლა არსებობს, რითაც შეგიძლია საქმე აღძრა და მათზე ძებნა გამოაცხადო. თუ რატომ არ ხდება ასე, ამაზე სერიოზული კითხვები მაქვს. ბარამიძე მთელი წელია იხვეწება დამკითხეთო და ყურადღებას არავინ აქცევს, რატომ? ამაზე ჩემს აზრს მოგახსენებთ და ვინც წაიკითხავს, არავინ შემეკითხოს



საიდან იცი ყოველივეო. კერძოდ, გადავხედოთ, ვინ ინიშნება უკრაინაში მაღალ თანამდებობებზე. ჩნდება კითხვა — რა ხდება? თანაც, ეს მძარცველები ისეთ თანამდებობებზე მოყუჩდნენ, მათი შემოსავლები უფრო გაასმაგდება და მერე ფულით ყველაფერს გააკეთებენ რაც მოესურვებათ. რა ხდება, რატომ გვიწყობენ ამას, რატომ გვაღიზიანებენ. რას ნიშნავს ეს? — ვისაც ვეძებ, ვინც დამღუპა, ოჯახი ამირია, დამაქცია, შენ რატომ იფარავ? რატომ უკვირთ ნაცებს, როცა შსს მინისტრი საფრთხეებზე საუბრობს. საფრთხე ხომ მართლა გვემუქრება და რატომ ვიბრმავებთ თვალებს? უკრაინას, მათ პრეზიდენტს, რუსეთს, ირანს, თურქეთს ყველას უნდა ველაპარაკოთ, მათთან ჩავიდეთ და გავარკვიოთ, რაშია საქმე, ვიკითხოთ რა ხდება?

**— თქვენი აზრით, რა ხდება?**

— პირდაპირ ვთქვათ: ნაციონალების უკრაინაში მაღალ თანამდებობებზე დანიშვნა, სააკაშვილის ხათრით კი არ ხდება, ეს გარკვეული ძალების ინტერესშია. სააკაშვილზე უამრავი სამხილი, ფაქტი არსებობს. რატომ არ იჭერენ მას, ეს კითხვა საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს უჩნდება.

**— თქვენ რა პასუხი გაქვთ, რატომ არ იჭერენ?**

— იმიტომ, რომ არსებობს რაღაც ისეთი იდუმალი გარკვეული ძალები, რასაც ჩვენთან ანგარიშს უწევენ.

ქუჩაში ძალიან ბევრ ადამიანს ვხვდები და პირველი, რასაც მეკითხებიან — გაშანტაჟებენ, სიმონო. ვინ-მეთქი რომ ვეკითხები, მპასუხობენ — თქვენზეც ხომ არ არის გადაღებული 26 ათასი ფაილიდან კადრები, ხმას რომ არ იღებთო. მე ვერავინ დამაშანტაჟებს.

**— ანუ ხალხს უკვირს ხელისუფლების არაადეკვატური ქმედებები?**

— ხო, ხმას რატომ არ იღებთ, „ნაციონალები" ასე კომფორტულად რატომ გრძნობენ თავსო. მე რა, ხმა არ ამომიღია? ამ ორი წლის მანძილზე ხმას არ ვიღებდი? ყველამ ხომ იცის 1 ოქტომბრამდე ვინ როგორ იქცეოდა. ის, ვინც ცემდა, კლავდა, აწამებდა რომ წინაურდება, ამაზე ხალხი ღიზიანდება. ჩვენს თანამებრძოლს რატომ ვაღიზიანებთ?!

**— ხელისუფლება მუდმივად თავის მართლების რეჟიმშია, ხალხი ამ შოუებით დაიღალა. „ნაციონალები" იქით ტუქსავენ ხელისუფლებას, ბევრს რომ ლაპარაკობთ, აბა, გვაჩვენეთ, სად გვაქვს საბურავებიო.**

— ჩემს ირგვლივ უამრავი ადამიანია, რომელიც 1 ოქტომბრიდან დღემდე სამსახურის გარეშეა, ისინი მინისტრობას ხომ არ ითხოვენ?! იმ ხალხზე ვსაუბრობ, ვინც თავი გასწირა, ეს ხომ უნდა დაალაგო არა. ეს გუნდმა უნდა გააკეთოს. ამ ხალხს ელემენტარული მაინც ხომ უნდა გავუკეთოთ, ისინი მაშინ ოჯახს, შვილს წირავდნენ, შენს ირგვლივ ტრიალებდნენ. ბოლოს ხომ იტყვის ეს ხალხი — რა ხდება, ვინც დამალული იყო, ხმას არ იღებდა, ჯოხს მირტყამდა, ისინი პარპაშებენო. ამიტომაც აქვს ხალხს უსამართლობის განცდა, ამაზე უნდა დავფიქრდეთ. ჩვენს თანამებრძოლებს, რომელთაც ჩვენთან ერთად გოლგოთის გზა გაიარეს, ნუ გავაღიზიანებთ. ამიტომ, ჩემო ლამაზო და კარგო მთავრობავ, ჩემო პარლამენტო, კოალიციავ, ეს კრიტიკა უნდა მივიღოთ, სხვანაირად უნდა ვიმოქმედოთ, სხვანაირი შეტევა უნდა განვახორციელოთ. ილაპარაკონ რამდენიც უნდათ. ერთი რამ მინდა — პარლამენტში არ იყოს შეურაცხყოფები, გაიძახიან რუსეთი თქვენი დედა, მამა, ძუძუაო. იცი, რატომ ამბობენ ასე? — ხალხზე აქვთ გათვლილი, უნდათ აჟიოტაჟი გამოიწვიონ. ბოდიში და ბოზი პატიოსანს რომ ეტყვის, ბოზი ხარო, ისე გამოუდით. ეს, მერე, საზოგადოებაზე მოქმედებს, ხალხი გვეუბნება უნიათოები ხართო.

სააკაშვილი იძახის არჩევნებს ვერ დაველოდები, ისე მოვდივარო. მარტო ამისთვის უნდა დაიჭირო. ე.ი. რევოლუციით მოდის ხომ და უნდა დაიჭირონ. რატომ არ იჭერენ, ყველას ვეკითხები შიგნითაც და გარეთაც. იძახიან, გიჟი თავისუფალიაო. მაგრამ სააკაშვილი გიჟი არაა, იგი გველზე დამყნობილი მორიელია.

**— სოსო, ხელისუფლების დისკრედიტაციის მცდელობაში მას-მედიაც ჩართულია. თუ კარგად დავაკვირდებით, არსებულ ხელისუფლებაზე სტრუქტურუ-**

6 gv.

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ექსკლუზიური ინტერვიუ
**იგორ გიორგაძესთან**

# იგორ გიორგაძე: მინდა საქართველო გავაფრთხილო...



> **იგორ გიორგაძე: „ჩვენ ჯერ სრულად არ გვაქვს გაცნობიერებული, როგორი კატასტროფისგან და ჭირისგან იხსნა ბიძინა ივანიშვილმა ქვეყანა უსისხლოდ“.**

**— ბატონო იგორ, 20 იანვარს საკუთარი შვილის საფლავზე იური ვაზაგაშვილი ააფეთქეს. თქვენი აზრით, ვინ დგას ამ დანაშაულის უკან, როგორია თქვენი ვერსია?**

— უპირველეს ყოვლისა, მსურს გულწრფელად თანავუგრძნო მხეცურად მოკლული იური ვაზაგაშვილის მეუღლეს, ქალბატონ ციალას და ვაჟს ჯაბას. იური ვაზაგაშვილის ოჯახი ჩემი დის და სიძის მეზობლები და ახლო მეგობრები არიან.

**ვინც არ უნდა ყოფილიყო იური ვაზაგაშვილის მკვლელობის დამკვეთი და უშუალო შემსრულებელი, ისინი არიან სატანისტები. ეს იყო რიტუალური მკვლელობა.** უფრო მეტი მკრეხელობა, ვიდრე ის, რომ სააკაშვილის ზონდერების მიერ 2006 წლის 2 მაისს უდანაშაულოდ მოკლული შვილის საფლავზე მამა ააფეთქო, წარმოუდგენელია.

რაც შეეხება ვერსიას, თუ ვინ დაგეგმა და განახორციელა, ვის ხელეწიფებოდა ეს და ა. შ. არ მსურს ამ ტრაგედიით სპეკულირება, ან ვინმეს პიარი და მოგონილი მოსაზრებები. ერთ რამეში დარწმუნებული ვარ: ეს ყველაზე მეტად არ აწყობდა მმართველ პოლიტიკურ ძალას. ყველას გვახსოვს, რა ხდებოდა სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში. როცა მისი პირადი ბრძანების საფუძველზე აწამებდნენ და ხოცავდნენ ადამიანებს; გვახსოვს როგორ მოკლეს ზურაბ ვაზაგაშვილი, ალექსანდრე ხუბულოვი, სანდრო გირგვლიანი, ამირან რობაქიძე, გურამ შარაძე, გიორგი გამცემლიძე, ძმები აფრასიძეები და სხვები, და, რა თქმა უნდა, ზურაბ ჟვანია და ბადრი პატარკაციშვილი.

**— საქართველოს მედიასაშუალებებში თქვენს შესახებ დიდი ხანია არაფერი გამოქვეყნებულა. რაშია საქმე? პოლიტიკას გაემიჯნეთ?**

— 2009 წელს მე და ჩემმა თანამოაზრეებმა დავაარსეთ რეგიონული საზოგადოებრივი მოძრაობა „საქართველო უცხოეთში“. სხვა ამ ტიპის საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, რომლებიც საზღვარგარეთ იძულებით მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს აერთიანებს, ვცდილობთ ჩვენს ემიგრანტებს შევუქმნათ ისეთი პირობები, რომ საქართველოდან მოწყვეტილად არ იგრძნონ თავი და ვცდილობთ, მორალური და, როდესაც ამის საშუალება გვაქვს, მატერიალური მხარდაჭერაც აღმოვუჩინოთ მათ, რათა ქართველებს ერთმანეთთან ურთიერთობის პირობები ჰქონდეთ. ამასთანავე, „სახალხო დიპლომატიის “ გზით ვცდილობთ შევიტანოთ საკუთარი წვლილი რუსეთსა და საქართველოს შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენის საქმეში.

**— რატომ ეწოდება თქვენს საზოგადოებრივ მოძრაობას „საქართველო უცხოეთში“?**

— საქართველომ მე-20-21-ე საუკუნეებში ემიგრაციის სამი ტალღა გადაიტანა. პირველი — ეს იყო ემიგრაცია, რომელიც განხორციელდა საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების პერიოდში. მაშინ ჩვენმა იმ თანამემამულეებმა, რომლებმაც არ მიიღეს ბოლშევიზმი და პროლეტარიატის დიქტატურა, სამშობლო დატოვეს. ემიგრანტების მეორე ტალღა ისინი არიან, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს იძულებულნი იყვნენ საზღვარგარეთ დარჩენილიყვნენ, რადგან მათ სამშობლოში ციხე ემუქრებოდათ ფაშისტებთან თანამშრომლობის გამო, ან ისინი, ვინც ჰიტლერელებს ჩაუვარდნენ ტყვედ და სისხლის სამართლის დევნის შიშით შინ დაბრუნებას ემიგრაცია არჩიეს.

მაგრამ ემიგრაციის ყველაზე დიდი ტალღა საქართველოდან საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაედინა — სამოქალაქო ომის, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ომების დროს. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ჩვენი თანამემამულე სააკაშვილის მმართველობის პერიოდში წავიდა საქართველოდან. პოლიტიკური თუ ეკონომიკური მიზეზების გამო **ჩვენი ქვეყნის დაახლოებით მილიონნახევარი მოქალაქე საზღვარგარეთ აღმოჩნდა. ეს ჩვენი მოსახლეობის ერთი მესამედია — ერთი პატარა ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი. ეს არის მთელი საქართველო უცხოეთში!**

**— ბატონო იგორ, რატომ არ ბრუნდებით საქართველოში? ცნობილია, რომ თქვენი მომხრეები, მათ შორის „ანტისოროსის“ და თქვენი პარტია „სამართლიანობის“ წევრებიც აქტიურად იბრძოდნენ სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ.**

**როგორც ჩვენი ქვეყნის ბევრი მოქალაქე, თქვენც აქტიურად უჭერდით მხარს ბიძინა ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“ 2012 წელს.**

— დიახ, ნამდვილად. მე და ჩემი თანამოაზრეები ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სააკაშვილი ხელისუფლებისკენ მიილტვოდა ერთ-ერთი პირველები გამოვდიოდით ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ წინააღმდეგ. გასაგებია, რომ ჩვენ შევარდნაძის მომხრეები არ ვიყავით, კაცის, რომელიც არა მხოლოდ ჩემი პოლიტიკური მტერი იყო, არამედ, პირადიც. მაგრამ **სააკაშვილის წინააღმდეგი ვიყავი იმის გამო, რომ, უბრალოდ, თვალნათლივ ვხედავდი ფსიქიკურად გაუწონასწორებელი, ოკეანის გადაღმა საგანგებოდ გამოზრდილი, ყველა უსინდისობასა და დანაშაულზე წამსვლელი, პოლიტიკურად უმწიფარი, ფსიქიკურად არამდგრადი სააკაშვილის საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოსვლის კატასტროფულ შედეგებს. მაგრამ, როგორც ამბობენ, „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს“.**

ისიც სიმართლეა, რომ ჩემი თანამოაზრეები, პარტია „სამართლიანობიდან“, აქტიურად უჭერდნენ მხარს ბიძინა ივანიშვილს 2012 წელს. ეს იყო ჩვენი ერთობლივი და მტკიცე გადაწყვეტილება. ჩვენ არც კი გაგვჩენია შეკითხვა, ვის მხარეს უნდა ვმდგარიყავით.

მინდა ვთქვა, რომ ჩვენს საზოგადოებას უკვე დაავიწყდა, რომ 2003 წელს, ვიდრე პრეზიდენტად აირჩევდნენ, მიხეილ სააკაშვილი ვერტმფრენით ჩაფრინდა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ საზღვარზე, მესაზღვრეების წინაშე გამოსვლისას თითი გაიშვირა რუსეთის მხარეს, თან დუჟმორეული აყვირდა: იქედან საქართველოს საფრთხე ელის! იქედან საქართველოზე იგორ გიორგაძე მოიწევსო!

საქართველოს მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი ბარამიძე ავტომატს იქნევდა ყველა კუთხეში და თან გაჰყვიროდა: თუ იგორ გიორგაძე საქართველოში ჩამოვა, პირადად დავხვრეტო!



დღეს ბარამიძეები, ბოკერიები და სხვა ნაცისტები პარლამენტში სხედან და ყველანაირად ცდილობენ, ხელი შეუშალონ სამშობლოში ჩემი დაბრუნების მიუკერძოებლად განხილვის საკითხს.

ჩემი ადვოკატი 2012 წლიდან მუდმივ კონტაქტშია საქართველოს პროკურატურასთან და სხვა შესაბამის ორგანოებთან და დიდი იმედი მაქვს, მალე შევძლებ საკუთარი მამის საფლავის მონახულებას, ახლობლებისა და ნათესავების ხილვას. სამწუხაროდ, იმ 19 წლისა და 5 თვის განმავლობაში, რაც ემიგრაციაში ვარ, ბევრი ახლობელი დავკარგე.

**— ბატონო იგორ, თქვენ სააკაშვილის მიმართ აშკარად ნეგატიური დამოკიდებულება გამოხატეთ და მისი და ბარამიძის მუქარებიც გაიხსენეთ. ქართულ მასმედიაში არაერთხელ გაჟღერებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თქვენ თითქოსდა სააკაშვილს ბრონირებული მანქანა აჩუქეთ, ტყუილია?**

— ეს ტყუილზე მეტია... ეს ცილისწამებაა.

**— ბატონო იგორ, როგორ აფასებთ საქართველო-რუსეთის ურთიერთობებს, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ბიძინა ივანიშვილის ერთ-ერთი მთავარი ლოზუნგი საქართველოში სამართლიანობის აღდგენასთან ერთად რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის დარეგულირება იყო?**

— ბიძინა ივანიშვილს და მის გუნდს მძიმე მემკვიდრეობა ერგო, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის მხრივ. რაც სააკაშვილის რეჟიმმა დატოვა, იმას მხოლოდ კატასტროფა შეიძლება უწოდო! საქართველოს კიდევ დიდხანს მოუწევს იწვნიოს ნაციონალების პროვინციული ფაშიზმის შედეგები.

ბევრი რამ საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის მოგვარების გზაზე გაკეთებულია, ბევრი რამ კეთდება, მაგრამ ეს ძალზე რთული, შრომატევადი პროცესია და სწრაფი რეზულტატების მოლოდინის ქონა გულუბრყვილობაა.

რა თქმა უნდა, შესაძლებელი იყო უფრო სერიოზული წინსვლა, მხედველობაში მაქვს ორი ქვეყნის დაახლოების პროცესისთვის დინამიზმის მიცემა, მაგრამ კონფლიქტის ინერცია ძალზე დიდია და სააკაშვილის რეჟიმის დანაშაულებრივი საგარეო პოლიტიკის შედეგების ჭრილობები კი, რის შედეგადაც

6 gv.

# იური ვაზაგაშვილს თურმე შვილიშვილიც უნდა წაეყვანა სასაფლაოზე... ხომ წარმოგიდგენიათ, რა უმართავი პროცესები შეიძლებოდა დაწყებულიყო, იმ დღეს იურასთან ერთად ბავშვიც რომ დაღუპულიყო

4 gv.

**ლად გამართული, დაფინანსებული შეტევა ხორციელდება...**

— საქართველოში ნებისმიერი ტელევიზია ნაცების საამებლად მუშაობს. გინახავს, სადმე, მმართველ პარტიას თავის ტელევიზია არ ჰქონდეს? ეს ამ ხელისუფლების მონაპოვარია, რასაც ნაცები ჩვენს საზიანოდ მშვენივრად იყენებენ, რასაც ხალხი სისუსტეში გვითვლის. კი, ეს სისუსტეა. ამათ ცოტა სხვანაირად უნდა მოექცე, კანონი მთელი სისასტიკით უნდა აამუშაო. კაცი პირდაპირ გეუბნება, არჩევნებს არ დაველოდებით, შემოვალთ, ასე და ისე გავაკეთებთ, დედას გიტირებთ, დაგიჭერთო, მეტი რაღა გინდა?! ბათიაშვილი კვიციანთან სატელეფონო საუბრის გამო დააპატიმრეს, დააბრალეს კვიციანს მხარდაჭერა მისცაო, სინამდვილეში, მან უთხრა, ემზარ, სისხლისღვრა არ მოხდესო. ამის გამო დაიჭირეს და 25 წელი პატიმრობა მიუსაჯეს. ესენი კიდევ პირდაპირ იმუქრებიან და ჩვენ რას დაგვიღია პირები, შენი თქმის არ იყოს, რა დროს საბურავებია? რატომ არ იჭერენ სააკაშვილს, პირდაპირ ამბობს რევოლუციით მოვდივარო, მეტი რაღა უნდა თქვას?! რა შუაშია საბურავები. თუ ბოროტებაა ჩაფიქრებული, მერე საბურავებსაც გააჩენენ, ტანკებსაც და პულიმიოტებსაც. მაგათ ფული რომ არ უჭირთ ხომ ვიცით, არა?!

**— მართლაც რას აკეთებს უმრავლესობა, მთქნარების და ნაცებთან ჭუკჭუკის დრო აღარ არის.**

— იცი, ეს რატომ ხდება? — იმდენად მართლები გვგონია თავი, რომ გათითოკაცებულები ვართ, ნაცები ერთმანეთთან შედუღაბებულები არიან. ეს საზოგადოებაში ქაოსს იწვევს. კოალიციაში ჯარისკაცი უნდა იყო, როგორც გუნდს უნდა ისე უნანებას იწვევს. მაგაში გეთანხმები. ახლა რომ ვთქვათ, იცით რა ასეა თუ ისე, იგი მაინც პრეზიდენტი იყოო, მაშინ ჰიტლერსაც გავუგზავნოთ მილოცვა.

**— სოსო, მას შემდეგ რაც გაირკვა, რომ პარლამენტს ლუკა კურტანიძეც უერთდება, მოსახლეობა ფიქრობს, კანონების დაწერა არ იციან და გასალახი მაინც გალახონო.**

— კანონებს იურისტებზე უკეთესად, უფრო ხოშიანად დავწერთ. მაგალითად, კინოსთან, სპორტთან დაკავშირებულ კანონებს. ერთი სურვილი მაქვს: 16 წლამდე ასაკის ბავშვებს, სპორტულ სექციებზე, ფული არ გადავახდევინოთ, ამ რესურს თუ სახელმწიფო გამონახავს, იდეალური იქნება. კინოს გადასაღებად რომელი კანონი მჭირდება, ამას იურისტი, რომელიც კინოს გაგებაში არაა, ვერასოდეს დამიწერს. ამიტომ, პარლამენტარები მთელს მსოფლიოში მარტო იურისტები არ არიან, არამედ მეფუტკრეებიც, სპორტსმენებიც და მეტალურგებიც. ხალხი დღეს იმასაც გაიძახის, ესენი პრემიებს რაში იწერენო. ჩემდა თავად იმის დედა მო... ან ვისაც პრემია მიეღოს, მე არ მიმიღია და ვინმე თუ ღებულობს არ ვიცი.

**— სოსო, ბოლოს მინდა გკითხო, გედიას ბრძოლა მოძველებულ ტრადიციებთან უფრო ძნელი იყო, თუ პარლამენტარი სოსო ჯაჭვლიანის — „ნაციონალებთან“?**

— როცა იცი მტერი სადაა, მაშინ უფრო კონცენტრირებული ხარ და ადვილად უმკლავდები. როცა აქეთ-იქით ტრიალებ და ყველგან ვიღაც გხვდება, ფიქრობ, რომ ქაოსია. ბრძოლა რთულია, როცა იცი, რომ ის ადამიანები, რომლებიც 9 წლიან რეჟიმს წარმატებით ემსახურებოდნენ, დღეს დაწინაურებულნი არიან. ახლა, გედია რომ გააცოცხლო და შეხედოს პოზიციაში, ოპოზიციაში, ან ამ „ეშმაკის ყუთში“(კომპიუტერში) რა ხდება, გააფრენს,



და მოიქცე. მე რომ ვთქვა, ყველაფერი საამურად მიდის-მეთქი, ასე არ გამოვა. ამიტომ, ვისაც კოალიციაზე გული შეგვტკივა, არსად წასვლას არ ვაპირებთ, ისინი წავიდნენ ვინც საქმის კეთებაში ხელს შეგვიშლის. კრიტიკული რომ ვარ, მის გამო ზოგი ჭორაობას იწყებს, კოალიციიდან გამოსვლას ხომ არ აპირებსო. არსაიდან გამოსვლას არ ვაპირებ!

**— სოსო, რას ნიშნავდა პარლამენტის თავმჯდომარის საახალწლო მილოცვა იმ პირების მიმართ, ვის დაჭერასაც ხალხი ითხოვს?**

— კი ბატონო, ეს ხალხზე ძალიან მოქმედებს. თუ პირი ჩვენთვის დამნაშავეა, ვამბობთ, რომ მკვლელია, მერე რომ ვულოცავთ, რა თქმა უნდა, ხალხში გაღიზიჭკუიდან გადავა. საიდან მოდის ამხელა ღვარცოფი. სულ რომ იდეალური იყო, ვიღაც ისეთ სიბინძურეს დაგიწერს, შეიძლება ჭკუიდან გადახვიდე. აქედან, შეიძლება ადამიანს მკვლელობები ჩაადენინო. გედია გააფრენდა, ხომ აზრზე ხარ მარიტაზე რეებს დაუწერდნენ, რამდენი ვინმე ილაპარაკებდა ციციკორეზე კარგს, რამდენი ილაპარაკებდა ცუდს გედიაზე, მარიტას მიწასთან გაასწორებდნენ. რა კარგია როცა რაღაცის გულწრფელად გჯერა. იქ ტვინს აგირევენ. ამიტომ, გედიას ბრძოლა და პარლამენტარ ჯაჭვლიანის ბრძოლა „ნაციონალებთან“ ისეა, როგორც ერეკლე და მისი ყურებიანი ქუდი.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

5 gv.

საქართველომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დაკარგა, ძალიან ღრმა.

**— ექსპერტთა წრეებში ხშირად ამბობენ, რომ ამჟამინდელ ხელისუფლებას შეეძლო თქვენი ჩართვა ქართულ-რუსული ურთიერთობების მოგვარების საქმეში. თქვენი აზრით, რატომ არ ხდება ეს?**

**გაუქექყავს აქამდე ცოცხლად გადარჩენილ ჰიდრას — სააკაშვილს.** ასე რომ, სააკაშვილის ხელისუფლების რეანიმაციის საფრთხე საქართველოში არ არსებობს!

რა თქმა უნდა, მოსახლეობაში არსებული აშკარად გადაჭარბებული მოლოდინები ჯერ არ არის შესრულებული, ან ისეთი სისწრაფით და ხარისხით ვერ ხორციელდება, მაგრამ, მოდით, გავიხსენოთ, რა ხდებო-



# მინდა საქართველო გავაფრთხილო...

— ამისათვის ჯერ უნდა გადაწყდეს სამშობლოში ჩემი დაბრუნების საკითხი. და საერთოდ, მე გადაჭარბებულად არ შევაფასებდი ერთი ადამიანის როლს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების ნორმალიზაციის საკითხში, თუმცა დიპლომატიის ისტორიაში ცნობილია ასეთი მაგალითებიც.

**— ბატონო იგორ, ამჟამად საქართველოში აქტიურად მიდის სააკაშვილის შესაძლო რევანშის, ალასანიას, რესპუბლიკელების და ნაციონალების ალიანსის, მოსალოდნელი დესტაბილიზაციისა და სხვა საფრთხეების შესახებ მითქმა-მოთქმა. თქვენ რას ფიქრობთ ამ ამბებთან დაკავშირებით?**

— რაც არ უნდა ილაპარაკონ ამჟამინდელი ხელისუფლების მხრიდან სამართლიანობის აღდგენის პროცესის გაჭიანურებაზე, ხელისუფლებაში სააკაშვილის რეჟიმიდან გადმობარგებული დამნაშავეებისა და ხელისუფლების ეკონომიკური ბლოკის შეცდომების შესახებ და ა.შ. **დარწმუნებული ვარ, რომ, როგორც კი პოლიტიკურ არენაზე სააკაშვილის და ნაციონალების აჩრდილი გამოჩნდება, საქართველოს მოსახლეობა ერთ მუშტად შეიკვრება და თავს** და საქართველოში ბიძინა ივანიშვილის მოსვლამდე. ერი დაჩოქილი იყო და მმართველთა მიმართ უსუსურ ზიზღში იხრჩობოდა.

გულწრფელად ვამბობ: **ჩვენ ჯერ სრულად არ გვაქვს გაცნობიერებული, როგორი კატასტროფისგან და ჭირისგან იხსნა ბიძინა ივანიშვილმა ქვეყანა უსისხლოდ,** ხაზს ვუსვამ, უსისხლოდ. რა თქმა უნდა, მას მხარს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა უჭერდა, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ მისი პირადი ღვაწლი. ის ყველაზე მეტად რისკავდა, მას ყველაზე მეტი ჰქონდა დასაკარგი! სხვა რომ არაფერი, მხოლოდ ამის გამოც ის ისტორიაში უკვე არის შესული. ჩემი აზრით, ბიძინა ივანიშვილი ადრე წავიდა სახელმწიფო მმართველობიდან, მაგრამ ეს უკვე ხელისუფლების მიმართ მისი შინაგანი დამოკიდებულების საკითხია.

დასასრულს მინდა ვთქვა და საქართველო გავაფრთხილო: სააკაშვილი გადატრიალებას ვერ მოახდენს, მაგრამ შეუძლია ქვეყანას ჯერ კიდევ ბევრი ზიანი მიაყენოს!

**ირანდა კალანდაძე**
593 561 118

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# „ნაციონალები“ რეგიონებში ახალგაზრდებისგან „ზონდერბრიგადებს“ ქმნიან?

**გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „პოზიციის“ აღმასრულებელი დირექტორი გურამ ადამაშვილი**

**— გურამ, რამდენიმე დღის წინ ინფორმაცია გაასაჯაროვეთ, არასამთავრობო ორგანიზაცია „ინოვაციებისა და განვითარების ფონდის“ შესახებ. რას ეყრდნობა თქვენი კვლევის შედეგები?**



— ამ მიმართულებით გარკვეული დროის განმავლობაში ვმუშაობდით.

დაფინანსების წყაროებიდან, ახალგაზრდების ინტენსიური შეკრებებიდან გამომდინარე, საფუძვლიანი ეჭვი გაგვიჩნდა, გამოვიკვლიეთ ყველაფერი და კვლევების თანახმად, ცხადი გახდა ისიც, რომ ახალგაზრდებთან შეხვედრებს მართავენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები და ეს ძალიან საგანგაშო ფაქტია.

**— გასაგებია, მაგრამ სად ხედავთ აქ განგაშის საფუძველს?**

— დეკემბრის თვეში ბრიფინგი ჩავატარე, სადაც მიხეილ სააკაშვილსა და „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენელებს შორის მნიშვნელოვან შეხვედრაზე ვისაუბრე უკრაინაში. იქ არსებობს „ნაცმოძრაობის“ მძლავრი ოფისი. სწორედ იქ შედგა ეს შეხვედრა და დაიგეგმა მომავლის საკმაოდ მნიშვნელოვანი სამოქმედო პროგრამა. ჩვენი მეგობრების საშუალებით ეს ინფორმაცია გადაამოწმეთ და აღმოჩნდა, რომ „ნაცმოძრაობას“ ძალიან სერიოზული მუშაობა აქვს გაშლილი უკრაინაში.

მოკლედ, ჩვენი ბრიფინგის შემდეგ, დეკემბრის ბოლოს მიხეილ სააკაშვილი გამოვიდა „რუსთავი-2“-ის ეთერში, მუქარანარევი ტონით ესაუბრა საზოგადოებას. ის დარწმუნებით ლაპარაკობდა, რომ 2015 წლის ბოლოს აუცილებლად დაბრუნდებოდა საქართველოში. ეს განცხადება სწორედ იმ შემხვედრის შემდეგ გაკეთდა, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ.

კვლევების საფუძველზე შემიძლია გითხრათ, რომ მიხეილ სააკაშვილს არავითარი შანსი არ აქვს ხელისუფლებაში მობრუნების, თუ მან კიდევ ერთი რევოლუცია არ მოაწყო. მოგეხსენებათ, არჩევნები 2016 წელს შედგება. სააკაშვილმა ჩამოსვლა არჩევნებამდე დააანონსა, რაც იმას გულისხმობს, რომ იგი რევოლუციისთვის ემზადება.

რევოლუციის მოსაწყობად კი სიტუაციაა მოსამზადებელი. გახსოვთ ბათუმში ბიზნესმენი ჩაცხრილეს მანქანაში, ახლახან ბატონი იური ვაზაგაშვილის მკვლელობა, რაც იგივე ტერაქტი იყო, თუმცა მხოლოდ ტერაქტებით არ აპირებენ ესენი ფონს გასვლას, მათ სჭირდებათ ადამიანური რესურსი. აქ კი ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდების ჩართვა. სწორედ ამ კუთხით მუშაობს „ინოვაციებისა და განვითარების ფონდი“. ისინი 12 თვითმმართველ ქალაქში ატარებენ შეხვედრებს ახალგაზრდებთან. ყველაფერ ამის უკან დგას „ნაცმოძრაობა“. ამ შეხვედრების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი და დამფუძნებელია **გიორგი ვაშაძე,** ხელმძღვანელად კი დანიშნულია მისი მეუღლე **ქეთევან სიჭინავა,** ორგანიზაციის წევრი არის **ზურაბ ჭიაბერაშვილი,** რომელიც კითხულობს ლექციებს. ამ პროცესში აქტიურად არის ჩართული **ლევან ხაბეიშვილი.** იგი გახლდათ თბილისის მერიის სოციალური მომსახურების, კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

ყოველივე ამის უკან ნაციონალების მიერ ჩაფიქრებული გეგმის განხორციელება დგას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ახალგაზდებს უკითხავენ ლექციებს მხოლოდ იმაზე, თუ როგორ ინგრევა საქართველო. მათი მთავარი მიზანია ნეგატივის მაქსიმალურად გავცელება, რათა გაღვივდეს ნიჰილიზმი და ახალგაზრდები აამხედრონ სახელმწიფოს წინააღმდეგ, ახალგაზრდებში თესავენ საბრძოლო მუხტს, ესაუბრებიან მომავლის პერსპექტივებზე მათთან ერთად. დაჰყავთ ისინი პარლამენტის შენობის დასათვალიერებლად, ასწრებენ კომიტეტების სხდომებზე და ა.შ. ახალგაზრდები, რომლებიც ამ ორგანიზაციების წევრები გახდებიან, ან გადაწყვეტენ თანამშრომლობას, დიდი ალბათობით, გამოყენებულნი იქნებიან „ნაციონალური მოძრაობის“ სისხლიანი რეჟიმის აღსადგენად.

**— ამ ლექციებში საგანგაშოს რას ხედავთ?**

— ორგანიზაცია მთლიანად ფინანსდება უკრაინიდან. უკრაინის ხელისუფლებაში კი დღეს სააკაშვილი და წინა მთავრობის მაღალჩინოსნები არიან წარმოდგენილნი. ამიტომაც ამ ორგანიზაციის დაფინანსების საკითხი ჩემთვის ძალიან ნიშანდობლივი და საგანგაშოა.

დღევანდელმა ხელისუფლებამ ეს უნდა გაითვალისწინოს და სამართალდამცავმა ორგანოებმა გამოიკვლიონ, რა ხდება ამ შეხვედრებზე. ხელახალი არეულობები რომ არ მოხდეს. ნაციონალებმა ახალი რევოლუცია რომ არ მოაწყონ.

**— როგორ ფიქრობთ, რამ შეიძლება შექმნას დღეს საქართველოში რევოლუციის ნიადაგი?**

— ეს შეიძლება იყოს ნაციონალური გეგმის მიხედვით საქართველოში მოწყობილი პატარ-პატარა ინციდენტები, ტერაქტები, არეულობები. ეს საზოგაგოებაში არასტაბილურობის განცდას და ერთგვარ შიშს თესავს.

ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ არ დაუპირისპირდეს ქართველი ქართველს იდეური კონფრონტაციის ნიადაგზე.

ახალგაზრდების გადაბირების მცდელობები ძალიან საგანგაშო თემაა.

ამ ორგანიზაციას აქვს ოფიციალური საიტი, სადაც გამოქვეყნებული ფოტოებიდან ირკვევა, რომ შეხვედრებში მონაწილეობას არა მხოლოდ სტუდენტები, არამედ სკოლების უფროსკლასელებიც იღებენ.

რაიონებში კრებენ ახალგაზრდებს და სკოლის მოსწავლეებს და უტარებენ ლექციებს.

**— გურამ, თქვენ დაფინანსებაზე საუბრობდით, ხომ არ იცით, საიდან ფინასდება ეს ორგანიზაცია.**

— ეს საკმაოდ დიდი ჩამონათვალია და საინტერესო ისაა, რომ ორგანიზაცია მთლიანად უკრაინიდან, საკმაოდ სერიოზული ინსტიტუციებიდან ფინანსდება.



ინოვაციებისა და განვითარების ფონდი

ესენია:

1. უკრაინის იუსტიციის სამინისტრო
2. უკრაინის სახელმწიფო სარეგისტრაციო სამსახური
3. უკრაინის ეკონომიკური განვითარების სამინისტრო და ა.შ.

საზოგადოებამ უნდა გაიგოს ამ გეგმის არსებობის შესახებ და განსაკუთრებით ეს ინფორმაცია უნდა მივიდეს იმ ახალგაზრდებამდე, რომლებიც ინტენსიურად იკრიბებიან ამ ორგანიზაციების ეგიდით გამართულ ღონისძიებებზე.

საჭიროა, ყველა მოსწავლეს, სტუდენტს, მშობელსა და სრულიად ერს აეხილოს თვალი, რომ ამით ხდება მომავალი თაობის გამოყენება პარტიული ინტერესებისთვის.



**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18



# სხვისი შვილები მალში! საკუთარი — სახლში!

„სააკაშვილი ქართველებს ეძახის უკრაინაში საომრად და ზოგიერთმა ტელევიზიამ არასწორი მიმართულებით განავითარა ეს, რომ ქართველი ახალგაზრდები უნდა წავიდნენ. ვისაც სურვილი აქვს, რომ ქართველები უნდა წავიდნენ უკრაინაში და დაიხოცონ, პირველ რიგში საკუთარ შვილებს მოუწოდონ. ვისაც ამის სურვილი აქვს, საკუთარი შვილებით დაიწყონ და მაგალითი აჩვენონ“ — საკუთარი აზრი გამოთქვა ექსპრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა.

და აი, „შვილების თემა“ სახელდახელოდ განავრცო „თავისუფალმა თაობამ“, გამოაქვეყნა „ნაცმოძრაობის“ წევრთა შვილების მომცრო სია, რომლებიც სახედრო სამსახურს თავს არიდებენ. (ვიღაც იტყვის, „არანაციონალთა“ შვილების ამბავი როგორ არისო? იგივენაირად, მაგრამ ისინი არ მოუწოდებენ მაინც სხვებს იმას, რაც თავიანთი შვილებისთვის არ უნდათ...)

ბუნებრივია, ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეს აქვს უფლება იცოდეს სად და რა განათლებას იღებენ, ელემენტარულად, რა საქმიანობით არიან დაკავებულები მისი ქვეყნის მესაჭეების შვილები, ამდენად, არც საქართველოა გამონაკლისი. რა თქმა უნდა, ქვეყანაში,



სადაც თითქმის ყოველი მესამე მშიერია (არასრულფასოვნად იკვებება — ლამაზად ნათქვამია) ე.წ მდიდართა შვილებისადმი ინტერესი მეტია. სოციალური ქსელიდან ირკვევა, რომ საქართველოს რიგით მოქალაქეებს დიახაც, აინტერესებთ ვის ჰყავს მათი შვილის თანატოლი შვილი ხელისუფლებასა თუ მთავრობაში და რა მაგალითი შეიძლება აიღონ მათგან.

მტრის კარს!!!

ალბათ, სჯობს — არ იცოდნენ, მაგრამ მეორე მხრივ, ალბათ, უნდა იცოდნენ. ელემენტარულია, ქვეყნის მოქალაქეებმა უნდა იცოდნენ რატომ არიან წარმატებულები მაინცდამაინც ცნობილ-ცნობადი, ამ შემთხვევაში ე.წ პოლიტიკოსთა შვილები მათ შვილებზე მეტად; ასევე, უნდა იცოდნენ, რა არის ამ ე.წ „წარმატების საიდუმლო“ ფინანსები. რატომაც არა? იქნებ, სულაც არ აქვს კონკრეტული ბავშვის ოჯახს (ისევე როგორც სხვა მრავალი ოჯახს) იმხელა შემოსავალი რომ შეეძლოს შვილისთვის ამხელა ხარჯის გაღება? და თუ ხელფასის გამონათვალით (და სხვა ბევრი რამის გათვალისწინებით) არ შეუძლია ამ თანხის გადახდა, მარტივი კითხვაა, აბა, საიდან იხდის? — ამის ცოდნის უფლებას ვერავინ წაართმევს ქვეყნის ვერც ერთ მოქალაქეს!

უპირველესად ქალბატონი თინათინ ხიდაშელი გამოენთო: — „აი, შვილების სიების კეთება რომ მოიფიქრეს, გამოაქვეყნეს, გააშუქეს და ა.შ ამ ავტორ-შემოქმედებს შვილები არ ყავთ, არც აპირებენ რომ ყავდეთ... თუ გონიათ, რომ მათნაირი არამზადები, ხვალ რომ ისევ იბოგინებენ ამ ქვეყანაში მათ შვილებს დაინდობენ, წაქცეულზე წიხლის მიმყოლების რიგში ჩამდგარი უსუსურები... არ გავიგო, დეპუტატი ხარო!!! და ასე უნდა წერდეო. შვილებს თავი დაანებეთ მშიშარა ტურებო!“

სანამ იმას გავარკვევდეთ, შეიძლება თუ არა სხვის შვილებს შეეხოს ვინმე, ჯერ ჩამოვუაროთ ასე ყბადაღებულ სიას და შემდეგ ვიკითხოთ.

მაგალითად: **ედუარდ სააკაშვილი** — 1994 წელი. სწავლობს სვარტ მორის კოლეჯში ფიზიკის განხრით, სწავლის ყოველწლიური საფასური შეადგენს 56 930 დოლარს...

**ლევან ბოკერია** ჯორჯთაუნის უნივერსიტეტსა და როჩესტერის უნივერსიტეტში ეუფლება განათლებას — 46 150 დოლარი პლუს 61 000 დოლარი.

საქართველოში რამდენ მოკვდავს შეიძლება ჰქონდეს შვილისათვის ასეთი ღირებული განათლების მინიჭების ფუფუნება?..

**ზურა ხაბაზი** — 1994 წ „შავი ზღვის უნივერსიტეტი“, მოცურავეთა ნაკრების ვიცე-პრეზიდენტი)

გიგი წერეთლის ვაჟი **ნუგზარ წერეთელი** — 1990 წელი;

**ლუკა მალაშხია** — 1990 წელი, შოთა მალაშხიას შვილი;

**მევლუდ ხაჩიძე, ნიკოლოზ ნაყოფია, ალექსანდრე ბეჟაშვილი** (ლევან ბეჟაშვილის შვილი); **ილია ღვინიაშვილი** 1989 წელი (გიორგი ღვინიაშვილის შვილი); **გიორგი ჭიაბერაშვილი** (1993 წ), **გიორგი ზაუტაშვილი** (1964 წ ხათუნა ოჩიაურის შვილი); **გიორგი კოდუა** 1993 წელი (ერეკლე კოდუას ვაჟი) **დავით ბეჟუაშვილი** — 1991 წელი; **გიორგი ბეჟუაშვილი** — 1994 წელი (გელა ბეჟუაშვილის ვაჟი); **რევაზ ლომაია** — 1993 წელი; **გიორგი ლომაია** — 1995 წელი; **ალექსანდრე რატიანი** — 21 წლის, სერგო რატიანის ვაჟი; **გიორგი დარჩიაშვილი** — 26 წლის, სამუშაო ადგილი ქ. თბილისი, აპოლონ ქუთათელაძის სახელობის აკადემია და დპს „ბერიუს“ დავით დარშიაშვილის შვილი; **მირზა სულეიმანოვი** — 18 წლის, შპს „არგო სისტემები“ — სულეიმანოვის შვილი; **თორნიკე გეწაძე** — 25 წლის უზენაესი სასამართლო — გია გეწაძის შვილი.

**გიორგი უდესიანი** — გიორგი უდესიანის შვილი, 21 წლის;

**მიხეილ ქაცარავა** — 22 წლის, მამუკა ქაცარავას შვილი;

**გიორგი ლონდარიძე** — 20 წლის, საქართველოს პარლამენტის აპარატში, ტარიელ ლონდარიძის შვილი;

**ლევან ბუცხრიკიძე,** 21 წლის — კახა ბუცხრიკიძის შვილი;

**კონსტანტინე თევდორაძე,** 21 წლის — გიორგი თევდორაძის შვილი;

**ნიკოლოზ დოლიძე,** 22 წლის — ჯარჯი დოლიძის შვილი;

**სერგი მელაძე,** 22 წლის — საგარეო საქმეთა სამინისტრო, გიორგი მელაძის შვილი;

**სერგი ბერძენიშვილი,** 26 წლის — ხათუნა ბერძენიშვილის შვილი...

რამდენად ზუსტია ჩამონათვალი, ერთია და მეორეა ფაქტი, რომ მათი შვილები, ვინც აცხადებს რომ უკრაინა იქნება, ავღანეთი, მალი თუ სხვა, ნებისმიერ ცხელ წერტილში ქართველების ბრძოლა საქართველოსთვის ბრძოლაა და სხვის შვილებს მოუწოდებს მონაწილეობის მისაღებად, არც ერთი მათგანი საკუთარ შვილს არ აგზავნის შესაწირად...

ზოგადად, უვარგისი უნდა იყოს კაცი სხვისი შვილების წარმატებაზე მოწონების ტაშის დაკვრის ნაცვლად ღვარძლი გადმოაფრქვიოს, მაგრამ აქ სხვა რამეზეა საუბარი, რაც კარგად მოეხსენება ქალბატონ ხიდაშელს, მაგრამ რატომღაც მაინც გაწიწმატდა. ბუნებრივია, ხალხის რეაქციამაც არ დააყოვნა, ისეთი ლანძღვა-გინების ზღვა დადგა, მის მეუღლესაც გადასწვდა და სრულიად „რესპუბლიკურ პარტიასაც“. დაწვრილებით გაუხსენეს, რომელს რა აქვს ნათქვამი; რომელს რა აქვს ჩადენილი; ვინ იყვნენ და არიან მათი მეგობრები და ა.შ ყველა ცოდვა.

არც ის გამორჩენიათ, ქალბატონმა თინათინმა ქაჯებად და საქაჯეთად რომ მოიხსენია საქართველო და ქართველები („სანდრო უსუფაშვილი, გიგა უსუფაშვილი, აი, ამიტომ წაგიყვანეთ ასე შორს, ამ ქაჯებს რომ დავსხლეტოდით — ღმერთო ჩემო, რა საქაჯეთია!), არც ის, რომ აფხაზეთს საქართველოს ნაწილად არ განიხილავს; არც დავით ბერძენიშვილის დასტური, რომ აფხაზებს აქვთ უფლება შექმნან ცალკე სახელმწიფო და ა.შ „ნაციონალ მოძრაობასთან“ იდეური თანხვედრისა და გარიგების ჩათვლით. კომენტარები შეკითხვებსაც შეიცავდა. მაგალითად: „ქალბატონო თინათინ, თქვენ, პარლამენტის წევრსა და პარლამენტის თავმჯდომარის მეუღლეს, რა თქმა უნდა, გაქვთ შვილების საქართველოდან წასაყვანი ფული და ჩვენ რა ვქნათ?“

„ქალბატონო თინათინ, თქვენ და თქვენ მეუღლეს სხვისი გარდაცვლილი შვილების ცოდვით მაინც ტკბილად გძინავთ?“

„ქალბატონო თინათინ, სანამ სხვისი შვილების ადვოკატად დადგებით, ჯერ თქვენს შვილებზე იზრუნეთ, ყველაფრისგან თავისუფლად გაზრდას რომ უპირებთ! თქვენი მეუღლის სიტყვებია: — „მაგალითად, ჩვენ ჩვენს შვილებს არ ვეუბნებით, რომ თქვენ, ჩემო შვილო, დაიბადე და გაგაჩინე იმიტომ, რომ სამშობლოს გმირულად უნდა შეეწირო; მე ვეუბნები: შვილო, თქვე დაიბადეთ და შეიქმენით ამ ქვეყანაზე, რომ იყოთ თავისუფალი და ბედნიერი და ყველა საკითხზე გააკეთოთ თქვენი არჩევანი და თუ თავისუფალი იქნებით, გინდ სამშობლოს შეეწირებით, გინდ თქვენ პროფესიას — რასაც გინდათ“.

„არ არის სამხედრო სამსახური სავალდებულო ყველასთვის — ასეთია თინიკოს სამართალი... რუსეთ-ამერიკის პოლიტიკურ მარაზმს მხოლოდ „პლებეების“ შვილები უნდა შეეწირონ, „პატრიციების“ ნასწავლმა დიპლომიანმა შვილებმა კი მათი სისხლით მორწყულ მიწაზე ფრანციცულად უნდა ინავარდონ!“



„მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა...“
ილია

# პატრიოტი

„საერთო გაზეთის“ დამატება №4, იანვარი, 2015 წ.

# უტიფართა მიერ ენის ქვეშ გაგდებული და „სანიფხვედ ქცეული“ ქვეყანა



**კობა არაბული**

„პირველთაგან იყო სიტყვა და მერმე საქმე, და სიტყვა იგი იყო უფალი“, – ბრძანებს მოციქული.

ეს მართლაც ასეა და, როდესაც ჩვენ სიტყვას ვამბობთ ვინმეზე ან რამეზე – ვაქებთ ან ვაგინებთ, ან ცილს ვწამებთ, ყოველივე ამით ვცვლით ადამიანთა აურას (განწყობას) და ვახვევთ დადებითი, ან უარყოფითი ენერგიების ქსელში...

სიტყვას შეუძლია ომების აღძვრა და „ქარიშხლების“ დაწყნარებაც...

* * *

არსებობს არხვატის თემში „დიაცთა ენობით“ დაქცეული და ნასოფლარად ქცეული სოფელი („დალივნა თათხელიონნი დიაცთა ენობამაო“ – ფოლკ.).

და ერთხელაც, როდესაც ქალის სიტყვამ, „ენობამ“, ორი თემის (გურო-შატილის) სისხლისმღვრელი შეტაკება გამოიწვია (XVIII ს.) ხევსურთა „რჯულმა“ მკაცრი რეჟიმი დაუწესა „დიაცთა ენობას“: თუ რომელიმე ქალის ჭორით და ცილისწამებით (ავსიტყვაობით) თემი ერთმანეთს წაეკიდებოდა და ზიანი მიადგებოდა, ამ ქალის ოჯახი (და გვარი) მძიმე „ჯურუმით“ ისჯებოდა... თუ სოფლის გზაგასაყრებთან და ხიდისყურებზე ერთად მდგარ მეჭორავე დიაცებს დაინახავდნენ, ვინმე „თოფს გაატურობდა“ და გაფანტავდნენ...

რჯულის ამ სათემო წესს „ქალების ენობა“ მართლაც შეუჩერებია და ხევსურეთში სიმშვიდე ჩამომდგარა.

* * *

ჩვენ რა გვჭირს ისეთი, რომ ამ კვესიტაძეების, ჩიორების, ნინიების, **ნემსაძეების**, ჟორჟოლიანების, გაბუნიების და სხვათა და სხვათა (და მთელი მათი ჭორის მანქანების) წამლეკავი ზიზღის და ცილისწამების ნიაღვარი ვერ გავაჩერეთ რაიმე კანონის ძალით? ეს ჩვენი ხალხის საადათო სამართალმა შეძლო და ჩვენ რა გვჭირს?!.

გრიგოლია პირდაპირ კონფლიქტის ზღვარზე აყენებს საზოგადოებას თავისივე შოუებში...

გაბუნიას შეუძლია ნებისმიერი ცილისმწამებელი და ჭორის მთხზველი, ბოროტმოქმედი ზონდერის დასმა „რუსთავი-2“-ის ეკრანზე.

ამ „კლონირებული კომიქსისთვის“ არ არსებობს სამშობლო, ქვეყანა, ერის ინტერესი, იგი განუწყვეტლად გადასცემს ძირგამომთხრელ სენტენციებს, აპიარებს სააკაშვილის ტიპის ბოროტმოქმედთ – ამ შემთხვევაში განა ის მათზე ნაკლები დამნაშავეა?!

ბევრჯერ თქმული ტყუილი, ჭორი და სიცრუე შეიძლება ვინმეს მართალი ეგონოს და მოლა ნასრედინივით „ფლავის ასაკრეფად“ წავიდეს... ზოგადად, ამათ, მართლაც „ფლავის ასაკრეფად“ მიჰყავთ ქვეყანა.

* * *

ჩვენმა ხალხმა, ერმა, უნდა შეძლოს ამ ბოროტების დაძლევა, რაც „რუსთავი-2“-ის მიერ არის აღძრული ამ ქვეყანაზე, მისი ყოველი ჟურნალისტი „მაცილივით“ ჰყავს შეჩენილი და გადასაჩეხად უბიძგებს ქვეყანას.

გაბუნიამ მიცვალებულებიც კი „ამოთხარა“ იმ დღეს მიწიდან... ამათ ხელში ქვეყანა ვერ გადარჩება.

ურიცხვი თითოკაციანი პარტია და არასამთავრობოები გიენებივით ხრავენ ქვეყანას.

* * *

**„მაღალი კი ხარ, მთაო, და თუ კაცის ენა მოგადგა – დაგამდაბლებსო!“** აი, ერის გენიალური სიბრძნე (გაფრთხილება) „ენით“ დამდაბლებული ქვეყნის ბედისწერის გამომხატველი... ეტყობა, ჩვენს ხალხს ხშირად ედგა „მოენეთა“ დაძლევის პრობლემა.

* * *

ახლა ვნახოთ, თუ რას უზამდა თემის სამართალი გრიგოლიას, ნინიას, ჩიორას, კვესიტაძის,



ნემსაძის, ლაგაზაძის, მეგრელიშვილის ტიპის „მოენე“ პოლიტიკანებს და ჟურნალისტებს, რომელთაც ენაზე აქვთ გაგდებული ქვეყანა, ჭორისა და ცილისწამების ბურუსში ჰყავთ გახვეული და „სანიფხვედ ქცეული“, ვითარცა ფოლკლორი იტყვის.

ყველა მათგანი და მათნი მსგავსნი „კვეთილში“ იქნებოდნენ ჩასმულნი ხევსურული ადათის მიხედვით და მათზე მოწქევნილი „ჯურუმუ“ (ჯარიმა) უთუოდ გააკოტრებდა მათ „სახლებს“ ტელევიზიებს... – ასეთივე ბედი არ ასცდებოდა კოჟორიძის, გიგაურის, გაბუნიას, ქორიძის, ტუღუშის, მინდიაშვილების ტიპის არასამთავრობო მოლაყბეებს, „მკვლელთა ადვოკატებს“, მართლაც „მეთორმეტე გოჭებს“ და „არამკითხე მოამბეებს“, რომლებიც ყოფენ ცხვირს ყველგან და ყველაფერში და ქვეყანა საჯინიბოდ აქციეს.

* * *

განა როდემდე შეიძლება ვუსმინოთ და ვუყუროთ ჩვენ ყოველივე ამას: უტიფართა უტიფრობას, მათი „სიტყვის თავისუფლებისთვის“ ბრძოლას, ამ გაუგონარ ცინიზმს! და კანონს, რომელმაც უნდა დაიცვას იგივე ნინია და ხერხეულიძე და არ დაიცვას **ერი** და **ეკლესია**.

აი, ჩვენი ბედისწერა! მართლაც სადამდე მიგვიყვანა ჩვენმავე უნიათობამ და ამ ჰიბრიდების „ზნეობრივმა“ ონანიზმმა...

სამართალი უნდა დადგეს და ის უნდა იყოს მართალი და მკაცრი: „რჯულის მოჭრილი ხელი არ სტკივაო“, – ამბობს ფხოვური ადათი... ეს ნიშნავდა იმას, რომ „მართალი სამართალი“, რაც უნდა მკაცრი იყოს იგი, ყველასთვის მისაღებია.

უზნეო სიტყვა კანონით უნდა შეიზღუდოს.

კანონი უნდა იყოს სწორი, ზუსტი და დახვეწილი, რომ სხვისი „ნაქმნარი“ პროვოკაცია და პროვოცირება მე არ მომეწეროს! რელიგიური და სხვა უმცირესობათა უტიფარი გამოწვევებით **უმრავლესობა** არ დაზიანდეს...

გაქექილ არამზადებს შეუძლიათ ყველაფერი, და მათ შორის, კანონიც კი, თავის სასარგებლოდ შეაბრუნონ... აი, ეს გარემოება არის ხიფათის შემცველი...

* * *

როცა ამდენი ლექი, ყველა ჯურის ჭილ-ყვავი და ყვავის ბახალი, ათასნაირი ჰიბრიდი და კლონი მიიხვეტება ყველა ერთად, წყლის გამოტანილი „ნაკერკატალივით“ და იქცევა პარტიებად და არასამთავრობოებად, არაფრის ექსპერტებად და ადვოკატებად, ფსევდო-პატრიოტთა და მედროვეთა ურდოებად, ესეც არის კატასტროფა და საგანგაშო!

მათ არ აჩერებს რაიმე კანონი! არც მორალი... არავინ უხმობს პარლამენტში, ხელისუფლებაში, მთავრობაში ქვეყნის რჩეულთ, სწავლულთ, მწიგნობარ-სპეციალისტებს, „ჩარეცხილთ“ ახალი „ჩარეცხილები“ ემატება და ეს ქვეყანა, მართლაც ჩარეცხილ რიყესავით რჩება.

* * *

ყოველი წერილი და მწერლის ყოველი სიტყვა – წარმოთქმული, გნებავთ, სუფრაზე, უნდა იყოს მოვლენა, რაიმე იდეის შემცველი...

10 gv.

ძვირფასო მეგობრებო, შემოგვიერთდით გაზეთ „პატრიოტის“ მეგობართა კლუბში.
ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
593 44 04 01; 597 93 93 79; (2) 14 40 19; (2) 34 28 97.
რედაქციის მისამართი: თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ., 164, II სართ.

# უტიფართა მიერ ენის ქვეშ გაგდებული და „სანიფხვედ ქცეული“ ქვეყანა

9 gv.

ყოველი საქმე სიტყვიდან მოდის. სიტყვის ენერგეტიკა ცვლის გარემოს და საზოგადოების ფსიქიკასაც... მასა ადამიანებისგან შედგება — ყოველი ინდივიდი სიცოცხლის გზაზე განიცდის გარკვეულ მეტამორფოზას!.. წინა დღეს თქმული სიტყვა ზოგჯერ ღამე გაღვიძებს... და მეორე დღეს გზაზე მიგყვება... შეიძლება ერთი გამჭოლი ფრაზის მერე სულ სხვა ადამიანად იქცე: უკეთესად ან — უარესად!..

გააჩნია, ვინ არის შენი მოძღვარი, ვინ გიდგას თვალწინ ზნეობრივ მაგალითად.

თუ საზოგადოებას (ერს, ქვეყანას) დაუნგრევ ზნეობრივ ინსტიტუტებს: უნივერსიტეტებს, აკადემიებს, ეკლესიას, მწიგნობრულ-მისიონერულ სკოლებს, ბიბლიოთეკებს და შეაგდებ ჰომოლიბერტილური ტელევიზიების ხახაში (მასკულტურის ქაოსში), მას — თაობას — დაღეჭავენ საღეჭ რეზინისებრ და გადააპურჭყებენ...

* * *

**ბატონო ბიძინა!** ჩვენ, ქართველებს, არ აღმოგვაჩნდა ღირსების მაღალი ხარისხი, ჩვენ ვერც ღირსეულთა ღირსების გადაფასება შევძელით და ვერც უღირსთა ამოცნობა. ამდენად, ერმა და ქვეყანამ თავზე დავისვით უვიცი „ხროვა“ ხელისუფლებაში და სხვაგანაც — საკუთარი ნებით „დავიყარეთ ნაცარი!“

10-იოდე კაცს თუ გამოარჩევ პარლამენტში, 2-ს — მთავრობაში! ეს მართლაც საგანგაშოა! ეს ძალიან ცოტაა...

ჩვენ არ ვყოფილვართ ხალხი, ამდენ უზნეობას და ანომალიას რომ ვურიგდებით. როცა „კოჰაბიტაციას“ წესად და რეჟიმად ვაქცევთ, როდესაც „ბილწთან ზავით შეკვრის“ და ბოროტთან თანაცხოვრების რეჟიმს ვაღიარებთ! რას იტყოდა ვაჟა-ფსაველა ამაზე, ცოცხალი რომ იყოს („რაც გინდა ჭირი მომკერძო, ბილწთ არ შევეკვრი ზავითა“). აი, ერის მორალი, მისი არსებობის ზნეობრივი კოდი!

ახლა? ახლა რა გვინდა?! ნუთუ ყველაფერი ისე და იმდენად შეიცვალა, ისე გადაბრუნდა ქვეყანა, რომ ყვავსა და გუგულს ვეღარ ვარჩევთ? (რომელსაც გაზაფხული მოჰყავს!).

ვერც სიტყვას ვარჩევთ, რამეთუ უგვანო სიტყვას და „ლეყელობას“ შეგვაჩვიეს ამ ნაძირალებმა და უწესობა წესად გვექცა!

როდესაც ქვეყანა იცვლის დასაბამიერ ადათ-წესთა და თვისებათა სამოსელს, და, ასე ვთქვათ, სხვათა „ჰუმანიტარული“ და „ლიბერტარიანული“ სამოსელით იმოსება, ბოლოს და ბოლოს, საკუთარი ისტორია და წინაპრების სული ზურგს შეაქცევს და, როგორც დიდი ილია იტყოდა, „მომავალი ზარბაზანს გვესვრის“...

* * *

მოდი, ვიკითხოთ: სიტყვის უზნეობა და უტიფართა უზნეო სიტყვის თავისუფლება უნდა იყოს დაცული თუ ერის ზნეობრივი სამართალი და „ვეფხისტყაოსნის„ მორალი?

როცა ამ კითხვას ვაყენებთ, თავისთავად ყოფნა-არყოფნის ზღვარზე ვდგებით!

* * *

როდესაც XXI საუკუნეში მსოფლიო რელიგიათა და კულტურათა შეჯახების „აპოკალიფსური“ ჟამი დგება, ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ეს გლობალური



მოვლენა, შესაძლოა, მცირე ისტორიულ რასათა „სასაფლაოდ“ იქცეს...

ჩვენ, იარაღაყრილი, სრულიად დაუცველი დავრჩით ბედისწერის პირისპირ... „მსოფლიო დინოზავრთა“ ბარბაროსული ომების პოლიგონზე!..

ამ პოლიგონზე მოღალატე ნაცების ხროვამ შეაგდო ქართველი ერი და არც ახლა აძლევს თავის დაღწევის საშუალებას!.. ამის მაუწყებელია ნატოს საწვრთნელი ბაზების განხორციელების იდეა ჩვენს მიწაზე — რაც ასევე დიდი ხიფათის შემცველია.

რა შეიძლება ითქვას, როცა სახელმწიფოში მოქმედებს ანტისახელმწიფოებრივი, ძირგამომთხრელი, ორგანიზაციათა და ინსტიტუტთა მთელი სისტემა: არასამთავრობოთა ქარავანი, რომელიც მთლიანად თელავს და ანგრევს ერის ზნეობრივ და ფსიქოლოგიურ კედელს, შლის მატერიალურ სივრცეს!

და ამ დროს ხელისუფლება (და ერი) სრულიად უძლურია ამ მოვლენის დასაძლევად!!!

ჩვენ თუ ვერ დავძლევთ ზნეობრივ ძალადობას ერზე, თუ ვერ მოვიგერიებთ ამ ჰიბრიდულ-კლონირებული „კომიქსების“ იერიშს, ქართველთა ცნობიერებაზე, თუ ვერ შევაბრუნებთ თაობათა მზერას ისტორიულ „ლოგოსში“, შესაძლოა, XXI საუკუნე ჩვენი კატასტროფის საუკუნედ იქცეს... ეს მოსალოდნელი საბედისწერო რეალობაა...

* * *

ვინ გაწირავს თავს და ვინ განდევნის ამათ ხვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნიდან, აღმაშენებლის და რუსთველის სამშობლოდან?!

ვინ გაწირავს თავს მათი გაძევებისთვის, რადგანაც ეს დიდი ეროვნული, ზნეობრივი მისტერიის აღსრულება მართლაც თავგანწირვის ფასად გვესახება...

ვინ აგვარიდებს გეების, ჰომოსექსუალების, მასონური „ზეჰუმანური“ ეთიკის ტალღას — კაცობრიული გენეზისის სარკოფაგს — მათ მცველებს: არასამთავრობო ცერბერებს და მათ აჟიტირებულ მავნებლურ ტელევიზიებს?

— მხოლოდ უფალი?

თუკი ერს და სახელმწიფოს უპირისპირდება რაღაც დამანგრეველი ძალა და ამ ძალის შემწყნარებელი თავად ხელისუფლებაა, ის განწირულია!

* * *

თითქოს პარადოქსულია, მაგრამ ადამიანს, რომელმაც ეს ქვეყანა მართლაც იხსნა და პირდაპირ „პროკრუსტეს“ სარეცელიდან ააყენა, ხმა ვერ ამოუღია, სიტყვა ვერ უთქვამს, რომ ამ ჭილყვავებმა არ ჩამოაბერტყონ თავისი „ტილიანი ილლიები“...

უცებ შეიკრიბება 40 „არასამთავრობო ყვავი“ და მოაწერს ხელს „რაღაცაზე?!“ არც ერთი მათგანი კრინტს არ დაძრავს, უნივერსიტეტი რომ იწვოდეს!.. ახლაც ერთმანეთს მოებნენ გაბუნია-კოჟორიძე-გიგაურები, ლაგაზიძეები, ქორიძე-ტულუშები — ეს ორფერი ექსპერტ-ჟურნალისტე-




ბი, რომლებიც სრულიად ანომალიურ განგაშს ტეხენ ივანიშვილის ყოვლად კორექტულ და ლეგიტიმურ გამოსვლებზე...

ეს მეტად საგულისხმო და საშიში მოვლენაა, რომელიც ხიფათს უქმნის არა ოდენ ივანიშვილს, არამედ ქვეყანას...

მე ვფიქრობ, რომ ეს „არაფრები“ ამდენს ვერ უნდა ბედავდნენ, მით უფრო, ვერ (და არ) უნდა ჰკადრებდნენ ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც მართლაც „ვეშაპის“ მუცლიდან გამოიყვანა ქვეყანა... ყველა ჩვენგანი და ისინიც...

* * *

დასასრულს მინდა ვთქვა, რომ ჩვენი ერისთვის არ არსებობს ერთი მოგებული ომი — ჩვენი არსებობა განუწყვეტელი პერმანენტული ბრძოლის პროცესია — ჩვენი მარადიული მტრის წინააღმდეგ, დასაბამიდან დღემდე, რომელიც იყო და ყოველთვის იქნება, ჩავთვლით თუ არა ბრძოლას მოგებულად, იქ იწყება ჩვენი დამარცხება! ასეთია ჩვენი ბედისწერა... ამდენად, არ უნდა ჩავთვლიმოთ და ჩავიძინოთ... კმაყოფილების „ობით“ არ უნდა დავიფაროთ...

მე მინდა ვიკითხო: ცოტა ხომ არ ჩასთვლიმა „ქართულმა ოცნებამ“, ანუ ბრძოლა დამთავრებულად მიიჩნია და დაწყნარდა...

არ უნდა მოკვდეს ერი „ქართული ოცნების“ ხელში...

როცა ნაცების 10 არამზადა დგება ფეხზე პარლამენტში და შეურაცხჰყოფს ერს სიტყვით და უტიფრობით, უმრავლესობიდანაც ადგეს 10 თუ არა, ცხრა მაინც და „დაახუროს თავზე“ თავისი უზნეობა: არ უნდა მოკვდეს ერი სამართლის მოლოდინში „კოჰაბიტაციის“ ჭაობით შებოჭილი...

უნდა დაიწყოს გაბედული, თუნდაც თავგანწირული რადიკალური მოქმედება გაბუდაყებული ნაციონალების და მათი მცველი „ცერბერების“ წინააღმდეგ!..

ხელისუფლებაში უნდა გამოჩნდეს პიროვნება, რომელიც დაარღვევს სტერეოტიპს და დაძლევს არასამთავრობოთა და მსოფლიო ძალადობის (შიშის) სინდრომს!

მიუხედავად ჩვენი სიმცირისა, ჩვენ უნდა გადავრჩეთ ერის გენეტიკურ კოდში „დამარხული“ ღვთიური ენერგიების გაღვივებით, ჩამოვაყალიბოთ სრულიად საქართველოს თემთა დარბაზი — ყოველი თემიდან ერთი უხუცესისა და ერთი ჭაბუკის მონაწილეობით და შევქმნათ ყოვლისმომცველი არასამთავრობო ფორუმი! ეს იქნება ძლიერი აურის და სინერგიების შემკრები ორგანიზაცია, რომელსაც შეეძლება მრავალი ბოროტების დაძლევა... და ერის შებრუნება ისტორიული ცნობიერების წიაღში...

* * *

როგორმე უნდა მოვახერხოთ I არხის რეფორმა, ანუ ამ „მკვდარი არხის“ გაცოცხლება! დაიბრუნოს იგი პარლამენტმა, იყოს „საპარლამენტო-სახალხო“, სახელმწიფო არხი!

მოვიპოვოთ თავისუფალი, მართალი სიტყვის ტრიბუნა ზნეობრივი ძალადობის წინააღმდეგ. ნუთუ მხოლოდ სიტყვის უტიფრობა, ანუ უტიფართა უზნეო სიტყვის თავისუფლება უნდა იყოს დაცული ამ ქვეყანაში და მწერლისა და მეცნიერის, ერის და ბერის ხმა — დევნილი და ჩახშობილი ხელისუფალთა დუმილში?!..

* * *

ჩვენ აყრილი ვართ ჩვენი მიწა-წყლიდან... მე ვხედავ მხოლოდ აყრილ თემ-სოფლებს, ქვეყანას, სადაც არავინ ჭაჭანებს და ვერ ვახერხებთ ჩვენ იქ ერთი მკვიდრი მოსახლის, გვარიშვილის დაბრუნებას! რადგან ამას არავინ აკეთებს! — არც პიროვნება და არც სახელმწიფო!

ამ პროცესს არავინ აფინანსებს. აფინანსებენ მხოლოდ უკუპროცესებს, ნეგატივებს, აბსურდებს. ხაზარაძის ტიპის მილიონერები ხარჯავენ ფულს სულ სხვა რამეზე...

დიახ, ჩვენ ვერ ვახერხებთ თუნდაც ერთი თემის გაცოცხლებას, იგი მკვდარია! ეს ასეა... ჩვენ უყოყმანოდ, ჩვენი საკრალური მწვერვალებიდან უნდა დავიწყოთ „მკურნალობა“ და ჩამოვყვეთ ქვევით.

* * *

მაშ, სად არის ხსნა და ვინ უნდა იხსნას ერი თავად ხალხმა, რომელიც, ფაქტობრივად, განდევნილია და მას ენაცვლება სხვა (თურქი, არაბი, ჩინელი, ზანგი, ინდოელი...), თუ ვინმე აბსტრაქტულმა უცნობმა, უცხოელმა ან ეროვნულმა გმირმა — უეცრად გამოღვიძებულმა ამირანმა ან კვირიამ?!

ვინ და როგორ უნდა იხსნას ქვეყანა? რატომ არ ფიქრობენ ამაზე სწავლული მწიგნობარნი და პოლიტოლოგნი; რატომ არ წერენ ეროვნული ხსნის ტრაქტატებს? სჭირდება ამ მოვლენათა განსჯას ფსიქო-ანალიტიკური აზროვნება, მწერლის მოვლენათა წინასწარი ანალიზი...

* * *

სამწუხაროდ, „ოცნება“ იკეთებს ხარაკირს, რატომ? ვინ აიძულებს ამ შეუსაბამო რეჟიმში ცხოვრებას?

ვუთხრათ უარი მათ „ბრძანებებს“, ვინც ამას გვაიძულებს და ვიმოქმედოთ დამოუკიდებლად, გაბედულად, ერის სახელით — მისი გადარჩენისთვის!

კატეგორიული უარი „კოაბიტაციას“ და ყოველგვარ ზნეობრივ და პოლიტიკურ ძალადობას ნებისმიერი კონკისტადორის მხრიდან!..

ქართველ ხალხს, ქართველ მეომარს, „კაი ყმას“ აქვს და ჰქონდა ასეთი ისტორიული მისტიკური დავალება და მისია:

„არ შედრკეს, თუნდაც
ბუზივით
ეხვიოს თავზე მტერია...
არ გადიწყვიტოს იმედი,
არ შეიცვალოს ფერია“...

მაინც ამ სულისკვეთებით უნდა შევძლოთ აპოკალიფსური ჯოჯოხეთის დაძლევა.

**კობა არაბული**
**მწერალი ეთნოლოგი**

# საქართველო და ქართული ეკლესია აპოკალიფსის კარიბჭესთან

**ინფორმაციული ომი საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად ანუ ქართველ ბაგრატიონთა სამეფო ტიტულის „დავითიანის“ გაგებისათვის დღევანდელი მსოფლიოს ახალი წესრიგის ჭრილში**



## დენიზა სუმბაძე (ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი):

## ეკლესიის პირისპირ მარტოდ დარჩენილმა, საჭიროდ ჩავთვალე, მშვიდობით ვუხმო ქართველ ხალხს

დასარული. დასაწყისი იხ. „საერთო გაზეთი“ №42-03

### დასკვნებთან მისასვლელად

საქართველოს ეკლესია, რომელიც მოჭარბებულ მიდრეკილებას ავლენს ქართველ ბაგრატიონთა „დავითიანობის“ დასახიჩრებული ისტორიული გაგების მიმართ, ანუ „დავითიანობის“ პროებრაული მნიშვნელობით გაგების მიმართ, აშკარად ატარებს ბეჭედს საქართველოს ეკლესიის წარმართვისას საქართველოს სახელმწიფოებრივ - პოლიტიკური კურსის თანხვედრილი მიმართულებით, რაც საბოლოო ჯამში მსოფლიოს ახალი წესრიგის წარმმართველი ძალის, ანუ სიონისტური მოძრაობის შემოჭრის სახეს იღებს ერთიანად მთელი ქართული ეკლესიის სივრცეში. ეს შემოჭრა კი ქართული ეკლესიის სივრცეში, საბოლოოდ ყალიბდება, როგორც მასონურ-სიონისტური ინტერვენცია საქართველოს სამეფო ძალაუფლების მისათვისებლად, საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტის დასაპყრობად ეკლესიის გზით. რიგ შემთხვევებში იქმნება იმის შთაბეჭდილებაც, რომ საქართველოს ხელისუფლება საქართველოს ეკლესიის ლიტურგიულ პროცესებშიც არ ერიდება ჩარევას. ეს კიდევ სრულიად ცალკე და ძალიან სერიოზული, ვფიქრობ, ძალიან მძიმე და ტრაგიკული საკითხია, რომელსაც ნამდვილად ავერიდებით სასაუბროდ. ამრიგად საქართველოს დღევანდელმა საერო ხელისუფლებამ საქართველოს ეკლესია მთლიანად ჩააყენა მსოფლიოს სიონისტური ძალების სამსახურში: ჯერ საქართველოს ისტორიულ სამეფო ტახტზე არარსებული უფლებამოსილების მინიჭებით ებრაელთა ბიბლიური მეფის - დავითის შთამომავალ მემკვიდრეთათვის, ხოლო მერე თავის სამეფო და საპატრიარქო ტახტებიანად საქართველოს შეყვანით ევროკავშირის მასონურ გაერთიანებაში. რატომღაც საქართველოს დღევანდელი ეკლესია ქართველი ხალხის უდიდესი ავტორიტეტის, საქართველოს დიდებული მამულიშვილის, წმიდანად შერაცხული გაბრიელ ქიქოძის რწმენასა და თვალსაზრისს, რომ საქართველო შვეიცარიის მსგავსი ნეიტრალური სახელმწიფო უნდა იყოს, პრობლემის ანალიტიკური განსჯისათვისაც კი არ მოიხსენიებს.

**ევროკავშირში გაწევრიანებას ეწირება ყველაფერი, ეროვნული სიწმინდის-პატიოსნების ჩათვლითაც, და თავად საქართველოს ეკლესიისა და საქართველოს პატრიარქის სამი ათეული და მეტი წლით ნასათუთები ავტორიტეტის ჩათვლითაც. ამას კი არამც და არამც, არ და ვერ შეეგუება ჩვენი ხალხი, მისი ქრისტიანული სინდისი, ვერც ეროვნული სინდის-პატიოსნების შებღალვას და ვერც საქართველოს პატრიარქის ავტორიტეტისას, რადგან ეს ავტორიტეტი ქართველი ხალხის შექმნილია და პირველ რიგში ქართველ ხალხს ეკუთვნის. დიახ! ქართველი ხალხი თავად საქართველოს პატრიარქს არ მისცემს იმის უფლებას, რომ სამ ათეულ წლიანი, მთელი ქართველი ხალხისმიერ ღმერთს შეღაღადებული წირვა-ლოცვით მოპოვებული ავტორიტეტი ქვეყნის სულიერი მამისა და ღმერთთან შუამდგომლისა,** ქრისტეს ნიღბიან ანტიქრისტე ტამპლიერებს ჩაუგდოს ხელში საჯამბაზოდ და მსოფლიო პოლიტიკის ვერაგული ზრახვების განსახორციელებლად. ევროკავშირის მასონურ გაერთიანებაში შესვლას, კაცობრიობის სინდისის აბუჩად ამგდებ და უმიზნო, ჩვენი ქვეყნისათვის უდედააზრო გაერთიანებაში იურიდიულ შეტოპვას, რომლის მოსამზადებელი 25 წელიწადი მხოლოდ გაუბედურება და შეურაცხოფა იყო ქართველი ხალხისა, ქართველი ერის სულიერ ერთობასთან ერთად, მსხვერპლად სჭირდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შეწირვაც, რაზედაც ეკლესიური ლოცვით ვლოცულობთ დღეში შვიდჯერ, და ამაზე ყველაფერზე თანხმდება ეკლესია. ცალკე საკითხია, რომ ამ თანხმობით ეკლესია აუფასურებს სრულიად საქართველოს იმ იურიდიულ ეკლესიურ - ტერიტორიულ მთლიანობასაც, რომელიც ღია ფანჯარად შეგვრჩა რუსეთის ეკლესიის სრულიად ღირსეული და მორალურად მტკიცე პოზიციის მეშვეობით, რუსეთის ორი პატრიარქის, მისი უწმინდესობის - ალექსი მეორისა და მისი უწმინდესობის- კირილეს პიროვნული თანადგომითა და მხარდაჭერით ქართველი ხალხისადმი. საჭირო ხდება საქართველოს ეკლესიის მხრიდან განმარტება ევროკავშირში და ნატოში გაწევრიანების აუცილებლობისა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თვალსაზრისით, წაშლა იმ საფუძვლიანი ვარაუდისა, რომ ნატოში გაერთიანება საბოლოო დაკარგვას ნიშნავს აფხაზეთისა და შიდა ქართლის ტერიტორიებისას და არა მხოლოდ. დღეისათვის ხომ სრულიად ნათელია, რომ აფხაზეთისა და შიდა ქართლის ტერიტორიები ქართველმა ხალხმა ჯერ საკუთარი ხელისუფლებისაგან უნდა მოიპოვოს და მერე რუსეთის ხელისუფლებისაგან. ის, რაც უკრაინაში ხდება დღეს, მთელი კაცობრიობის სირცხვილია, მაგრამ რაც ჩვენთვის მთავარია, საკუთრივ ჩვენი, ქართველი და აფხაზი ხალხის უმეცრების სახალხო გამოფენაც არის, რადგან ის, რაც უკრაინაში ხდება, უკვე მომხდარია ჩვენთან ქართველი და აფხაზი ხალხის ერთმანეთზე მისევით. ე.წ. ეთნიკური კონფლიქტი ქართველებსა და აფხაზებს შორის ისეთივე გამოგონილია მესამე ძალისაგან, როგორც კონფლიქტი რუსებსა და უკრაინელებს შორის. ეს ნომენკლატურები, ქართველი ხალხის მიერ უარყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელნი, საქართველოს ხელისუფლებიდან უკრაინის ხელისუფლებაში გადამსხდარნი, ჩვენი ხელისუფლება იყო წლების მანძილზე და ხელფასს ამერიკის მოქალაქე ჯორჯ სოროსი უხდიდა. ეს ხალხი წმინდა სამების საკათედრო ტაძარში, საქართველოს პატრიარქის გვერდით, კელაპტრებით ხელში იდგა და ხალხს ქრისტიანებად აჩვენებდა თავს. ამ ხალხისთვის ძალაუფლების გარდა სხვა ღირებულება არ არსებობს. ესენი კრემლში ალმსარებელი „ზეკაცის“ - ევგენი კაზიმიროვიჩ გორდეევის ბარტყები არიან. ნუთუ საქართველოს ეკლესია, რომელიც სინანულის ქადაგი და მონანიების მასწავლებელია, ამ ხალხს გულმშვიდად უყურებს და მათთან მიტევების რეჟიმში რჩება?! მაშინ იქნება აგვიხსნას საქართველოს ეკლესიამ ან მამა გიორგი ზვიადაძემ, რა არის ის ცოდვა, რომელიც არ მიეტევება ადამიანს? ქრისტეს სიტყვები რომ მოვიშველიოთ, ხომ ყველა ცოდვა მიეტევება ადამიანს, გარდა სულიწმინდის გმობისა? რა არის სულიწმინდის გმობა ჩვენი ეკლესიის გაგებით?! ეკლესიამ ხომ ნაციონალების ხელისუფლებას ის დანაშაულებიც შეუნდო, სამეგრელოს სამალავებში 24 ათასი ვიდეო ფირის სახით რომ იყო გადამალული?! დანაშაულები, რომელთა ნახვას უცხოეთის ელჩებმა ვერ გაუძლეს და დარბაზი დატოვეს, დანაშაულები, რომლის მსგავსი საშინელება ფაშისტური გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკებშიც კი არ მომხდარა და რომელმაც თავზარდაცემული მაყურებელი ნიურნბერგის ახალ პროცესებზე აალაპარაკა! ეკლესია ხომ ფაქტიურად ამერიკის კონგრესის ერთერთ რეზოლუციაში გაცხადებული იმ პოზიციის გვერდით დადგა, რომლის ავტორიც დამნაშავეთა დასჯას კი არ მოითხოვდა, არამედ დამნაშავეთა დასჯის მომთხოვნი მართლმსაჯულების დასჯას. ხოლო ამ ჯოჯოხეთსაც რომ თავი დავანებოთ, ნატოში გაწევრიანება ხომ მსოფლიო ომისაკენ მიმავალ გზაზე შედგომაა და ხელშეწყობა იმ ქაოსისა, რომლითაც მსოფლიოს ახალი წესრიგის მესვეურებს კაცობრიობა საბოლოო განადგურებისა და დაღუპვისაკენ მიჰყავთ?!

ეკლესიას დასჭირდა საჯარო პროტესტის გამოცხადება ორი უმნიშვნელოვანესი ანტიეკლესიური და ანტიეროვნული კანონის მიღების გამო საქართველოს პარლამენტის მიერ: საქართველოში არსებულ რელიგიათა უფლებამოსილებების გათანაბრების გამო ქართველი ერის ისტორიული და სისხლ - ხორცეული რწმენის ინსტიტუტთან - საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასთან და ე.წ. „ანტიდისკრიმინაციული“ კანონის გამო, მაგრამ დასჭირდა საკუთარი პროტესტის უარყოფაც, რადგან თავად პატრიარქის ჩარევაც კი ორი სრულიად მიუღებელი და შეურაცხმყოფელი კანონპროექტის მიღების პროცედურაში, არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ ხელისუფლებას კანონპროექტის მიღების პროცედურა შეეჩერებინა. სახეზე გვაქვს სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიის ძალზედ შეურაცხმყოფელი და უხეში იძულება თავისი საკუთარი პოზიციების დათმობისა სახელმწიფოს მხარდასაჭერად, რაც სამწუხაროდ, საბოლოოდ ეროვნულისა და ეკლესიური ერთმთლიანი ინტერესების დათმობის მნიშვნელობასაც იძენს... ერთ გაუცნობიერებელ გარემოებაზე გვინდა აქ ყურადღება შევაჩეროთ. გვინდა ვიცოდეთ, რომ საქართველოს ეკლესიამ და ქართულმა საზოგადოებამ ის ორი აღმაშფოთებელი კანონი, რომელთა გამოც ეროვნული სულისკვეთების ქარიშხალი ამოვარდა საქართველოში, სინამდვილეში, საქართველოს ეკლესიამაც და ქართველმა ხალხმაც, უკვე აღიარა და მიიღო მაშინ, როცა ედუარდ შევარდნაძის შემოტანილი მოქალაქეთა კავშირის იდეოლოგია აღიარა, მაგრამ ამის გაცნობიერება ვერც ქართულ საზოგადოებრივ, და მითუმეტეს ვერც ქართულ ეკლესიურ ცნობიერებაში, ვერ ხერხდება. ერის უბედურება კი სწორედ ამ „მოქალაქე-

12 gv.

წაკითხულ იქნა მოხსენებად ბიზანტინოლოგთა საერთაშორისო კონფერენციაზე, ბათუმში, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 2013 წლის 26 სექტემბერს, საკონფერენციო მოხსენებისთვის განკუთვნილი შესაბამისი, მოკლე ვერსიით.

11 gv.

თა კავშირით“ იწყება, რომელიც საფუძვლად უდევს ევროკავშირის, როგორც „გაერთიანების“ საბოლოო მიზანსაც. ევროკავშირის ოფიციალური წესდებით ევროკავშირის მიზანი მასში შემავალი წევრების, როგორც ეროვნული ინდივიდუალობების გაქრობაა, მათი გარდასახვით მოქალაქეთა საზოგადოებებად. ჩვენ მივემართებით მოქალაქეთა ევროპაში! და არა ეროვნულ სახელმწიფოთა გამაერთიანებელ ევროპაში. სხვათა შორის ის საბჭოთა კავშირი, საიდანაც გამოვედით, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური რესპუბლიკებისაგან შესდგებოდა და ჩვენ გვჭირდებოდა და მივისწრაფვოდით ეროვნული სახელმწიფოებრიობის თვითმყოფადობის უფრო მაღალი ხარისხისაკენ და არა ეროვნულობის უარყოფისა და სამოქალაქო საზოგადოებად გარდასახვისაკენ. ევროკავშირის ორგანიზატორებს არ აინტერესებთ ევროპაში მოღვაწე დიდი ქართველის, დიდი მწერლისა და მოაზროვნის, გრიგოლ რობაქიძის განცხადება, რომ კაცობრიობა წარმოუდგენელია ერების გარეშე! ევროკავშირის ორგანიზატორებს არ აინტერესებთ, რომ ქართველი ხალხისთვის წარმოუდგენელია ევროკავშირის იდეოლოგიური პრინციპები. **ისევე, როგორც საქართველოში შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირს“ ცნობილი სიონისტის ჯორჯ სოროსის ზოგად სიონისტური იდეოლოგია ედო საფუძვლად, ასევე უდევს ევროკავშირის იდეოლოგიასაც ქვაკუთხედად სიონისტური იდეა სამოქალაქო საზოგადოებისა. ფაქტიურად ევროკავშირის, როგორც ევროპის სახელმწიფოთა ახალი გაერთიანების შექმნით, ამ გაერთიანების ორგანიზატორთა მიერ, ერთიანობის იდეის სპეკულაციით და ევროპის სახელმწიფოთა შეტყუებით ამ ახალ გაერთიანებაში, ხორციელდება ევროპის სიონისტური „პერესტროიკა“**, ის, რაც უკვე შესდგა „საბჭოთა კავშირში“...აქ, საბჭოთა კავშირში, ეს მოხდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეის სპეკულაციით, საბჭოთა კავშირად გაერთიანებული სახელმწიფოების დაშლით დამოუკიდებელ სახელმწიფოებად და დამოუკიდებელ სამოქალაქო საზოგადოებებად, ხოლო „ევროპაში“ ეს ხდება ისტორიულად და რეალურად არსებულ უკვე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა გაერთიანებით და „ევროპული კავშირის“ შექმნით. ამიტომაც არის, რომ **„ევროკავშირს“ „ევროპის საბჭოთა კავშირსაც“ უწოდებენ**. სხვათა შორის ერთგვარ ღიმილსაც იწვევს ის ფაქტი, რომ ევროკავშირის იდეის პირველმაუწყებელნი, მალევე, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ, უკვე 1951 წელს, ევროპას მოუწოდებენ გაერთიანდნენ „ხალხთა მეგობრობის“ დროშით: „ჩვენ უნდა დავაახლოვოთ არა სახელმწიფოები, არამედ - ხალხები!“- აცხადებენ ისინი, რაც აშკარად ტოვებს შთაბეჭდილებას პლაგიატობისას სახელმწიფოებრივ აზროვნებაში და გამარჯვებული ქვეყნის, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო დევიზის, როგორც იდეის გადატაცებისას ევროპაში. ფაქტია, ევროკავშირის შექმნის მსურველმა ძალებმა ვერანაირი იდეა ვერ იპოვეს, ხალხების გაერთიანებისათვის, გარდა მათი ეროვნული ინდივიდუალობების წაშლისა, რადგან მათ, სინამდვილეში, ისევე არ აინტერესებთ ევროპის ხალხები, როგორც - საბჭოთა კავშირის ხალხები. ერთი სიტყვით, ქოთანს, საითაც უნდათ იქით მოაბამენ ყურს მსოფლიოს ახალი წესრიგის მესვეურები. მსოფლიო მათთვის არის „ქოთანი“, რომელსაც საკუთარი ცნობიერება არა აქვს. მიზეზი ამ თანამედროვე მსოფლიო გამოთაყვანებისა, მსოფლიო რეალობის ამ გაუცნობიერებლობისა, ფსიქოლოგიურიც გახლავთ. ეს არის განწყობა, შექმნილი ყალბი თავისუფლებისა და ყალბი დამოუკიდებლობის, ან ყალბი ერთიანობის იდეებით.

# საქართველო და ქართული ეკლესია აპოკალიფსის კარიბჭესთან

**წარმოიდგინეთ, როგორ და რა დონეზე უნდა შესძლონ ამ ძალებმა ადამიანების გამოთაყვანება, რომ მსოფლიოს ახალი წესრიგისათვის გააზრებულ ახალ სახელმწიფოებრივ გაერთიანებაში - ევროკავშირში გასაწევრიანებელ მანდატად დაგიწესონ ერთსქესიანთა ქორწინების მხარდაჭერა და შენ, საქართველომ და ქართველმა ერმა, ამ უძველესი ცივილიზაციების შემოქმედმა ხალხმა, ამ უდიდესი მორალური საგანძურის მქონე ქვეყანამ, ადამიანური ურთიერთობის ამხელა კულტურის, მოყვასის სიყვარულის ამხელა პოტენციალის ხალხმა, ძმადნაფიცობისა და დადნაფიცობის ამაღლებულ ტრადიციებზე დამყარებული მეგობრობის, სადვთო მიჯნურობის, „ვეფხისტყაოსნისა“ და „ვეფხისა და მოყმის“ ქვეყანამ იკადრო იმ ევროკავშირში გაერთიანება, რომელიც შენგან ამ მანდატს ითხოვს.** როგორ და რა დონეზე უნდა გამოათაყვანონ ქართველი ხალხი, როგორ უნდა დასცინონ, რომ ერის სულიერ მამას და სულიერ წინამძღოლს საკუთარი ხალხისადმი მიწერილ საშობაო ეპისტოლეში ჩაუწერონ, და ისე მიართვან ეს ეპიტოლე მორწმუნე საზოგადოებასა და ქრისტეს მოყვარე ქართველ ხალხს: „საქართველოს ეკლესია მიესალმება ევროკავშირის პოზიციას იმის შესახებ, რომ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება არ წარმოადგენს ევროკავშირის სრულუფლებიან წევრად გახდომის წინაპირობას, რაც ევროკავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის, ბ-ნ ფილიპ დიმიტროვის 2013 წლის დეკემბრის თვის განცხადებაში დაფიქსირდა“ თურმე!

**ეს სამარცხვინო, საქართველოს პატრიარქის შეცდომაში შესაყვანად შეთხზული ისტორიული ჩანართი, რომელიც საქართველოს ეკლესიას უბირი სუროგატი დედის როლში ამწყვდევს, გახლავთ არა დამსახურება ქართული ეკლესიის წინაშე ამ ჩართვის მომწყობი „მარდოქაიესთერისა“, არამედ მორალური ტყვია, რომელიც ესროლეს საქართველოს პატრიარქს, ესროლეს საქართველოს ეკლესიას და ქართველ ერს, ქრისტეს და რუსთველის საქართველოს. ამ ტყვიის ხმა მხოლოდ მორალურსმენადახშულ საზოგადოებას არ ესმის, თორემ ეს ტყვია სიონის ტაძრის კედლებსაც ბზარავს...** სამაგიეროდ, როგორც საქართველოს პატრიარქის ამავე საშობაო ეპისტოლეთი განიმარტება, საქართველოს ეკლესიამ ამ ტყვიით სახელმწიფოს სპეციალური სამსახურებისაგან ბინძური ხმების დაყრისა და ცილისწამების ნიაღვარი აიცილა, ხოლო ხელისუფლებამ მსოფლიოს გასაგონად მიიღო საქართველოს ეკლესიის მხარდაჭერა ევროკავშირში შესასვლელად: - საკმარისიაო ხელისუფლების მიმართ რაიმე საწინააღმდეგო აზრი ეკლესიის მხრიდან და მაშინვე წამოვაო ეკლესიის დისკრედიტაციისათვის გამიზნული გატალახიანების ნიაღვარი. - გვამცნობს თავისი მდგომარეობის ახსნას თავად საშობაო ეპისტოლეს ტექსტი.

როგორ შეიძლება ამ დონეზე დასცინო საქართველოს ეკლესიასა და ქართველ ხალხს, როდესაც ევროკავშირის წესდებაში გიწერია:“რომ ევროკავშირის წევრად გახდომის მსურველი ქვეყნისათვის ერთერთი მთავარი კრიტერიუმი წევრად გახდომისა გახლავთ ის, რომ წევრობის კანდიდატი ქვეყანა სცნობდეს ევროკავშირის საერთო წესებსა და სტანდარტებს, რომლებიც მოიცავენ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სავალუტო კავშირის მიზანთა მხარდაჭერას, პირველ რიგში კი დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა პატივისცემისა და თავისუფლებათა იმ გაგებას, რომელიც მოცემულია ევროპის კანონმდებლობაში. ევროკავშირში ეროვნულ ქვეყნებს საერთოდ არა აქვთ საკუთარი უფლებები. ევროკავშირის წესდებაში პირდაპირ წერია, ბოდიშების გარეშე: Ï ðî áëåì à í å ì î æåò áûòü ðåø åí à ãî ñóäàðñòâàì è - ÷ëåí - àì è ñàì î ñòî ÿòåëüí î ! ევროკავშირში გაწევრიანებით, შენ ,როგორც სახელმწიფოს, ალკვეთილი გაქვს არა მხოლოდ საკუთარი მორალური თვითმმართველობის უფლება, არამედ ჩაბარებული გაქვს ის საკუთარი სახელმწიფოებრივი სანუკვარი დამოუკიდებლობაც, რომლისათვისაც ამდენი უბედურება გადაიტანე. კიდევ ერთხელ მინდა ვახსენო საფრანგეთის მომავალი პრეზიდენტი, ქ-ნი მარინ ლე პენი ამ კონტექსტში: - „მე არ მოვიწვევ უკრაინას ევროკავშირის კოშმარში!“ - ეს გახლავთ არა მხოლოდ მარინ ლე პენის, არამედ ნამდვილი ევროპის პოზიცია, ამასთან არა მხოლოდ უკრაინის, არამედ საქართველოს მიმართაც. საინტერესოა, როგორ დაგვისაბუთებს ან საქართველოს პატრიარქი, ან საქართველოს სასულიერო აკადემიის რექტორი, ჩვენგან პატივცემული მამა გიორგი ზვიადაძე, რომ ეს „კოშმარი“, რომელიც დღევანდელი ევროპის ყველაზე წარმატებული პოლიტიკოსის მიერ „ევროკავშირს“ ჰქვია, აუცილებელია საქართველოსთვის. საინტრესოა, ჩვენს მიერ ზემოთ ხმობილი საქართველოს პატრიარქის გახმაურებული საშობაო ეპისტოლეთი, რას მიესალმებოდა საქართველოს ეკლესია და რა უხაროდა ამ ყალბი , საქართველოს პატრიარქის შეცდომაში შესაყვანად შეთხზული ან გამოგონილი ფილიპ დიმიტროვის განცხადებით, შეთხზულით იმისათვის რომ შემდგომ მთელი მსოფლიოს გასაგონად დაედასტურებინა საქართველოს პატრიარქს ის, რაც მისი სახელით მისსავე ეპისტოლეში იყო გაცხადებული: მხარდაჭერა ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანებაზე, ევროკავშირში, რომლის კონსტიტუციაშიც ქრისტიანობის მოხსენიება არ მოხერხდა.. უფრო სწორად: აიკრძალა. თუ, ვთქვათ, საქართველოს კონსტიტუციაში აისახა ქრისტიანობის როლი და დამსახურება ქართველი ერის ისტორიაში, ევროპის კონსტიტუციაში, ქრისტიანობამ ვერ მიიღო უფლება, რომ კონსტიტუციურად ყოფილიყო მოხსენიებული და დადასტურებული, მისი, როგორც გარკვეული დამსახურების მფლობელისა ევროპული ცივილიზაციის ჩამოყალიბებაში. ითვალისწინებს ამას საქართველოს ეკლესია?!

როგორც ცნობილია, სწორედ ამ გახმაურებული საშობაო ეპისტოლეს გამოსვლიდან ორ თვეში, 2014 წლის პირველ აპრილს, ეწვევა საქართველოს პატრიარქს დიდი ბრიტანეთის მინისტრი ევროპის საკითხებში, ბ-ნი დევიდ ლიდინგტონი, რამდენიმე დღეში, 24 აპრილს ეწვევა ისრაელის შინაგან საქმეთა მინისტრი, გიდეონ საარი, 26 აპრილს ეწვევა მალტის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი, ჯორჯ ველა, იტალიის ელჩთან - კახა სიხარულიძესთან ერთად. საქართველოს პატრიარქის განაცხადები , რომ საქართველოსთვის ევროკავშირში გაწევრიანება აუცილებელია, ქვეყნდება საქვეყნოდ. ყოველივე ამ განაცხადების შემდგომ, უკვე სამ დღეში საქართველოს პატრიარქისთვის ცნობილი ხდება, რომ საქართველოს პარლამენტში უკვე დაიწყო ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება სწორედ ევროკავშირში შესვლის წინაპირობის სახედ, რომელიც ვითომ საჭირო არ იყო. ფილიპ დიმიტროვის განცხადება გაბათილდა. 2014 წლის 30 აპრილს ინტერპრესნიუსი დებს საქართველოს პატრიარქის საპროტესტო განცხადებას ანტიდისკრიმინაციული კანონის წინააღმდეგ. მიუხედავად საქართველოს პატრიარქის მოთხოვნისა, რომ შეჩერდეს ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება და უზრუნველყოფილ იქნას საზოგადოების ჩართულობა მის განხილვაში, საქართველოს პარლამენტი სრული იგნორირებით ხალხისა და საზოგადოებისა და სრული და ღია უპატივცემულობით საქართველოს პატრიარქისა, 2014 წლის 2 მაისს, ერთხმად, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, ქართველი ხალხის სახელით იღებს ანტიდისკრიმინაციულ კანონს, რომელიც სხვადასხვა დისკრიმინაციულ გამოვლინებებთან ერთად, დისკრიმინაციად მიიჩნევს ერთსქესიანთა ქორწინების აკრძალვასაც. ამრიგად საქართველოს ხელისუფლებამ ზუსტად აღასრულა ევროკავშირის მოთხოვნა, რელიგიათა უფლებების გათანაბრებისაც და ტრადიციული და არატ-

**„საქართველოს ლეგიონი, რომლის საპატიო კავალერსაც საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი წარმოადგენს, გახლავთ ის საძირკველი, რომელზეც დაშენებულია ტამპლიერთა ორდენის სამხედრო მისია“.**

რადიციული ქორწინებების უფლებებისაც საკანონმდებლო წესით, აღასრულა როგორც წინაპირობა ევროკავშირში გაწევრიანების. ხოლო მას შემდეგ , რაც საქართველოს პარტრიარქმა დიმიტროვის განცხადებაზე დაყდნობით მსოფლიოს ამცნო, რომ საქართველოს გაწევრიანება ევროკავშირში აუცილებელია, აზრი დაკარგა საქართველოს პატრიარქის საპროტესტო განცხადებამ ანტიდისკრიმინაციული კანონის წინააღმდეგ და შეიძლება ითქვას, რომ სახალხო პროტესტიც გააუფასურა. აი, ეს პროცესუალური პოლიტიკური სპექტაკლი დაიდგა „მარდოქაი - ესთერის“ მექანიზმის ხერხებით , ევროკავშირის სასარგებლოდ და ქართველი ხალხის გასაბაიბურებლად. დიდი სტუმრები პატრიარქთან სტუმრობის დასასრულს სიამოვნებით ისმენდნენ პატრიარქის საგალობლებს- გვაუწყებს საპატრიარქოს ოფიციალური ვებ-გვერდი ახალი ამბებით....

**პასუხისმგებელი საქართველოს მომავლის წინაშე კი არც დღევანდელი პარლამენტია, არც „მარდოქაი-ესთერის“ მექანიზმი. ჯვარი პასუხისმგებლობისა ეკუთვნის საქართველოს პატრიარქს, და შესაძლოა უფრო მეტად ქართველ ხალხსა და ქართულ საზოგადოებრიობას. „მარდოქაი-ესთერის“ ავანტიურისტული დამსახურებანი საქართველოს ეკლესიის წინაშე კარგად არის წარმოჩენილი საქართველოს პატრიარქის გახმაურებულ საშობაო ეპისტოლეშიც და ბაგრატიონების საქორწინო სპექტაკლის მოწყობაშიც. „ქორწინება დამთავრებულია!“ -ოფიციალურად განაცხადა ესპანელმა დავით ბატონიშვილმა. დიახ, დამთავრდა კომედია, რომელიც მოაწყო საქართველოში მსოფლიოს მასონურმა მოძრაობამ, ამასთან საქართველოს პატრიარქის კურთხევით; მოაწყო ბაგრატიონთა დიადი სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად, საქართველოს მთელი ისტორიისა და დღევანდელობის ხელში ჩასაგდებად. დამთავრდა სპექტაკლი ქართველ ტამპლიერთა ორდენის პერსპექტიული მისიით: სოლომონის მეტაძრეთა მხედრობას ჩაბარდა საქართველოს საპატრიარქო და ბაგრატიონთა სამეფო ტახტების პატრონობა.**

საეკლესიო ორგანიზაცია ბაგრატიონთა ლეგიტიმური მემკვიდრის გასაჩენი საქორწინო სპექტაკლისა, რომლის მთავარ საყრდენსაც ბაგრატიონთა სამეფო ტიტულის: „დავითიანის“ ებრაულ-გენეტიკური გაგება წარმოადგენს, ისეთივე დამსახურება გახლავთ „მარდოქაი-ესთერის“ მექანიზმისა ქართველი ერისა და საქართველოს ეკლესიის წინაშე, როგორც იმ ზემოთხსენებული „ჩანაწერის“ მოწყობა საქართველოს პატრიარქის საშობაო ეპისტოლეში. ბაგრატიონთა „დავითიანობის“ ისტორიულად დასახიჩრებული და მცდარი გაგების საფუძველზე საქართველოს ეკლესიის მიერ განხორციელებულ იქნა ქართველი ერის თვითმყოფადობის დამანგრეველი და დღევანდელი მსოფლიო პოლიტიკის მესვეურთა ინტერესებში დაფესვიანებული სამი დიდი ღონისძიება:

1) საქართველოს საპატრიარქოსთან შექმნილი სრულიად საქართველოს ახალგაზრდული მოძრაობა: „დავითიანნი“, რომელიც საქართველოს ახალგაზრდობას შთაუნერგავს, ჯერ საქართველოს ბაგრატიონ მეფეთა შთამომავლობას ებრაელთა ბიბლიური მეფის - დავითისაგან, ხოლო შემდეგ ამ „ჭეშმარიტებაზე“ დაყრდნობით უქმნის იდეას სრულიად საქართველოს ახალგაზრდობის შთამომავლობისას ერთობლივად ორი დავითისაგან: დავით წინასწარმეტყველისა და დავით აღმაშენებლისაგან.

2) საქართველოს ეკლესია „მარდოქაი-ესთერის“ მექანიზმის საშუალებით აკურთხებს „ქართველ ტამპლიერთა ორდენს“, როგორც ღირსეულ დავითიანთა მხედრობას, რომლის ოფიციალურ მიზანდასახულებადაც რეგისტრირდება საქართველოს სამეფო და საპატრიარქო ტახტების პატრონობა. საქართველოს სამეფო ტახტი ამგვარი კურთხევით ოფიციალურად ბარდება დასაცავად მსოფლიოს მასონურ მოძრაობას, ანუ მსოფლიოს ახალი წესრიგის ორგანიზატორებს.

**3) ბაგრატიონთა ხელოვნური ქორწინებით, რომელიც არანაირი თვალსაზრისით საკუთრივ ტახტზე მემკვიდრეობის ლეგიტიმაციისათვის საჭირო არ იყო, ისახავდა ერთადერთ მიზანს:საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეობაში შემოყვანილიყო ესპანეთში გაზრდილი, მასონური ორიენტაციის დავით ბატონიშვილი, ქართველი ხალხისთვის და ქართული საზოგადოებრიობისთვის უცნობი პიროვნება, რომლის მხარდაჭერითაც დაფუძნებულ იქნა ე.წ. „ქართველ ტამპლიერთა“, ანუ სოლომონის მეტაძრეთა ორდენი.**

ამგვარად საქართველოს სამეფო ტახტის ლეგიტიმური მემკვიდრის იდეა იყო სპეკულაცია იდეით, რომლითაც საქართველოს მონარქისტული ხელისუფლება ხელში უნდა აეღოთ დავითისა და სოლომონის პოლიტიკურსა და ფინანსურ მემკვიდრეებს.

საქართველოს ეკლესიის მამებმა სრულიად დაივიწყეს ის ჭეშმარიტება, რომ თავად დავითი არავითარი ლეგიტიმაციის წესით არ მოდის სამეფო ტახტზე. ფაქტიურად თავად ლეგიტიმური უფლების მქონე უფლისწული, ისრაელის პირველი მეფის, საულის ვაჟი უთმობს მას ტახტს ყოვლად უჩვეულო საფუძვლით: მეგობრული სიყვარულით. პირველი მეფის, საულის ვაჟი - იონათანი, აღფრთოვანებული დავითის პიროვნებით, საკუთარ უფლებას უფლისწულობისას, უთმობს მას, და უფლიწულის მოსასხამს სჩუქნის. საული, მეფე, თავისი შვილის, ამასთან ყოვლად ღირსეული შვილის გამეფებისთვის იბრძვის და სძულს დავითი. იონათანი კი ებრძვის მამას და თავისი მეგობრის, დავითის დაფასებისთვის იბრძვის, რადგან მას, უფლისწულ იონათანს, თავისთავზე უფრო ღირსად ტახტისად, დავითი მიაჩნია. „-მამაკაცები ყველაფერს და ყველას თმობენ ძალაუფლებისათვის, ცოლსაც, შვილსაც, სიყვარულსაც და ძალაუფლებას არ თმობენ არავის გულისათვის“ ამბობს ერთგან დიდი ბერძენი ფილოსოფოსის, სოკრატეს მოძღვარი, ქურუმი ქალი - დიოტიმა.“ - მაგრამ ეს არ ეხება იონათანს, რომელიც ლომებს ეჭიდება... იონათანი სძლევს მამას, მეფე საულს, სძლევს იმით, რომ დავითს უტოვებს ტახტს..საულისა და იონათანის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ, დავითის მოსვლა სამეფო ტახტზე ხდება იონათანის მხარდაჭერის გაგრძელება. დავითისა და იონათანის მეგობრობა ეს იყო ადამიანური კეთილშობილების გამოვლენის, ფენომენალური უანგარობის, ფენომენალური მეგობრული სიყვარულის მაგალითი, არა მხოლოდ ებრაელი ხალხის ისტორიაში, არამედ მთელი კაცობრიობის ისტორიაში. ეს იყო განუმეორებელი სიყვარული და მეგობრობა, რომლის მსგავსი დედამიწის ზურგზე, რაც თავი ახსოვს კაცობრიობას, არ დაბადებულა. ხანდახან იონათანი მაგონებს ჩვენს ეროვნულ გმირს, მერაბ კოსტავას.. .. არ იქნება უინტერესო, ერთი-ორი ფრაგმენტიც ვიხმო მეფეთა წიგნიდან ამ უნიკალური მეგობრობის ამსახველი: „...შეეკრა იონათანის სული დავითის სულს და შეიყვარა იგი იონათანმა როგორც საკუთარი თავი.“(1მეფ. 18,1) გამწარდა მეფე საული: -„ კარგად იცის მამაშენმა, რომ მადლი ვპოვე შენს თვალში... - ეუბნება დავითი იონათანს - უფალს და შენს თავს გეფიცები, თუ ერთი ნაბიჯი არ იყოს ჩემსა და სიკვდილს შორის“ (1 მეფ. 20,3). „განურისხდა საული იონათანს და უთხრა: შე ურჩო, და უკუღმართო, განა არ ვიცი, რომ მეგობრად მოჰკიდებიხარ იესეს ვაჟს შენდა სამარცხვინოდ და დედაშენის შესარცხვენად“(1 მეფ.20,30). მიხვდა იონათანი რომ მამამისს გადაწყვეტილი აქვს დავითის სიკვდილი...მინდორში არიან დავითი და იონათანი. ნიშნეულად გამოსცადა იონათანმა თავისი თავი ისრების სროლაში. მხოლოდ დავითისთვის იყო გასაგები იონათანის ისრები: „ ადგა დავითი სამხრეთის მხრიდან, პირქვე დაეცა და სამგზის თაყვანი სცა (იონათანს). მერე გადაკოცნეს ერთმანეთი და ატირდნენ ერთად. დავითი უფრო მეტს ტიროდა. უთხრა იონათანმა დავითს: მშვიდობით იარე! როგორც ჩვენ ორთავემ დავიფიცეთ უფლის სახელით: უფალი იყოს ჩვენს შორის, ჩემსა და შენს შთამომავლობას შორის უკუნისამდე!“ (1 მფ.20,41-42).

საული და იონათანი ბრძოლაში დაიხოცნენ, გილბაოყის მთებში. გოდებდა დავითი საულსა და მის ვაჟს: „გილბაოყის მთებო, არ გეღირსოთ ცვარი და წვიმა... საულ და იონათან! საყვარელნი და სანატრელნი სიცოცხლეში, სიკვდილშიაც განუყრელნი არიან! არწივზე უსწრაფესნი, ლომზე ძლიერნი იყვნენ. .. ისრაელის ასულნო! იტირეთ საული, თქვენი შემმოსველი ძოწეულით და ძვირფასეულით, ოქროს სამკაულებით რომ გიმშვენებდათ შესამოსელს....ვგლოვობ შენზე, ძმაო იონათან! დიდად ძვირფასი იყავ ჩემთვის, საკვირველი იყო შენი სიყვარული ჩემდამი, ქალის სიყვარულზე ძლიერი.“ (2მეფ.1,21-26)... და დავითი იფიცებს უფალს და იონათანს ერთად.

დავითის, ვიღაც იესეს ვაჟისა და უფლისწულ იონათანის მეგობრობა მეფის ოჯახისათვის, იონათანის დედისათვისაც და მეფე-მამისათვისაც სამარცხვინო იყოგვიამბობს ისრაელის მეფეთა ბიბლიური ისტორია.

თუ ვინმეს შეუძლია ქვეყანაზე მეგობრობის ძალა იგრძნოს და მეგობრობის ფასი იცოდეს, ალბათ ეს საქართველოში შეუძლიათ. და საქართველოს ეკლესიის დიდმა მამებმა, რომლებიც პირველ რიგში მოძღვარნი იყვნენ და ადამიანური ბუნების ღვთაებრივ მიუწვდომლობას

ღვთისავე შექმნილ ხატში გრძნობდნენ, იონათანის კვალზე შეიყვარეს დავითი, იონათანის კვალზე ყველა მისი ადამიანური ცოდვა და სინანულის გოდებანი მისივე სათნოებრივი თვისებებით გადაფარეს და დავითიანობა, ანუ უბრალო მწყემსისა და მეფის საამებლად ქნარზე დამკვრელის აღსაყდრება გააცნებეს, როგორც სამეფო ტახტზე ასვლა საკუთარი ღირსებით და არა ბრმა ბედისწერითა და მემკვიდრეობით.

ამიტომ ეუბნება გრიგოლ ხანძთელი, დიდი მოძღვარი ქართული ეკლესიისა საქართველოს მეფეს, აშოტ კუროპალატს:

„დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ხელმწიფეო, მეფობაიცა და სათნოებანიცა მისნი დაგიმტკიცენ ქრისტემან ღმერთმან....“

დავითისებრი მეფობისა და დავითისებრ სათნოებათა მსურველი მამა და მოძღვარი ქართული ეკლესიისა, დიდი ზნეობისა და დიდი სულიერების მეუფე, გრიგოლ ხანძთელი, წინამძღვარი დიდი სამონასტრო სავანისა და თავად მეფისაგან მიდარებული დიდსა წინასწარმეტყველსა მოსეს, როგორც საკუთარი შვილისთვის, ისე შესთხოვს იესო ქრისტეს საქართველოს მეფისთვის, მეფურ ძლიერებასთან ერთად, მეფურად აღმატებულ სათნოებასაც, რომლის განსახიერებადაც დავითი ესახება. ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ არიან მოვლენილნი სამეფოდ არც დავით აღმაშენებელი და არც თამარი....ყოველთა მეფეთა სათნოებაზე აღმატებულნი....

ჩვენ ზემოთ უკვე ვახსენეთ სამართლის დოქტორის, ბ-ნ ავთანდილ კახნიაშვილის წერილები საქართველოს ხუთჯვრიან დროშასთან დაკავშირებით. ბ-ნი ავთანდილი ჩვენგან სრულიად დამოუკიდებლად იკვლევდა წლების განმავლობაში საქართველოს დღევანდელი სახელმწიფო დროშის გამოჩენის მიზეზებსა და სამართლებრივ საფუძვლებს. მისი გონება არ მოსცილებია არც საქართველოს ტრადიციული დროშის ბედს და არც დაუდგენელ უფლებამოსილებას საქართველოს ახალი დროშისას - ხუთჯვრიანი დროშის. მან, როგორც სამართალმცოდნემ ვერც სახელმწიფოს შესაბამის სტრუქტურებში და ვერც ეკლესიაში ვერ იპოვა პასუხი კითხვაზე: რატომ შეცვალა ნაციონალურმა მოძრაობამ საქართველოს სახელმწიფო დროშა?! მოგეხსენებათ, ისტორიულად მოწინაალმდეგის დროშის ხელში ჩაგდება, თითქმის მოწინაალმდეგის დამარცხების ტოლფასი იყო. უცხო ქვეყნის მიწაწყალზე დამპყრობლის დროშის აღმართვა , ფაქტიურად დაპყრობილი ქვეყნის განიარაღებისა და გამარჯვებული დამპყრობლის მორჩილებაში ყოფნას ღაღადებდა. ამ რამდენიმე ხნის წინ, ჩვენს მიერ გაზეთ „ქრონიკა+“- ში და გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული წერილით: “დღევანდელი მსოფლიო საუკუნის ფილმის მიღმა“ დავაყენეთ საკითხი მეორე მსოფლიო ომის ახსნისა, როგორც ომის, მსოფლიოს მმართველობაზე პრეტენზიის მქონე სამ ძალას შორის: გერმანულ ფაშიზმსა, ხალხის ძალაუფლებასა და საერთო საკუთრებაზე , ანუ კომუნიზმზე დამყარებულ და ხალხთა მეგობრობად გარდასახულ საბჭოთა კავშირსა და ძველი აღთქმის რჩეული ერის, ანუ ებრაულ სიონისტურ მოძრაობას შორის. მოგეხსენებათ, მეორე მსოფლიო ომის დასასრული ტრიუმფალურად აღინიშნა საბჭოთა

**უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბატონ ბიძინა ივანიშვილის პოზიციას, რამდენად არის იგი ამ მოვლენების სიღრმეში ჩახედული და ინფორმაციულ ლაბირინთებს დაუფლებული. რამდენად არის გათავისებული მის მიერ ქართველი ხალხის განსაცდელი, როგორც განსაცდელი. გაცნობიერებულია თუ არა მის მიერ რომ ყოველივე ამასთან დაკავშირებით, საფრთხეშია მთელი ქართველი ხალხის სიცოცხლე და მომავალი, და ქართველი ხალხის მხოლოდ დიდ ერთსულოვან შემართებაშია ამ განსაცდელიდან ხსნაც და მისივე საკუთარი დიადი მომავალიც.**

14 gv.

# საქართველო და ქართული ეკლესია აპოკალიფსის კარიბჭესთან

**ეს სამარცხვინო, საქართველოს პატრიარქის შეცდომაში შესაყვანად შეთხზული ისტორიული ჩანართი, რომელიც საქართველოს ეკლესიას უზირი სუროგატი დედის როლში ამწყვდევს, გახლავთ არა დამსახურება ქართული ეკლესიის წინაშე ამ ჩართვის მომწყობი „მარდოქაი-ესთერისა“, არამედ მორალური ტყვია, რომელიც ესროლეს საქართველოს პატრიარქს, ესროლეს საქართველოს ეკლესიას და ქართველ ერს, ქრისტეს და რუსთველის საქართველოს. ამ ტყვიის ხმა მხოლოდ მორალურსმენადახშულ საზოგადოებას არ ესმის, თორემ ეს ტყვია სიონის ტაძრის კედლებსაც ბზარავს...**

13 gv.

კავშირის დროშის აღმართვით გერმანიის დედაქალაქში, ბერლინში, რაიხსტაგზე. ცნობილია ისიც, რომ დროშა ქართველი ჯარისკაცის ხელით აღიმართა. მეორე მსოფლიო ომში მხარეები გამოკვეთილი იყო. დღეს ჩვენ საქმე გვაქვს მესამე მსოფლიო ომთან, რომელსაც მსოფლიოს ახალი წესრიგი ჰქვია, და მხარეებს წარმოადგენენ: მომწესრიგებლი ძალა და მთელი მსოფლიო, ოღონდ ეს მომწესრიგებელი ძალა არალეგალურად მომქმედი, ფარული და დამალული ძალაა, ებრაულ სიონისტური მოძრაობის სახით არსებული, რომელმაც მეორე მსოფლიო ომში გაწეული უდიდესი მსხვერპლის ფასად ორი ათასეული წლის დაკარგული სახელმწიფოებრიობაც აღიდგინა და აგერ სულახლახანს, საპარლამენტო დადგენილებაც მიიღო საკუთარი ეროვნული უფლებამოსილების აღმატებულებისა ყველა სხვა ერზე. კარგად დააკვირდით: მსოფლიოს ხალხების სამოქალაქო საზოგადოებებად გარდაქმნის იდეით, ყველა რელიგიების უფლებამოსილებათა და ამ რელიგიების მაღიარებელ ხალხთა უფლებების გათანაბრება- გათანასწორებით, მსოფლიოს ახალი წესრიგის ფორმით, ებრაულ-სიონისტურმა მოძრაობამ შექმნა რეალობა ერთი ერის აღმატებულობისა მთელ დანარჩენ მსოფლიოზე. საკმარისია, თქვენ ეს ხმამაღლა განაცხადოთ და თქვენს თავზე აღიმართება ანტისემიტიზმის მახვილი. რაც იმას ნიშნავს, რომ ანტისემიტიზმი აყვანილია ებრაელთა მსოფლიო ბატონობის ხარისხში. უფრო ზუსტად: თუ შენ არ აღიარებ რჩეულობას ებრაელი ერისას და კანონიერებას ებრაელთა მსოფლიო ბატონობისას, ეს იმას ნიშნავს, რომ დამნაშავე ხარ მსოფლიოს ახალი სახელმწიფოებრივი წესრიგის წინაშე. საქართველოში მსოფლიოს ახალი წესრიგის სახელმწიფოებრივი შემომტანი ქართველი ხალხის მხარდაჭერით, აღმოჩნდა მსოფლიოს ახალი წესრიგის ერთერთ არქიტექტორად აღიარებული და ე.ი. საბჭოთა კავშირის ერთერთი დამშლელიც, უდიდესი პოლიტიკური გამოცდილების მფლობელი ედუარდ შევარდნაძე. სამართლის დოქტორის ბ-ნ ავთანდილ კახნიაშვილის მიერ საქართველოს ხუთჯვრიან სახელმწიფო დროშაზე თავმოყრილი ინფორმაციიდან უმნიშვნელოვანესად მიმაჩნია ქართულ საზოგადოებრივ ცნობიერებაში მივიწყებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ხუთჯვრიანი დროშა, როგორც ახალი საქართველოს სიმბოლო პირველად შევარდნაძის პრეზიდენტობაში წარმოჩინდა, 1995 წელს, სწორედ მოქალაქეთა კავშირის წინასაარჩევნო ღონისძიებების დროს. მაშინ აკაკი ბაქრაძე ცოცხალი იყო და 1997 წლის გაზეთ „საქართველოს“ ერთერთ ნომერში, მას გამოუქვეყნებია კიდეც განმარტება, რომ საქართველოს სახელმწიფო დროშად აფრიალებული ხუთჯვრიანი დროშა იერუსალიმის სამეფოს ისტორიული დროშაა და დროშის ქურდობა არ დაგვბრალდესო.

უფრო სახიფათო ვარაუდებზე კი ბ-ნ აკაკის თავი შეუკავებია. მკითხველისათვის, ვფიქრობ, უინტერესო არ უნდა იყოს, რომ აგერ, სულ ახლახანს, ბათუმის ახალი საქალაქო სიმბოლოს შექმნის კონკურსში, რომელიც რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა ქალაქის მერიის ხელმძღვანელობით, უცებ რამდენიმე დღით, გამარჯვებული აღმოჩნდა პროექტი, რომელშიც ბათუმის, როგორც მსოფლიო მნიშვნელობის ქალაქის სიმბოლოდ წარმოდგენილი იყო ტამპლიერთა ღმერთად აღიარებული „ბაფომეტის“ ცნობილი გრაფიკული გამოსახულება. საკმარისი იყო საზოგადობის ცნობიერერებას ეს ვერ შეემჩნია და ხმაური არ აეტეხა, რომ ბათუმში დღესაც გვეყოლებოდა ბათუმელების მშობლიურ კერპად გამოცხადებული ბაფომეტი, ანუ ჰერმაფროდიტული თხის განსახიერება, რომელსაც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ოკლაჰომას შტატის კაპიტოლიუმის, ანუ შტატის სახელისუფლებო დაწესებულბის ეზოში, სატანისტური მოძრაობის მოთხოვნით, მოსეს ათი მცნების მემორიალის გვერდით უდგამენ მონუმენტურ ქანდაკებას. როგორც საჯარო ინფორმაციებით გახდა ცნობილი ამერიკის პრეზიდენტს, ბარაკ ობამას, არაფერი საწინააღმდეგო ბაფომეტის მიმართ არა აქვს, და როგორც ამბობენ, მოსწონს კიდეც. ამაში ალბათ არც არაფერია საკვირველი. ამერიკული რეალობის სპეციფიკა ამას იტანს. თავად ამერიკის შეერთებული შტატების ღერბში, იმდენად თვალწინ და ამავდროულად ისე შეფარვით არის მოკალათებული ებრაელთა ღმერთის, იაჰვეს სიმბოლო, ისრაელის დროშაზე აღბეჭდილი, როგორც იდენტობა ებრაელი ხალხისა, რომ სხვა ხალხის სიმბოლო რომ შეღწეულიყო ამერიკის ღერბში, ატყდებოდა ერთი ამბავი: ამერიკის ღერბში ადამიანის უფლებებიაო დარღვეული. არავინ არ დაობს, და ყველამ კარგად იცის, რომ ამერიკა მასონური სახელმწიფოა. ებრაული აზროვნების ფსიქოლოგიისა და ებრაელთა ბიბლიურ ისტორიაში დამკვიდრებული წესი ცხოვრებისა: უცხო ქვეყნების ძალაუფლებაში შეღწევისა და შემდეგ ამ ქვეყნების დასაკუთრებისათვის ბრძოლისა ქვეყნის პატრონი ხალხის გასაჟლეტად ან ასალაგმავად, ჩვეულებრივი, საკუთარი ღმერთისგან ნაკურთხი ქმედებაა ებრაელი ხალხისა. ამაზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ. **რა გასაკვირია, რომ საქართველოში, ჯორჯ სოროსის „სამეფოში“, საქართველოს თავზე ტამპლიერთა, ანუ ებრაელ მეტაძრეთა დროშა ფრიალებდეს. და ამით საქართველო, როგორც ქვეყანა იერუსალიმის სამეფოდ და ტამპლიერთა ქვეყნად ცხადდებოდეს, ოღონდ ისე, რომ ქართველ ხალხს ამაზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდეს. ჩვენ, ქართველი ხალხი, მსოფლიო სამართლიანობას ბალღურად მინდობილნი, ვდგავართ ფაქტის წინაშე: ე.წ. „ვარდების რევოლუციით“ მსოფლიოს სიონისტურმა მოძრაობამ გადმოსხა რა საკუთარი პოლიტიკური დესანტების გუნდი, საქართველოში მან ხელში ჩაიგდო სახელმწიფოს მმართველობითი მექანიზმი, რაც ნამდვილად ნიშნავდა საქართველოს, როგორც ქვეყნის ოკუპაციას ზემოდან, ადმინისტრაციულ - მმართველობითი ცენტრიდან. ეს ოკუპაცია მან გამოხატა თავისი, როგორც დამპყრობელის ისტორიული დროშის აფრიალებით საქართველოს დედაქალაქის მმართველი დაწესებულების, ქალაქის მერიის თავზე.**

იცნობდა რა საქართველოს რეალობას საუკუნეების განმავლობაში, ხელიდან არ გაუშვა ქართლის ცხოვრებაში, ისტორიის გარკვეულ ეტაპზე დაშვებული ცთომილება ბაგრატიონთა წარმომავლობისა ბიბლიური დავით მეფისაგან, ცთომილება, რომელიც არ გამორიცხავს არც ებრაულ მონაწილეობას ამ ცთომილების დანერგვაში, და დაიწყო მონარქისტული მოძრაობა საქართველოში ინფორმაციული ომის სახით ებრაული უფლებამოსილების წარმოსაჩენად საქართველოს სამეფო ტახტზე. საქართველოს მასონურმა ხელისუფლებამ ჯერ დავით აღმაშენებლის დროშაში მოინდომა დავით ებრაელთა მეფის აღმოჩენა,, ხოლო შემდგომ უკვე პირდაპირ გადავიდა სამეფო ტახტის პრეტენზიაზე, რაშიც საქართველოს ხელისუფლების გზით გვერდში დაიყენა საქართველოს ეკლესია. საქართველოს პატრიარქმა სვეტიცხოვლის წმინდა ტაძარში დავითის შთამომავალ უფლისწულად მონათლა ხელოვნური ქორწინებით ახალშობილი გიორგი ბაგრატიონი, ძე ანა ბაგრატიონ გრუზინსკისა და ესპანელი ბაგრატიონის - დავით ბატონიშვილის. საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდული მოძრაობა: „დავითიანნი“ სრულიად საქართველოს ახალგაზრდობას სახავს ორი დავითის;ებრაელთა მეფისა და დავით აღმაშენებლის შთამომავლობად. რელიგიური და ამავდროულად სამხდრო საძმო: ქართველ ტამპლიერთა ორდენი, თავს აცხადებს რა ღირსეულ დავითიანთა საძმოდ , საქართველოს სახელმწიფოს მიერ აღჭურვილია პოლიტიკური და სამხედრო უფლებამოსილებებით.

წინამდებარე გამოკვლევა უკვე გამზადებული მქონდა გამოსაქვეყნებლად, რომ ქართველ ტამპლიერთა ვებ-გვერდში დამჭირდა ჩახედვა. ჩვენ ვწერდით, რომ საქართველოს საპატრიარქოს დასჭირდა ოფიციალური განცხადება( 22.02.2011წელი) იმის დასამტკიცებლად, რომ საქართველოს პატრიარქს არ უკურთხებია ქართველ ტამპლიერთა ორდენი. 2014 წლის 14 ნოემბრის მონაცემებით, ქართველ ტამპლიერთა ორდენის ვებ-გვერდის მიხედვით, ქართველ ტამპლიერთა ორდენი სრულიად ღიად და დაბეჯითებით განიმარტება, როგორც ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დაფუძნებული და საქართველოს პატრიარქის ნაკურთხი ორდენი. ღიად მოგვეწოდება აგრეთვე ინფორმაცია, რომელიც აქამდე ჩვენთვის ცნობილი არ იყო: ქართველ ტამპლიერთა ორდენი, როგორც სამხედრო ძალა, კომპლექტდება საქართველოში არსებული ორმოცდაათამდე უპატრონო ბავშვთა სახლების კონტიგენტით და საშუალო სკოლებიდან შერჩეული კადრებით. ქართველ ტამპლიერთა ორდენის ოფიციალური მისამართია დღემდე: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. **ამრიგად საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტის დაკავებისათვის ტამპლიერთა ორდენს გვერდში უდგას და ამაგრებს საქართველოს სახელმწიფოს სამხედრო ძალა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მფარველობით. საქართველოს ლეგიონი, რომლის საპატიო კავალერსაც საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი წარმოადგენს, გახლავთ ის საძირკველი, რომელზეაც დაშენებულია ტამპლიერთა ორდენის სამხედრო მისია.** საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტი საფრთხეშია და დასახსნელია საქართველოს და მსოფლიოს მასონური ძალებისაგან. **უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბატონ ბიძინა ივანიშვილის პოზიციას, რამდენად არის იგი ამ მოვლენების სიღრმეში ჩახედული და ინფორმაციულ ლაბირინთებს დაუფლებული. რამდენად არის გათავისებული მის მიერ ქართველი ხალხის განსაცდელი, როგორც განსაცდელი. გაცნობიერებულია თუ არა მის მიერ რომ ყოველივე ამასთან დაკავშირებით, საფრთხეშია მთელი ქართველი ხალხის სიცოცხლე და მომავალი, და ქართველი ხალხის მხოლოდ დიდ ერთსულოვან შემართებაშია ამ განსაცდელიდან ხსნაც და მისივე საკუთარი დიადი მომავალიც.** უნდა ვიცოდეთ, რომ აქ ნამდვილად არ გამოდგება სხვისი ხელით ნარის გლეჯა. საქართველოს მომავალზე დღეს პასუხისმგებელია ყოველი ქართველი, რადგან დღევანდელი განსაცდელის მოპოვებაში ლომის წილი გვეკუთვნის ჩვენ თვითონ, ქართველ ხალხს. არ შევდრკეთ, განკურნება იწყება შემოყრილი სენის გაცნობიერებიდან, თუ რას წარმოადგენს იგი სენი და რა არის მისი მოსაშორებელი წამალი: „ვინ დამბადა შეძლებაცა მანვე მომცა ძლევად მტერთა...“

(დასასრული)

ქალბატონი **დენიზა სუმბაძე** მიმდინარე წლის 14 თებერვალს, შაბათს, 16 საათზე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (I კორპუსი, აუდიტორია №301) მართავს მოხსენებას გაზეთ „საერთო გაზეთში“ გამოქვეყნებულ შრომაზე „ქართველ ბაგრატიონთა სამეფო ტიტულის დავითიანის გაგებისთვის“ და შეხვედრას გაზეთის მკითხველებთან. **დასწრება თავისუფალია.**

**შეკვეთილი მასალა. ნარკვევში გამოთქმულ მოსაზრებებზე და ფაქტების სისწორეზე პასუხისმგებელია ავტორი**



# სოსო მანჯავიძე: ამ კანონის მიღება არის პირდაპირ ქვეყნის ღალატი, დიახ, ღალატი! აი, ასე დაწერეთ!

## რა ბრალდებებს უყენებს რესპუბლიკელებს სოსო მანჯავიძე?

**„საერთო გაზეთი“ საკრებულოს დეპუტატ სოსო მანჯავიძეს ესაუბრა.**

– ახლახან საკანონმდებლო ორგანოში კანონპროექტი: „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ დარეგისტრირდა. კანონპროექტის მიხედვით, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს საქართველოში მიწის ყიდვა, პრაქტიკულად, უპრობლემოდ, ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე შეეძლებათ.

ნახეთ, რას ვკითხულობთ ინიცირებული კანონპროექტის მუხლი 4 ბ) პუნქტის 1-5 ნაწილში: „ამ მუხლის პირველი პუნქტის ბ.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში უცხოელის მიერ შესაძენი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ფართობი არ უნდა იყოს 5 ჰექტარზე ნაკლები, ხოლო ჯამში შემძენის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ფართობი არ უნდა აღემატებოდეს 20 ჰექტარს. მუხლი 4. ბ) პუნქტის 1-6 ნაწილი: „უცხოელი მოქალაქის, ასევე უცხოელი მოქალაქის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის შესაძენი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ფართობი არ უნდა იყოს 20 ჰექტარზე ნაკლები, ხოლო ჯამში შემძენის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ან ნაკვეთების ფართობი არ უნდა აღემატებოდეს 200 ჰექტარს.

მოგეხსენებათ, საქართველოში იურიდიული პირის დაფუძნება სხვადასხვა სახელით შეიძლება და 80 ან 100 ლარი ღირს. ანუ აბსოლუტურად უკონტროლო იქნება იმ პოლიტიკური ფულით მიწების ყიდვა, დაიწყება ნაკვეთების გამსხვილება და ა.შ. საქართველოში არის დაახლოებით მილიონი და მილიონ ორასი ათასამდე ჰექტარი სახნავ-სათესი, ე.ი. რომ წარმოიდგინოთ, დაახლოებით 5 ათას ადამიანს, იურიდიულ ფირმას შეუძლია 200 ჰექტრამდე ნაკვეთი იყიდოს, ანუ მთლიანად შეისყიდოს საქართველოს მიწები !

მსოფლიოს ყველა ქვეყანაში დაწესებულია ისეთი საკანონმდებლო რეგულაციები, რომ მიწას უცხო ქვეყნის მოქალაქე პრაქტიკულად, ვერ შეიძენს, ჩვენთან კი რა ხდება?

**– დააკონკრეტეთ, რა შედეგს მოიტანს ამ კანონპროექტის მიღება, რა საფრთხეებს ხედავთ?**

– მოკლედ და კონკრეტულად გეტყვით, რა შედეგს მოიტანს მიწების უცხოელებზე გასხვისების, ანუ სამშობლოს გაყიდვის კანონის მიღება. ათიოდე წელიწადში ქართველები მიწის მსხვილ ნაკვეთებს მთლიანად გაყიდიან. მათი უმრავლესობა მიღებული ფულით თბილისში და ბათუმში შეიძენს ბინებს და მანქანებს. ვინც მიწის გაყიდვით ფულს ვერ იშოვნის, ბატრაკებად იმუშავებს უცხოელი ლატიფუნდისტების პლანტაციებში. ეს დროებით „გამოაცოცხლებს“' სამშენებლო ბიზნესს.

პლანტატორები, თურქები, აზერბაიჯანელები, სომხები, რუსები, ჩინელები, არაბები და ინდოელები იქნებიან. მიწების დიდი ნაწილი ''პოლიტიკური ფულით'' და ინტერესით იქნება შეძენილი.

ასეთივე იქნება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ბედი. მასაც უცხოური იურიდიული პირები შეიძენენ ელექტრონული ტენდერების მეშვეობით.

ესაა პერსპექტივა. იმედია, ამას მიხვდება საპარლამენტო უმრავლესობა. რამდენიმე დეპუტატს ვესაუბრე, ვნახოთ რა შედეგს გამოიღებს ჩვენი საუბარი.

აქ კიდევ სხვა საფრთხეებია, მაგალითად, როდესაც ინტერესია, არსებობს საშუალებები, რომ ისეთ ადგილებში იყიდონ მიწები, რომ სხვებისთვის შეუძლებელი გახდეს სოფლის მეურნეობის წარმოება. ეს გამოიწვევს უდიდეს გაუგებრობებს, მთელი დასახლებების მოწყვეტას სახნავ-სათესიდან და ა.შ. ანუ სასიცოხლო არეალების მოსპობას გამოიწვევს ეს, იმ შემთხვევაში, თუ იქნება არარეგულირებული და პირდაპირი მიყიდვის წესით, პირდაპირ ყოველგვარი დათმობის გარეშე უცხოელებზე მიწების გაყიდვა. და ეს იმ ქვეყანაში ხდება, რომელსაც ოთხივე მხრიდან დაუცველი აქვს საზღვრები, ყველა მეზობელთან აქვს ტერიტორიული ასე ვთქვათ პრობლემები და არის დემოგრაფიული ექსპანსია სამხრეთიდან. დიახ, ყველა მეზობელს აქვს პოლიტიკური ინტერესი ჩვენი ტერიტორიების მიმართ. ამ კანონის მიღება არის პირდაპირ დაღუპვა ჩვენი ქვეყნის და ყველანაირი პერსპექტივის მოსპობა. ჩვენს სიტუაციაში ამ კანონის მიღება არის პირდაპირ ქვეყნის ღალატი, დიახ, ღალატი, აი, ასე დაწერეთ.

**– რატომ დადგა ეს საკითხი დღის წესრიგში?**

– პირდაპირ გეტყვით, სამი მიმართულებით წავიდა აქ შეტევა: ეს მიმართულებები ადრეც იყო, უბრალოდ, არაფერი გამოუვიდათ, ახლა ისევ გამოაცოცხლეს. თვითმართველობის კოდექსი, მიწის უკონტროლო გაყიდვა და კანონპროექტი რეგიონალური ენების შესახებ, ჩაუვარდათ მაშინ ეს და ახლა კვლავ განაახლეს ეს მიმართულებები. იფიქრეს, საზოგადოებრივი აზრი მოდუნდაო და ისევ დაიწყეს ამ სამი მიმართულებით მოძრაობა, ამ მიმართულებებით აპირებენ მოქმედების გაშლას.

გაგახსენებთ, როდის დაიწყო ამ მიმართულებით მოქმედება, 2012 წლის 26 ივნისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა და დააკმაყოფილა დანიის მოქალაქე ჰაიკე ჰორნკვისტის სარჩელი, რითაც უცხოელ ფიზიკურ პირებს მიენიჭა შეუზღუდავი უფლება, შეესყიდათ ქართული მიწები. აღნიშნულ პერსონას სარჩელი დაუწერა და იურიდიული მომსახურება გაუწია კახაბერ ბენდუქიძის მფლობელობაში არსებულმა „თავისუფალმა უნივერსიტეტმა“. ამის შედეგად, 6 თვის განმავლობაში, 40 000-მდე უცხოელმა შეიძინა გაურკვეველი რაოდენობის მიწები აბსოლუტურად გაურკვეველი მიზნებით. ხელისუფლების ცვლის შემდეგ საზოგადოების ზეწოლის შედეგად პარლამენტის მიერ მიღებული იქნა მორატორიუმი. მორატორიუმის თავდაპირველი ვერსია გულისხმობდა მის დაწესებას 2017 წლის 31 დეკემბრამდე, თუმცა რესპუბლიკელებისა და ნაციონალების ინიციატივით აღნიშნული ვადა 2014 წლის 31 დეკემბრით განისაზღვრა.

ამავე დროს აგრარული კომიტეტის თავმჯდომარის, რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლის გიგლა აგულაშვილის ინიციატივით, ინიცირებულ იქნა ჩასწორება კანონში, რომლის მიხედვითაც, მორატორიუმის ვადის გასვლის შემდეგ, ქართული მიწის შესყიდვის განუსაზღვრელი უფლება ექნებათ, არა მარტო უცხოეთის ფიზიკურ, არამედ იურიდიულ პირებსაც. პარალელურად ''საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს'' მედია-ექსპერტმა მათიას ჰუტერმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანა სარჩელი, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული მორატორიუმის ანულირებას მოითხოვს. მხოლოდ ბრმა ვერ დაინახავს კავშირს ამ მოქმედებებს შორის და იმას, რომ ეს ერთი მიზნის მისაღწევად კოორდინირებული მოქმედებებია. საკონსტიტუციო სასამართლო მათიას ჰუტერის სარჩელის განხილვას უახლოეს მომავალში აპირებს და თუ საზოგადოებრივი აზრის ზეწოლა სათანადო არ იქნა, მას აუცილებლად დააკმაყოფილებს, რასაც შეიძლება შეუქცევადი შედეგები მოჰყვეს, ვინიდან თანამედროვე ფასების და ქართული მოსახლეობის დაბალი მსყიდველუნარიანობის გათვალისწინებით, პოლიტიკური ინტერესის ფაქტორი გადამწყვეტ როლს იქონიებს და ქართული მიწების უდიდესი ნაწილი აღმოჩნდება უცხოეთის ფიზიკური და განსაკუთრებით იურიდიული პირების ''კანონიერ'' მფლობელობაში. ბუნებრივია, რომ მიწების ფართომასშტაბიანი შესყიდვა სწორედ სამცხე-ჯავახეთის, აჭარის, სამეგრელოს და ქვემო ქართლის ტერიტორიებზეა მოსალოდნელი და მოამზადებს საფუძველს ადგილობრივი თვითმმართველობის კანონის მიღების შედეგად ჩამოყალიბებული რეგიონული სეპარატიზმის უფლებრივი განმტკიცებისათვის. აი, ეს არის. მათი მიზანი საქართველოში ეთნიკურ-რელიგიური სურათის აღრევაა. ესენი გარე შემკვეთების დავალებით მოქმედებენ.

**– ვინ არიან ეს გარე შემკვეთები ?**

– რუსულ-სომხური ინტერესები და თურქულ-აზერბაიჯანული ინტერესები როგორია მშვენივრად იცით. მგონი, ამით ყველაფერი ნათქვამია.

ჩვენი მოთხოვნაა, რომ მორატორიუმი გაგრძელდეს, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ამ მიწების უკონტროლოდ გაყიდვა.

მოვუწოდებ საქართველოს პარლამენტს, საქართველოს კანონში „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ ინიცირებული ვარიანტი არ მიიღოს, იმოქმედოს ქვეყნისა და საზოგადოების სტრატეგიული ინტერესების შესაბამისად.

**ქეთი ხომერიკი**
592 53 53 03



# დაბრუნება ოდაბადესთან

„წინა ხელისუფლების დროს საქართველოში ყველაფერთან ერთად მუზეუმებიც იყიდებოდა. მაგალითად, „მამულუქების" უკვდავი ავტორის, მწერალ კონდრატე თათარიშვილის („უარაღოს) სახლ მუზეუმი სოფელ ძველ აბასთუმანში, სოფლის მაშინდელმა გამგებელმა ისე „მიაყიდა" (და მიჩუმათებასაც ისე უპირებდა), თითქოს გარე ნათესავისგან ანდერძით რგებოდა. მაშინ, მახსოვს, სოფელი, როგორც ერთი, ისე გამოვიდა ამ გაუგონარი ვანდალიზმის წინააღმდეგ. მათ გვერდში დაუდგა მწერალი, სამეგრელო-ზემო სვა-



ნეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე შუკო ჯიქია. „ქვა გახეთქეს" და მწერლის ფიცრული სახლი სოფელს დაუბრუნეს, თუმცა „უიარაღოს" არქივი და პირადი ნივთების დიდი ნაწილი განადგურდა. ასე ვერაგულად და უყურადღებობით, უფინანსობით ნადგურდებოდა ზუგდიდში სხვა – იონა მეუნარგიას, ალექსანდრე საჯაიას, სოლომონ ცაიშვილის, ვანიონ დარასელის სახლ- მუზეუმები.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მუზეუმების მართვის ცენტრი, ახალი ხელისუფლების პირმშოა, ის 2013 წლის მაისში დაფუძნდა და მან ერთ ქუდქვეშ გაეერთიანა ყველა აქ არსებული სახლ- მუზეუმი.

პირველი, რაც თვალში შემოგეფეთებათ ცენტრის დირექტორის კონსტანტინე გურგულიანის კაბინეტში სწორედ წერილის თავში გამოტანილი სიტყვებია: „ერის დაცემა იწყება იქიდან, სადაც მთავრდება წარსულის ხსოვნა."

ბატონმა კონსტანტინემ მუზეუმები, მართალია, სულ მეორე წელია, რაც ჩაიბარა, მაგრამ საკუთარი ხელი კი დაატყო ყველაფერს...". დირექტორი მადლიერებას გამოთქვამს ყველას მიმართ, ვისგანაც კი ოდნავი მხარდაჭერა უგრძვნია სამუზეუმო პროექტების განხორციელებაში:

-„ყველაზე დიდი პროექტები, რაც 2014 წელს მუზეუმების ცენტრმა განახორციელა, პოეტ ზურაბ ნარმანიას სახლ- მუზეუმის, მედია- მუზეუმისა და სპორტული მუზეუმის გასახსნელად სახსრებისა და მასალების მოძიება და გახსნა გახლდათ. „დღეს ჩვენი ცენტრი უკვე რვა მუზეუმს აერთიანებს, თუმცა ახლო პერსპექტივაში კიდევ რამდენიმე სახლ- მუზეუმის გახსნა გვაქვს დაგეგმილი. სამეგრელო ბევრი „კარგი ყმის", ერისკაცის „ოდაბადეა" (დაბადების ადგილი) და მინდა ჩვენი ახალგაზრდები სწორედ მათ მაგალითზე იზრდებოდნენ, – აგრძელებს ჩვენთან დიალოგს გურგულიანი.

ექსკურსიას იონა მეუნარგიას სახლ-მუზეუმით ვიწყებთ: „რაკი სამართლიანი თაყვანისცემით მოვიხსენიეთ რუსთაველი, მაშინ უსამართლობა და უმადურობა იქნება დავივიწყოთ მისი მთარგმნელი. რუსთაველი მზეა და მთვარე მეუნარგია იქნება: „რადგან ვით მზის შუქით ჰნათობს მთოვარე, ისე რუსთაველის შუქით იმნათობებს მეუნარგიაც დღეის იქით ჩვენს მოღვაწეთა შორის," – ამბობდა იონა მეუნარგიაზე დიდი ილია. სხვათა შორის, მუზუმის ეზოში ამაყად მოშრიალე დაგხვდებათ (თუკი გადაწყვეტთ ჩვენთან სტუმრობას) ის საუკუნოვანი მაგნოლიის ხე, რომლის ჩეროშიც საქვეყნო ამბებზე ბჭობდნენ დიდი ილია და იონა მეუნარგია... იონას სახლ-მუზეუმი 1966 წელს, რუსთაველის საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით გაიხსნა და საფუძველი ჩაეყარა სახალხო დღესასწაულს - „იონაობას".

**კვლავ კოტე გურგულიანი მოგვითხრობს:**

- „საქართველოში დატრიალებულმა ამბებმა, ჯერ აფხაზეთის, შემდეგ სამოქალაქო ომმა, შინა უთანხმოებებმა, ხელისუფლებაში არაეროვნულ ფასეულობებზე ორიენტებულმა მთავრობამ ხალხს სახალხო დღესასწაული „იონაობა" დაავიწყა. ბედნიერი ვარ, რომ შარშან, მაისის თვეში ჩვენმა ორგანიზაციამ აღადგინა ეს ღონისძიება და ამით საფუძველი ჩაუყარა მივიწყებული ტრადიციის გაგრძელებას. ხალხმრავალი იყო „იონაობა." დაფუძნდა იონას სახელობის ფულადი პრემია, რომლის პირველი მფლობელი გახდა მწერალი შუკო ჯიქია. სახლ-მუზეუმს სადღესასწაულოდ ჩაუტარდა კოსმეტიკური რემონტი, გავაკეთეთ დამხმარე მეურნეობა, ელექტროგაყვანილობა. გამოვეცით საცნობარო, ფერადი ბუკლეტი, მწერლის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. (ტირაჟი 1000 ცალი) სხვათა შორის ასეთივე ტირაჟითა და ფორმატით გამოვეცით კონდრატე თათარიშვილის, ალექსანდრე საჯაიას, სოლომონ ცაიშვილის, ვანიონ დარასელის, ზურაბ ნარმანიას სახლ- მუზეუმების საცნობარო ბუკლეტები. ნნამდვილად ვამაყობ იმით, რომ დრო უქმად არ დამიკარგავს და უკვე მოვასწარით სოლომონ ცაიშვილის, ალესანდრე საჯაიასა და ვანიონ დარასელის სახლ- მუზეუმების სრული რემონტი, მთლიანი რეკონსტრუქცია. ამ მუზემებშიც მოწესრიგდა ეზო, ელექტროგაყვანილობა, დამხმარე მეურნეობა... ზაფხული კარს მოგვადგა. მალე შევუდგებით კარ-მიდამოს განაშენიანებას, ნერგების ჩაყრას... მინდა, ახალგაზრდებს ამ მუზეუმების სახით ისეთი კულტურული კერა ეგულებოდეთ, მოუხაროდეთ აქეთკენ... დღეს კი რა ხდება,- დაგეგმავენ ექსკურსიებს სკოლები, ვთქვათ, საგურამოში, ყვარელში, წიწამურში, იონა კი არავის გაახსენდება, არავის მოსდის აზრად ჯერ იონათი, „უიარაღოთი", საჯაიას სახლ-მუზეუმით დაიწყონ, იმიტომ, რომ ეს მუზეუმები წლობით იყო ხელისუფლებისგან მიუხედავი, ავარიულ მდგომარეობაში."

საოცრად ლამაზი სოფელია ძველი აბასთუმანი. სამეგრელოში ბუნების სიმშვენიერით ვის გააკვირვებ, მთაც გვაქვს, ბარიც, ზღვაც და მდინარეც, მაგრამ აბასთუმანს მაინც სხვანაირი მოწიწების თვალით ვუყურებ. ვფიქრობ, იმიტომ, რომ „უიარაღოს" მშობლიური სოფელია. თუმცა ეგეც არა, დადიანებმა სწორედ მისი მომხიბვლელობის გამო აირჩიეს აბასთუმანი საზაფხულო რეზიდენციად. აქაურ სასახლეში ცხოვრობდა ცნობილი მოჭადრაკე, სამეგრელოს მთავრის უფლისწული ანდრია დადიანი.

**კოტე გურგულიანი:**

–„წელს „უიარაღოს" სახლ-მუზეუმის რიგია. სახლი პირდაპირ მიწაზე დგას, თუ არ ავწიე ბიკულებზე, ან თუ არ დავუშენე



ქვის საყრდენი კედელი, დალპება და ჩამოიშლება".

აბასთუმნიდან ოდიშში, ძველ ლედგებიეში გადავდივართ. ალიოშა (კოკი) საჯაიას ახალგარემონტებულ სახლ- მუზეუმს პატარძალივით მოულღერებია ყელი. ეზოს ნაადრევად ამოწვერილი ყოჩივარდებისა და ენძელების წვიმა მოსდებია. აღტაცებული ვუყურებ და გონებაში ხმიანდება სიტყვები კოკის ლექსიდან: „ჩემი და თეთრი თოვლის ქალია და გაზაფხულზე ენძელად მოვა"

...მის მხოლოდ 27 წლის იყო, რომ გარდაიცვალა. ტუპერკულოზით დავადებულმა 1944 წელს სვანეთის მაღალ მთებში განუტევა სული, რევაზ მარგიანთან მოსაკეთებლად და დასასვენებლად ჩასულმა. ბარათაშვილზე ნათქვამისა არ იყოს, „ეღვთო იყო" მშობლების ერთადერთი შვილის, უნიჭიერესი პოეტის სიკვდილი, ამ ასაკში, თუმცა ასაკის სიმცირისა, მას ნამდვილი შედევრები, ჟანრობრივად მრავალფეროვანიაშემოქმედება დარჩა.

**კოტე გურგულიანი:**

– 31 მარტი ალექსანდრე საჯაიას დაბადების დღეა. მმას მომავალ წელს დაბადებიდან 100 წელი უსრულდება. წელს ჩვეულებრივად აღვნიშნავთ მის დაბადების დღეს, როგორც სხვა წლებში და სხვა მწერლებისას, 100 წლის იუბილეს კი გრანდიოზულად შევხვდებით. სახლის რემონტი დასრულებულია, ასევე აღდგენა გავუკეთეთ ექპონანტებს, განვაახლეთ სტენდები, ახალი და განახლებული სურათები ჩავსვით ახალ ჩარჩოებში, შუქი და ტუალეტი მოწესრიგებულია, აღსადგენი დაგვრჩა ჯარგვალი, რომელსაც ძალიან მალე ჩავდგამთ ეზოში. გარდა ამისა, გეგმაში გვაქვს და ძალიან გვეჩქარება გამოვცეთ პოეტის სამტომეული, რომელშიც თავს მოიყრის მის შემოქმედებასთან ერთად პირადი წერილები, ჩანაწერები, მოგონებები მასზე... როგორც ვიცით, ის ლადო ასათიანის, მირზა გელოვანის, გიორგი ნაფეტვარიძის თაობა იყო და არაფრით ჩამოუვარდებოდა მათ. უუბრალოდ, ალექსანდრე საჯაიას დღემდე არ ჰქონია ის დაფასება, რასაც ის იმსახურებს. ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ მისი პოპულარიზაციისთვის.

და, არა მარტო კოკის გავუწევთ პოპილარიზაციას, სხვა დიდი გეგმებიც გვაქვს სამომავლოდ."

**ფატი ნაჭყებია,**
**ზუგდიდი**



ვესაუბრებით ბატონ
**ნოდარ ნათაძეს**



# ნოდარ ნათაძე:

# თუ პუტინი ფართომასშტაბიან ომს დაიწყებს უკრაინის წინააღმდეგ, მაშინ მას თავისი გენერლები მოკლავენ

**— ბატონო ნოდარ, 2012 წლის არჩევნების წინ ინტერვიუში თქვენ მითხარით, რომ ახალ ხელისუფლებაში თუ არ იქნება ახალი სახეები და კვლავ ძველი პოლიტიკოსები მოიყრიან იქ თავს, ამათაც იგივე დაემართებათ, რაც მის წინამორბედებსო. პროგნოზი გარკვეულწილად ახდა, რადგანაც ხალხის უკმაყოფილება მთავრობის მიმართ დღითი-დღე იზრდება, სახელისუფლებო კრიზისი ხომ არ არის მოსალოდნელი?**

— ჯერ ერთი, დღევანდელ საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ განათლება გაანადგურეს, ხალხი დაამშიეს და ეკონომიკა გაანადგურეს, ხელისუფლების ინტელექტუალური დონე საშუალო მოქალაქის დონეზე უფრო დაბალია, მმართველის დონე და ინტელექტუალური ხარისხი უნდა იყოს წესით მაღალი. საქართველოში პირიქით არის, ნებისმიერ მოქალაქეზე უფრო დაბალია. დაბალი იყო კომუნისტების დროსაც, მერე შევარდნაძის დროსაც სააკაშვილის დროს საერთოდ დაბალი და ახლა იმაზე უარესი. მეორეც, არის ძველი გამოცდილება და სიბრძნე ბერძნებიდან მომდინარე, როცა ისინი თვლიდნენ, რომ როდესაც ჩახვალ უცხო ქალაქში, ქვეყანაში და გსურს იცოდე, ვინ არის მმართველი მეფე თუ ტირანი, როგორ უნდა გაარჩიო? თუ მას, მმართველს, საკუთარი თანამემამულეები იცავენ უცხოელებისაგან, ის არის კანონიერი მმართველი ანუ მეფე, ხოლო თუ პირიქით ხდება და უცხოელები იცავენ მმართველს საკუთარი ხალხისაგან — ის გახლავთ ტირანი.

**— ევროპაში დადგა საკითხი, ხომ არ მიაწოდონ იარაღი უკრაინას, რათა შეებრძოლონ მტერს, იქნება ეს სეპარატისტები თუ სხვა ვინმე, რამდენად რეალურია ასეთი მიდგომა?**

— იარაღი მიეწოდება პოროშენკოს, მაგრამ ეს მოხდება ამერიკიდან და არა ევროპიდან, ეს ცალსახაა. მიმაჩნია, რომ თუ უკრაინას მიეწოდება შესაბამისი რაოდენობის იარაღი, ის მოიგებს ამ ომს, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი შეუდარებლად ძლიერია. მოიგებს იმიტომ, რომ რუსეთი დროშას ვერ გაშლის! ვერ იტყვის ოფიციალურად, რომ ომი მაქვს რუსეთთანო — ეს მნიშვნელოვანია. შესაბამისად, ვერ გამოიყენებს იარაღის იმ სახეობებს, რომელიც სჭირდება ომის მოგებას. რუსეთს უკვე იმისი ძალა აღარ შესწევს, რომ „ფეხებზე დაიკიდოს“ დასავლეთის აზრი და განწყობილება. აშშ-მ განაცხადა, რომ უკიდურეს შემთხვევაში არ არის გამორიცხული სამხედრო მონაწილეობა. ეს იმას ნიშნავს, რომ პუტინი დგება არჩევანის წინაშე, ან უნდა თავისი „ნაფურთხი“ ალოკოს, რის შემდეგაც ის ნულამდე დაიყვანს თავის ავტორიტეტს და ან უნდა გადადგას ნაბიჯები ომის დაწყებისკენ. თუ ის ომს დაიწყებს, მაშინ მას თავისი გენერლები მოკლავენ! ეს არის ჩემი პროგნოზი. რუსეთში არსებობს აზრი იმაზე, რომ თუ იქ ომი დაიწყება უკრაინის წინააღმდეგ, მოსალოდნელია სახელისუფლო გადატრიალება, ძალადობით მმართველი ხელისუფლების დამხობა. ბოლო ხანებში ასეთი ჭორებიც ვრცელდება იქ, რომ პუტინს კიბო აქვს, ეს იმას ნიშნავს, რომ იქ მის მოცილებაზე ფიქრობენ უკვე.

**— როგორ ფიქრობთ, ევროპამ რატომ დაუშვა ის, რომ იქ გაზრდილი და მცხოვრები მაჰმადიანები ჯიჰადისტებად აქცია და დაიპირისპირა. რა იყო ამის მიზეზი, სავალალო შედეგები ყველამ ვნახეთ...**

— საერთოდ, დღევანდელ პოლიტიკაში რიგითი ადამიანი თამაშობს ძალიან ცუდ როლს, უნებურად. იციან რა მისი შედარებით ნაკლები ინფორმირებულობა, ნაკლები მიდრეკილება აზროვნებისადმი, მასობრივი ფსიქოლოგია და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ის სწრაფად იზრდება, როგორც მოქალაქე, სპეკულაციას ეწევიან ამ რიგითი ადამიანის ფსიქოლოგიაზე. პოლიტიკის დაგეგმვაში, გადაწყვეტილების მიღებაში და ა.შ. გარეგნულად, ფორმალურად თითქოს მათ ანგარიშს უწევენ, მაგრამ სინამდვილეში ძალიან ხშირად ატყუებენ, მათ ბევრ რამეს უმალავენ. ევროპულ მსოფლიო პოლიტიკაში გაუთვალისწინებელი რჩება მთელი რიგი ფუნდამენტური მხარეები ადამიანის ბუნებისა. ამიტომ ისეთი პარამეტრები არის უგულებელყოფილი პოლიტიკაში, რომელთა უგულებელყოფაც უსათუოდ კატასტროფის მომტანია. ერთ-ერთი ასეთი მოვლენაა ის, რომ ევროპაში მცხოვრებ მუსულმანებს არა აქვთ დარჩენილი დე-ფაქტოდ ფსიქოლოგიური გზა, რომ თავი დაცულად და დაუჩაგრავად იგრძნონ.

**— არასამთავრობოების როლი დღევანდელ ქართულ პოლიტიკაში როგორია?**

— სამარცხვინოა, არასამთავრობოები საბჭოთა კავშირის დროს იყვნენ მებრძოლი ადამიანები, რომლებიც ებრძოდნენ დიქტატურას, იმპერიას, დღეს ვითარება შეიცვალა, ახლა არასამთავრობოები ზოგი კარგია, ზოგი ცუდი. უმეტესობა თავის მოწოდებად სთვლის იმას, რომ დააბეზღონ ქართველი საზოგადოება არადემოკრატიულობაში. დაბეზღების ადრესატი გახლავთ მსოფლიო. ავიღოთ, მაგალითად, ომბუდსმენი უჩა ნანუაშვილი — რას წარმოადგენს? ის არის კარიკატურის კარიკატურა! არარაობა! მან ეს პოსტი მოიპოვა იმიტომ, რომ წერდა — ბოდიში მოვუხადოთ აფხაზებსო! სულელი და გაუნათლებელია! ასეთი ხალხი თავის მოწოდებას ხედავენ არა იმაში, რომ გაჭირვებულ ხალხს დაეხმარონ, არამედ იმაში, რომ დააბეზღონ ქართველი საზოგადოება არასაკმარის დემოკრატიულობაში დასავლეთის წინაშე — ეს არის და ეს!

**— რამდენად რეალურია ნატოს საწვრთნელი ბაზების განთავსება საქართველოში, როგორ შეხვდება ამას რუსეთი?**

— რუსეთი, გარდა პუტინის ისტერიული გამოხდომებისა, ძალისმიერ ნაბიჯს უკვე ვერ გადადგამს იმიტომ, რომ ამ ეტაპზე მას ეს ძალა აღარ გააჩნია. საქართველოში პრინციპი ჩვენი საამხედრო კავშირისა დასავლეთთან, აუცილებელია. ჩვენს ქვეყანას, როგორც სამშობლოს ქართველი ერი დაიცავს თავად, მაგრამ ევროპის სამხედრო ტექნოლოგიური დახმარებით, შეიარაღების შეთანხმებული სახით, იმიტომ, რომ შეიარაღება ჩვენ არ გვაქვს და არც გვექნება კიდევ კაი ხანს. არ შეიძლება, რომ ჩვენ ქვეყანას იცავდნენ სხვები, თავად უნდა გავაკეთოთ ეს.

**ეთერ კასრელიშვილი**
599 110 200





იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

## საქართველოს დიასპორის სამინისტროს და „საერთო გაზეთის“ ერთობლივი პროექტი

# ქართველი „საპატიო ვაშინგტონელების“ საოცარი თავგადასავალი



პაატა და ირინა ციქურიშვილები

უკვე ოთხ ათეულ წელზე მეტია, შეერთებული შტატების დედაქალაქში ყოველწლიურად საპატიო ვაშინგტონელებს ასახელებენ. ჟურნალი „ვაშინგტონელი“ მკითხველებსაც და წინა წლების ნომინანტებსაც, მთლიანად საზოგადოებას სთხოვს, დაასახელონ ის ადამიანები, რომლებმაც შტატების დედაქალაქის ცხოვრება შეცვალეს. ჟურნალის რედაქცია ამითაც არ კმაყოფილდება და, ვიდრე გამარჯვებულებს საბოლოოდ გამოავლენს, კიდევ ერთ კვლევას ატარებს იმაში დასარწმუნებლად, რომ „საპატიო ვაშინგტონელის“ კანდიდატებად მართლაც ღირსეული ადამიანები შეარჩიეს.

ამერიკაში უკვე სახელგანთქმული „სინეტიკ თეატრის“ დამფუძნებლები პაატა და ირინა ციქურიშვილები პირველი ქართველები არიან, რომლებსაც „საპატიო ვაშინგტონელის“ საპატიო ტიტულები აქვთ მინიჭებული „ადგილობრივი თეატრის საზღვრების გაფართოებისთვის“.

**„ირინა და პაატა ვაშინგტონის საუკეთესო სახეები არიან. ისინი თეატრის ახალი კონცეფციით ჩამოვიდნენ და ვაშინგტონელები სრულიად განსხვავებულ, გასაოცარ ხელოვნებას აზიარეს. ეს არა მარტო ადგილობრივი საზოგადოებისთვის არის მნიშვნელოვანი, არამედ ზოგადად, ხელოვნებისა და კულტურის განვითარებისთვის“,** — აცხადებს „ვაშინგტონელის“ პრეზიდენტი და გამომცემელი მერილ უილიამსი.

* * *

პაატა ციქურიშვილი თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში კინორეჟისორის პროფესიას მერაბ კოკოჩაშვილის ჯგუფში ეუფლებოდა, სამსახიობო პანტომიმას — ამირან შალიკაშვილთან. 80-იანი წლების ბოლოს, პანტომიმის თეატრის დასი გერმანიაში თეატრალურ ფესტივალზე მიიწვიეს. გასტროლების დასრულების შემდეგ ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა იქ დარჩენა გადაწყვიტა, რომ „სათავისო ცხოვრება მოეძებნათ, საკუთარი თავისთვის ეშველათ, რადგან თეატრების ფანჯრებიდან მიტინგებსა და ხალხის დარბევას“ უყურებდნენ. ეს ის პერიოდია, როცა საბჭოთა ქვეყნის ნგრევაც უკვე დაწყებულია, ამიტომაც ასეთი საქციელისთვის მკაცრი პასუხი არ მოუთხოვიათ. დაშინება კი სცადეს, მაგრამ ბევრს ვერაფერს მიაღწიეს. 1991 წლიდან ზაარბრიუკენში დამკვიდრნენ, ვიდრე ენას ისწავლიდნენ, გაუჭირდათ:

**პაატა ციქურიშვილი:** **„უცხო ქვეყანაში, უცხო კულტურაში ყოფნისას გარკვეული დეპრესიები გავიარეთ. ნელ-ნელა შევეგუეთ ამ ყველაფერს. მერე ჩვენი შემოქმედებითი გზაც ვიპოვეთ — მიმოდრამის თეატრი დავაარსეთ. გარკვეული პერიოდის შემდეგ თბილისში ჩამოსვლაც შევძელით. რობიკო სტურუას მოწაფესთან, მერაბ სვირავასთან ერთად დავდგით ვარიაციები შექსპირის თემაზე და ამით ისევ გერმანიაში წავედით. კიდევ რაღაც ნოველებსაც ვთამაშობდით. ამას მოჰყვა „ფაუსტი“ და ა.შ. მერე ფრანკფურტში ავტომანქანა „პეჟოს“ რეკლამა გავაკეთეთ და კონცერნმა ჩვენთან 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. მაშინ მოგვეცა საშუალება, რომ ჩვენს თეატრს ავტობუსი ჰყოლოდა. გადაადგილების პრობლემა აღარ გვქონდა და ვახერხებდით სხვადასხვა თეატრში თამაშს“.**

იმავე პერიოდში პაატას მეუღლე — ირინა ამერიკაში გაემგზავრა მამასთან, რომელიც 90-იანი წლებიდან იქ მუშაობდა ტანვარჯიშის მწვრთნელად. ირინა, თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის კურსდამთავრებული, საბავშვო სტუდიაშიც მუშაობდა და ტანმოვარჯიშეებსაც ასწავლიდა ბალეტს. პაატა ციქურიშვილისთვის კი ამერიკაში — საოცნებო ქვეყანაში ცხოვრების ათვლის წერტილი 1995 წლის ოქტომბერია. იქ ჩასულს ეიფორია მალევე გაუქრა:

**„ამერიკაში თავმომწონედ ჩავედი, ასეთი გამოცდილი არტისტი ვარ-მეთქი და სულ სხვა რეალობას შევეჯახე. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ცაში ვიყავი და უცბად დავეტყეპე ძირს. დეპრესიაში ჩავვარდი. ჩემმა სიმამრმა მითხრა, დაწყნარდი, ყველაფერს დრო უნდა, ინგლისური ისწავლე და ნელ-ნელა მიხედავ შენს საქმესო. რომ ჩავედი, ჩემი კუთხე მქონდა, მანქანაც დამახვედრა, მაგრამ ქართველი, კახელი ვარ და მორალურად მიჭირდა სიმამრის კისერზე ცხოვრება“.**

სხვადასხვა საქმე მოსინჯა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, გადაწყვიტა თავის სპეციალობას — პანტომიმას დაბრუნებოდა. ემიგრანტის მსახიობის შესახებ ტრაგიკომიკური მონოსპექტაკლი მოიგონა, სახე თეთრი ნიღბით დაიფარა და რესტორნებში დაიწყო ჩვენება.

**„თავს დამცირებულად ვგრძნობდი — თეატრის მსახიობი ვარ და რესტორანში როგორ უნდა გამოვიდე-მეთქი, ამიტომაც გავიკეთე თეთრი ნიღაბი. ვისგან დავიმალე, არც ვიცი — ალბათ საკუთარი თავისგან...“**

მალევე ირინა და 5 წლის შვილი — ვატოც შეეშველნენ, მაგრამ თავს მაინც დამცირებულად გრძნობდა. რესტორანში მომხდარი ერთი შემთხვევის შემდეგ მიხვდა, რომ პანტომიმა წინა საუკუნის მკვდარი ხელოვნება იყო და რასაც აკეთებდა, არავის სჭირდებოდა. სინთეზური თეატრის შექმნის იდეა სწორედ ამ კრიტიკულ დროს გაუჩნდა, მაგრამ ვიდრე თეატრს დააარსებდა, მანამდე იმით დაინტერესდა, რომელ თეატრში რა იდგმებოდა, როგორ იდგმებოდა და ისიც, თავის მხრივ რა აინტერესებდა მაყურებელს. ამასობაში ერთმა პროდიუსერმა შეამჩნია და მიიწვია საბავშვო თეატრში, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო ანდრეი ბაბელი, ოდესელი მწერლის, ისაკ ბაბელის შვილიშვილი. მან შესთავაზა, აქედან წავიდეთ და ჩვენი თეატრი გავხსნათო. ასეც მოიქცნენ — 1997 დააარსეს თეატრი-სტუდია: პაატა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გახდა, ანდრეი კი — პროდიუსერი.

**„როცა ბაბელმა თეატრის დაარსება შემომთავაზა, გადავწყვიტეთ, სტანისლავსკის ინტერნაციონალური თეატრი-სტუდია გაგვეკეთებინა. 1997 წელს დავიწყეთ თამაში. ჩემთვის, როგორც რეჟისორისთვის, ეს პირველი ნაბიჯები იყო. ჩვენს სპექტაკლებს უცაბედი წარმატება მოჰყვა. კრიტიკოსებმა აღმოაჩინეს რაღაც უცნაური ქალაქში. სპექტაკლებში იყო პლასტიკა, მოძრაობა, ცეკვა, დრამა, ტექსტი. ამერიკაში უამრავი შუქი და ფერი არსებობს, გადაჩახჩახებულია ყველაფერი. როგორ გინდა, ისეთი შუქი აანთო, რომ ყურადღება მიიქციო?! სინთეზური სპექტაკლის ფერი ნამდვილად არ ჰქონდათ. ეს ჩემი მოგონილი არ არის. ჯერ კიდევ ახმეტელსა და მარჯანიშვილს აქვთ ჩაყრილი ამის საფუძვლები. წაკითხული მქონდა, რომ სინთეზურ თეატრს კარგად გაწვრთნილი მსახიობები სჭირდებოდა. თავიდან, მგონი, მხოლოდ მე და ირინა ვიყავით გაწვრთნილი. ჩვენ რომ სხვანაირი შუქი ავანთეთ და გავიბრწყინეთ, სხვა მსახიობები დაინტერესდნენ და მოვიდნენ ჩვენს თეატრში. ჩვენ კი მათი გაწვრთნა დავიწყეთ. ეს პროცესი დღემდე გრძელდება“.**



ბაბელთან თანამშრომლობა ოთხ წელიწადს გაგრძელდა — ყოველი სპექტაკლის დადგმა კამათს იწვევდა, რადგან თითოეული დადგმის სხვადასხვა მეთოდს ემხრობოდა. შემოქმედებითი კონფლიქტი იმით დამთავრდა, რომ ერთმანეთს გაემიჯნნენ. 2001 წელს პაატა ციქურიშვილმა იმავე ორგანიზაციის ფარგლებში დააარსა „სინეტიკ თეატრი“. სახელწოდებაც თვითონ მოიგონა — ორი ინგლისური სიტყვის სინთეზია: SYNthesis – KinETIC – SYNETIC.

SYNETIC THEATER
DC'S PREMIER PHYSICAL THEATER

**„კინოხელოვნებასთანაც ახლოს არის, მოქმედებაც არის... სიმბოლურად კარგი სახელია და თან მოკლეა. 2001 წელს დავდგი „ჰამლეტი“, მერე „სტუმარ–მასპინძელი“, „ფაუსტი“ და „სალომე“. სეზონი რომ დაიხურა, ჩვენმა თეატრმა დიდი აღიარება მიიღო. პირველად ვიყავით ნომინირებული ვაშინგტონის თეატრალური „ოსკარით“ — „ჰელენ ჰეიზ ევარდი“ ერთდროულად ავიღეთ 7 ნომინაციაში. რეჟისურაში მე მივიღე ჯილდო, ირინამ — ქორეოგრაფიაში, სპექტაკლმაც გაიმარჯვა... ეს იყო თავბრუდამხვევი წარმატება... ერთ კვირაში ანდრეიმ გამოგვიგზავნა წერილი, სადაც ეწერა, რომ მე და ირინა სამსახურიდან გაგვათავისუფლეს ფინანსების უქონლობის გამო. ხელფასის გარეშე დავრჩით. მაშინ თან გაბრაზებული და თან გახარებული ვიყავი, რადგან 85 თეატრს შორის აღიარება დიდი საქმეა. რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრები რომ გვაქვს, დაახლოებით ისეთი დონის თეატრები მონაწილეობდნენ. ამ დროს კი ჩვენ აგვიტაცეს ხელში. ამერიკული პრესა წერდა, „სინეტიკის თეატრმა“ ვაშინგტონის თეატრის სახე შეცვალაო.**

პრემიები კი მიიღეს, მაგრამ უსამსახუროდ დარჩნენ. პაატა და ირინა ნიუ-იორკში აპირებდნენ წასვლას, მაგრამ თეატრალური ხელოვნების ერთმა ქომაგმა და მეცენატმა გადააფიქრებინა — დამოუკიდებელი თეატრის შესაქმნელად დაფინანსებას დაჰპირდა, თვითონ კი დირექტორთა საბჭოს წევრობას დასჯერდა.

**„აქ თეატრი არამომგებიანი ორგანიზაციაა. შემოწირულობებით არსებობენ. თეატრს მთავრობა ცენტს არ აძლევს. საბედნიეროდ, ბევრია მეცენატი, რომლებსაც თეატრის ანგელოზებს ვეძახი. გულით უნდათ დახმარება, ყოველგვარი მოგებისა და ქულების ჩაწერის გარეშე უნდათ, თავიანთ ქალაქს რაღაც მისცენ“.**

ასე დაიწყეს დამოუკიდებელი ცხოვრება 2003 წელს. სულ მალე ვაშინგტონის პრესტიჟულმა კენედის ცენტრმა, რომელსაც ყველაზე დიდი საკონცერტო დარბაზი აქვს, 5-წლიანი კონტრაქტი გაუფორმა. ამას მოჰყვა ახალი კონტრაქტი შექსპირის თეატრთან. ახლა „სინეტიკ თეატრის“ განკარგულებაშია 400-კაციანი დარბაზი, სადაც ყოველ ორ-სამ თვეში სპექტაკლის პრემიერა იმართება.

არსებობის განმავლობაში თეატრში რამდენიმე ათეული სპექტაკლი დაიდგა და არაერთი საინტერესო ექსპერიმენტი განხორციელდა. ახლა უკვე იციან თეატრალებმა, რომ „სინეტიკ თეატრი“ შექსპირს უსიტყვოდ თამაშობს, მაგრამ თავის დროზე ამ ამბავს კრიტიკოსთა წარმოუდგენელი ვნებათა ღელვა მოჰყვა. რეჟისორის მხრიდან ეს იყო რისკი, რომელმაც გაამართლა:

**„მახსოვს, სანამ „ჰამლეტის“ პრემიერას ვითამაშებდით, ისე გამაკრიტიკეს, რომ... ერთი ამბავი ატყდა. როცა სპექტაკლი დასრულდა, დარბაზში სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა და კინაღამ გავგიჟდი... ერთ წუთში ნამდვილი ოვაცია მოგვიწყვეს“.**

პრემიერის შემდეგ ცნობილ შექსპიროლოგსა და შექსპირის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელ მაიკლ კანს კრიტიკოსთა გასაგონად უთქვამს, შექსპირი მარტო სიტყვა არ არისო. პაატა ციქურიშვილის უსიტყვო დრამას — „ჰამლეტს“ „სიჩუმის ხელოვნება“ უწოდეს.

ერთ-ერთი პირველი სპექტაკლი, რომელიც რეჟისორმა შემდგომ წლებში შვიდჯერ დააბრუნა სცენაზე (ერთხელ 2008 წლის ომის შემდეგ და ამით გამოხატეს პროტესტი რუსეთის მიმართ), იყო ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“, რომლის დადგმის იდეა თეატრის ხელმძღვანელს 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ გაუჩნდა:

**„ამ სპექტაკლით ჩემს შინაგან პროტესტს გამოვხატავდი ამ მოვ-**

**ლენის მიმართ, მინდოდა ქართული ტოლერანტული ხასიათი მეჩვენებინა,** – ამბობს პაატა ციქურიშვილი, რომელიც ვაშინგტონის ბიბლიოთეკაში შემთხვევით გადააწყდა ვაჟაფშაველას ამ ნაწარმოების ინგლისურ თარგმანს. დრამატურგთან ერთად სცენარი შექმნა, ნაწარმოებს კუთხური დიალექტი ჩამოაშორა, ემოციური განვითარება, შინაარსი და გენიალური კონცეფცია კი შეინარჩუნა.

Washington Post-ი, რომელმაც „სტუმარ-მასპინძელი" ბოლო ათი წლის საუკეთესო სპექტაკლების ათეულში დაასახელა, წერდა:

**„ეს არ არის ჩვეულებრივი დადგმა, პოლიტიკური მანიფესტია, რომელიც თეატრის სავიზიტო ბარათად იქცა. ეს არის კაცობრიობის მარადიული თემა, ეს არის პალესტინა, სომალი, აფხაზეთი, ავღანეთი, ერაყი, დაღესტანი და ყველა ის ცხელი წერტილი, რომლებიც დღეს მსოფლიოს ასე აწუხებს..."**

ეს მართლაც ქართული დადგმა გამოვიდა: სპექტაკლის მუსიკალურ გაფორმებაზე იმუშავეს გია ყანჩელმა და ვახტანგ კახიძემ, მხატვრულად გააფორმა გოგი ალექსი-მესხიშვილმა, ხოლო როლებზე...

**„ბატონი კახი კავსაძე ასრულებდა მუსას როლს. მისთვის მუსას როლის შეთავაზება შოკი იყო, მაგრამ დაგვთანხმდა. ტექსტები ისე დაიზეპირა, ისე კითხულობდა... საოცარი სტიმული და მუხტი მოიტანა. უნდა გენახათ, რა მაგარი მუსა იყო – რომ დასჭექავდა, აზანზარებდა ყველაფერს! ჩემს მსახიობებს ფერი მისდიოდათ. პრემიერაზე კახიმ დაანგრია იქაურობა. კი არ თამაშობდა, სცენაზე ცხოვრობდა. ამერიკელები გაგიჟდნენ... ზვიადაურს თამაშობდა ირაკლი კავსაძე და აღაზას – ირინა. მე ვარ ერთადერთი რეჟისორი, რომელმაც კავსაძეების დინასტია ერთად დააყენა სცენაზე".**

2003 წელს, როდესაც „ჰამლეტმა" და „სტუმარ-მასპინძელმა" მიიღო 7 ნომინაცია, ისე გამოვიდა, რომ საუკეთესო რეჟისურის, საუკეთესო თეატრალური დასის, საუკეთესო ქორეოგრაფიის კატეგორიებში ეს ორი სპექტაკლი ეჯიბრებოდა ერთმანეთს, ანუ **„სხვა თეატრებთან ერთად ჩვენ, ჩვენივე ნამუშევრის კონკურენტები ვიყავით და „ჰამლეტმა" მიიღო ყველა მთავარი პრიზი. „ჰამლეტის" საუკეთესო რეჟისორი – ეს იყო ჩემი პირველი Award. მახსოვს სიხარულისგან ცრემლები გადმომცვივდა, მერე ირინა ციქურიშვილი სცენაზე რომ ავიდა საუკეთესო ქორეოგრაფიის პრიზის ასაღებად, დამიჯერეთ, მე დარბაზში მართლა ვტიროდი..."**

როცა თეატრს საკუთარი შენობა გაუჩნდა, რეჟისორის ექსპერიმენტებს უფრო დიდი გასაქანი მიეცა. მაგალითად, „მეფე ლირის" დროს (რომლის ხმის რეჟისორი ირაკლი კავსაძესთან ერთად კიდევ ერთი ქართველი, კომპოზიტორი კონსტანტინე ლორთქიფანიძეა, ცნობილი მსახიობის „ლორთქიას" შვილი) მთელ სცენაზე ქვიშას ყრიდნენ და სპექტაკლის ბოლოს მსახიობებთან ერთად მაყურებლებიც ერთიანად დამტვერილი იყვნენ.

**„ღრმა ქვიშით დაფარულ სცენაზე მოძრაობა სერიოზული გამოწვევა აღმოჩნდა. სილაში ძალიან რთული იყო ცეკვა, რომელიც თავიდან ჩვეულებრივი სცენის იატაკზე დავდგი. შემდეგ, როცა სილაში გადავიტანეთ, ზოგიერთი ელემენტის შეცვლა მომიწია, რადგან მათი შესრულება მსახიობებისთვის წარმოუდგენელი გამოდგა. მოგვიანებით ქვიშა კორპით ჩავანაცვლეთ".**

შექსპირის მიხედვით დადგმულ სპექტაკლ „ქარიშხალში" მაყურებელთა დარბაზის წინა რამდენიმე რიგში მსხდომ მაყურებლებს სპეციალურ ლაბადებს ურიგებენ, რადგან სცენაზე მსახიობები, ფაქტობრივად, აუზში თამაშობენ.

**„ამბიციური სპექტაკლი გამოვიდა. კონცეპტუალურად წყალი მოუხდა ნაწარმოების შინაარსს, წყლის ეფექტმა სპექტაკლი შოუდ, მისტიკურ თრილერად აქცია თავისი გახმოვანებით, განათებით, სპეცეფექტებით, წყალზე ცეკვით, ანარეკლებით... ლამაზი სპექტაკლია, საოცარ განწყობასა და მაგიურ სამყაროს ქმნის. წყალზე გადატანილ ქორეოგრაფიას, თვითონ წყალს თავისი ხმაურით, მოძრაობით შემოაქვს ემოცია და ხასიათი".**

თეატრალური მიმომხილველები გაოცებას ვერ მალავენ ამ „სუნთქვისშემკვრელი" სპექტაკლის შემოქმედებითი ჯგუფის მიგნებების გამო და ამბობენ, რომ ვაშინგტონს ასეთი მაღალი დონის სპექტაკლი, თითქმის კინემატოგრაფიული ბლოკბასტერი, აქამდე არ უნახავს. სპექტაკლში თამაშობენ მამა შვილი კავსაძეები – ირაკლი და ირინა.

**„ირინა სხეულის ექსპრესიით გადმოგვცემს გმირისთვის უჩვეულო ხასიათსა და თავისუფლებას, რომელსაც სამეფო სასახლის წესები არ ზღუდავს... ირაკლი კავსაძე, დასის ყველაზე გამოცდილი წევრი ჯამბაზის როლს ასრულებს... დამწყებმა სტუდენტებმა უნდა იხილონ ამ ორი მსახიობის თამაში და ისწავლონ მათგან, რამდენის გაკეთება შეიძლება ერთი ბოთლით ან უბრალოდ ქოლგით ხელში..."** (ამონარიდი ამერიკული პრესიდან)

2012 წლის ნოემბერში პაატა და ირინა ციქურიშვილები თავის დასთან ერთად თბილისს ესტუმრნენ და შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში ქართველ მაყურებელს უჩვენეს ორი სპექტაკლი „სტუმარ-მასპინძელი" და „მეფე ლირი". საოცარი შთაბეჭდილება მოახდინეს.

**„ჩემი ოცნება იყო ჩვენი დასის ჩამოყვანა საქართველოში. 17 წლის მერე ამიხდა ოცნება. ქართველი მაყურებელი სხვა ფენომენია. სხვა ენერგია და სითბო გვაქვს, სხვანაირი სიყვარული ვიცით. საქართველოში „სტუმარ-მასპინძელი" რომ ვითამაშეთ, ყოველი სცენის მერე ხალხი ტაშს გვიკრავდა. ჩემი არტისტები დაიბნენ, ვერ გაიგეს, რა ხდებოდა. კულისებში იტირეს, როცა პირველი მოქმედების შემდეგ დაინგრა ყველაფერი.**

**ძალიან მინდა, ჩემი სპექტაკლები წელიწადში ერთხელ მაინც, ერთი კვირით საქართველოში ჩამოვიტანო, რომ ყველამ ნახოს. თანხების გარეშე ამხელა დასის ჩამოყვანა ტექნიკურ პერსონალთან ერთად შეუძლებელია. იმედი მაქვს, რომ საქართველოში გამოჩნდება სპონსორი, რომელიც ჩვენი მგზავრობის ხარჯებს გაიღებს, მე კი ვეცდები, თანხების ნახევარი ამერიკაში მოვიძიო. მთავარია ინიციატივა იყოს, ჩვენ მზად ვართ".**

ოცი წელია, პაატა და ირინა ციფურიშვილები ამერიკაში ცხოვრობენ შვილებთან – ვახტანგთან და ანასთან ერთად. განებივრებული არიან მაყურებლებით, თეატრალური პრემიებით, წარმატებებით... პრიზებისა თუ პრემიების მიღების შემდეგ, მეორე დღესვე თავიანთ საყვარელ საქმეს და ცხოვრების ჩვეულ ტემპს უბრუნდებიან, რადგან კარგად იციან: კიდევ ერთი წითელი ხალიჩის შემდეგ მათი პასუხისმგებლობის თამასამ კიდევ უფრო მაღალ ნიშნულზე აიწია.

**ელზა ნაბახტეველი**



# სიკეთის მქადაგებელი

## ჟურნალისტი ვილენ მარდალეიშვილი 70 წლისაა



1966 წლიდან ცენტრალურ ქართულ პრესაში გამოჩნდა მასალები, რომლებსაც ხელს აწერდა ვილენ მარდალეიშვილი. ეს მასალები, ძირითადად, ეხებოდა ქართული კულტურის საკითხებს.

სულ მალე ცხადი გახდა, რომ თავისი მოღვაწეობის ასპარეზად ქართული კულტურა ვილენს გასართობად არ აურჩევია. და არც იმისთვის, რომ ასე რაღაც კაპიკები ეშოვა.

მისთვის ქართული კულტურა იყო, არის და იქნება ის მთავარი რამ, რომელზედაცაა დამოკიდებული ქართველი ერის ყოფნა-არყოფნა.

აი, ხელთა მაქვს 2005 წელს გამოცემული ძალიან ორიგინალური მცირე ზომის წიგნი, რომელსაც ყდაზე აწერია: „ვილენ მარდალეიშვილი „უფლის საჩუქარი".

ეს წიგნი ვილენის ერთი გრძელი მონოლოგია, მეტად კარგად მიგნებული ფორმაა წიგნისა. ვილენი უამბობს თავისი ცხოვრების და თავისი ქვეყნის ამბებს თავის შვილიშვილს, პატარა ანანოს, რომელსაც ჯერ კი არ ესმის, რას ელაპარაკება ბაბუა, მაგრამ, ცხადია, გენებით შეიგრძნობს, რაც უთხრა ბაბუმ.

ჩვენს ანბანზე ვილენი ასე ეუბნება ანანოს:

„შენ უნდა შენსავით დახატული ასო-ნიშნები გამოიყვანო ქათქათა ფურცელზე, ანანო, ჩვენი 33 სასწაული უნდა შეიყვარო და დააფასო, ბაბუ... უნდა გახსოვდეს, რომ მსოფლიოში 2000-ზე მეტი ენაა, ანბანი კი მხოლოდ 14. ერთ-ერთია ქართული ანბანი, შორეული საუკუნეებიდან მომდინარე, რომელიც, როგორც იწერება, ისე იკითხება... რა ქნას, ბაბუ, ჩვენისთანა მცირე ერმა ამ ბობოქარ საუკუნეში, როდესაც გლობალიზაცია ჩაყლაპვას გვიპირებს?.. თქვენი თაობა სწორედაც რომ განუმეორებელი ქართული ანბანის, ენის, კულტურის სიდიადეს უნდა დაეყრდნოს, მას დაუდგეს დარაჯად და ისე აშენოს მამა-პაპათა დანატოვარი, ოცდამეერთე საუკუნის საქართველო..."

თანდათან, ნელ-ნელა ისე მოხდა, რომ ვილენის ინტერვიუ წერილები ერთგვარ გზამკვლევად იქცა და მკითხველი მათი მეშვეობით შეიტყობდა, თუ რა იყო ყურადღებამისაქცევი ჩვენს კულტურაში.

და მეტად ბუნებრივი იყო ის ამბავი, რომ ვილენ მარდალეიშვილმა გვირგვინი დაადგა თავის საქმეს და 800 000-ტირაჟიან გაზეთ „კომუნისტში" შემოიღო რუბრიკა „დღევანდელი ნომრის სტუმარი".

ალბათ, უთვალავი ქართველისთვის იყო სასიხარულო, რომ რუბრიკა ვილენმა გახსნა უსაყვარლესი ადამიანის – ნიკა აგიაშვილის პორტრეტით, რომლის წიგნი „ჭაბუკები დარჩნენ მარად" უნდა გქონოდა წაკითხული, თუ წიგნიერ ქართველად მიგაჩნდა თავი.

აქ, ალბათ, ლოგიკური იქნება, თუ დავსვამთ კითხვას, რითი იზიდავდა და იზიდავს ვილენის წერილები მკითხველს?

ვფიქრობ, ამ კითხვას ამომწურავად გასცემენ პასუხს ქართული ჟურნალისტიკის მომავალი მკვლევარები, ხოლო ჯერჯერობით უნდა ვიკმაროთ ის, თუ როგორ დაახასიათა ვილენ მარდალეიშვილის შემოქმედება დიდმა ქართველმა პოეტმა ზაურ ბოლქვაძემ:

„მე ტოტალურ შენს სტრიქონებს  
ვყლაპავ, როგორც ვიტამინებს,  
გაგიმარჯოს ძმას და პოეტს  
ინტერვიუს ტიტან ვილენს!"

ზაურ ბოლქვაძეს დაეჯერება.

თუ არა მან, აბა, ვინ იცოდა უკეთ, ვინაა კაცი და ვინ, ამასთანავე, პოეტიცაა.

სხვათაა შორის, სწორედ მან ააღორძინა მეოცე საუკუნის საქართველოში რუსთველური მიმართვა „ლომო!"

სულით ხორცამდე რომანტიკოსს სურდა შოთას გმირების მსგავსი კაცებით ყოფილიყო დასახლებული საქართველო. და ერთ-ერთი უპირველესი „ლომი" მისთვის სწორედ ვილენი იყო...

დაბოლოს, წერილი უნდა დავამთავრო იმით, თუ როგორ მიმართავს ვილენი ზემოთ ნახსენებ წიგნში თავის შვილიშვილს:

„შენ როცა ამ მოგონებებს წაიკითხავ, ანანიკო, შეიძლება იფიქრო, სულ ასე კეთილი ადამიანებით როგორ იყო გარშემორტყმული ბაბუაჩემიო... არ ვიცი, ბაბუ!.. ფაქტია, რომ მე თითქოს არ შემხვედრია ბოროტი კაცი ცხოვრებაში. კი, როგორ არ „ჩავჭრილვართ", როგორ არ „შეგვშლია" რაღაც-რაღაცები, მაგრამ ბოროტი სული ჩემგან შორს იყო... შეიძლება იმიტომაც, რომ თვითონ მე ვცდილობდი მთელი ცხოვრება, სიკეთე მეთესა, აკი, ჩემს ჟურნალისტიკას „სიკეთის ჟურნალისტიკა", ადამიანის მოფერება შეარქვეს კოლეგებმა თუ მკითხველებმა..."

მეც მინდა, ჩემი ხმა შევუერთო უამრავი ქართველის გულისთქმას:

გაგიმარჯოს ვილენ მარდალეიშვილო! კვლავაც შენთან იყოს უფალი!

**გურამ პეტრიაშვილი**

# „ააფეთქებს“ თუ არა იური ვაზაგაშვილის ამფეთქებელი სოსანაშვილი „შტერ“ ირაკლი ფირცხალავას?

პროკურატურის ოფიციალური განცხადებით, გადამოწმებული იქნა მობილური ტელეფონების მომსახურე ანძების აბონენტები, დაიკითხა ათეულობით მოწმე, განისაზღვრა დანაშაულის შესაძლო ჩამდენ პირთა წრე და, რაც მთავარია, საფლავზე დამონტაჟებული ხელყუმბარის სახელურზე დარჩენილი დნმ-ის კვალი იქნა აღმოჩენილი, რის მიხედვითაც უტყუარად დადგინდა მკვლელის ვინაობა — პოლიციელი გიორგი სოსანაშვილი.

ის, რომ გიორგი სოსანაშვილი ირაკლი ფირცხალავას ფეისბუქმეგობარი აღმოჩნდა, დანაშაულად და მითუმეტეს გასაცარ ამბად ვერ ჩაითვლება, ნაცნობს და შენივე სისტემის მაღალჩინოსანს კი არა, სრულიად უცნობ ადამიანს შეაქებ იმავე სოციალურ ქსელში, საინტერესო თვით სოსანაშვილის პიროვნებაა.

დღეისათვის, სოსანაშვილი არ აღიარებს რომ მან დაამონტაჟა ასაფეთქებელი მოწყობილობა, მითუფრო, ის თქვას, ვისი დავალება შეასრულა, არც სასამართლოს გამოუტანია დასკვნა, ამიტომ საუბარი იმაზე, რომ დანაშაული გახსნილია, ძალზე ნაადრევია.

ვიღაცამ სიტყვად თქვა, ზურა ვაზაგაშვილის დაბადების დღეს უნდათ დაამთხვიონ „კორტების საქმის“ გახსნა და ვიღაცას შემოაგდებენ ახლაო. სიმბოლოებით საუბარი „ნაციონალურ ხელისუფლებას“ ახასიათებდა და რამდენადაც საქართველოს პროკურატურა კვლავ „ნაცკადრებითაა“ წარმოდგენილი, ამის მცდელობა რომ მართლაც იყო (თუ დაემთხვა) არც არის გასაკვირი, მაგრამ „კორტების საქმეში“ არაფერი ჩანდა გამოსაძიებელი, სახეზე იყო წინასწარგანზრახული საჩვენებელი მკვლელობა. ახლა, მამა ვაზაგაშვილის მკვლელის პოვნაც დაერთო, მაგრამ...

ვთქვათ, ირაკლი ფირცხალავამ შური იძია ხუბულოვზე ძმის გამო და ამხელა სპეცოპერაცია მოაწყო საჯაროდ, რასაც ამ ვერსიით, სრულიად უდანაშაულო ზურა ვაზაგაშვილიც შეეწირა, ახლა რამდენად აწყობდა ვაზაგაშვილის მამის აფეთქება? როგორც მოხდა, რომ ყველამ ხელი მისკენ გაიშვირა, თვითონაც ხომ იცოდა, რომ ასე მოხდებოდა, დავიჯეროთ, ასეთი შტერია ფირცხალავა?

მარტივი კითხვა დავსვათ: ყველაზე მეტად ვის არ „აწყობდა“ დღესდღეისობით კონკრეტულად იური ვაზაგაშვილის მოკვლა? — უპირველესად ირაკლი ფირცხალავას და უნიათოდ გამოცხადებულ მოქმედ ხელისუფლებას.

ოდნავ წარსულში გადავინაცვლოთ — ხაზგასმით იმეორებდნენ, იური ვაზაგაშვილი ძალიან ნაწყენი იყო ახალი ხელისუფლების, ამბობდა, „გადამაგდესო“; ბოლო ბრიფინგზე სულ მუშტი ურტყა მაგიდას გამწარებულმაო; ბოლოს კი, მოკვლამდე ორიოდე დღით ადრე ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილთან იყო შეხვედრაზე და ორიოდე დღეში მოკლეს კიდეცო. გარეშე პირს ისეთი შთაბეჭდილებაც კი შეიძლება დარჩეს, რომ თითქოს ვიღაც ფონის შექმნას ცდილობდა, ვითომდა დახურულ კარსმიღმა რაღაც ისეთიც კი მოხდა, რომ ივანიშვილი აღშფოთდა და... როგორც ჩანს, ვიღაცებს ძალიან უნდოდათ, ეჭვის კვალი ხელისუფლებისკენ წასულიყო, მაგრამ თავი ვერ მოება ამ მიმართულებას... ვერც იქით წავიდა საქმე, რომ იური ვაზაგაშვილის აფეთქებას სახალხო მღელვარება მოჰყოლოდა, თუმცა იყო ამის მცდელობა, რაც მეორე შვილმოკლულმა მამამ, სოსო რობაქიძემ აღნიშნა და დასძინა, არავის მივცემთ საშუალებას, ტრაგედია სათავისოდ გამოიყენონ და ქვეყანა არიონო...


ირაკლი ფირცხალავა

ზოგადად — რატომ უნდა მოეკლათ იური ვაზაგაშვილი ახლა, როდესაც ზურას მოკვლიდან წლების განმავლობაში არ გაჩერებულა, რასაც იმთავითვე ამბობდა, იმასვე იმეორებდა და არ მოუკლავთ? მოწმე, რომლის არსებობაც ასევე წამიერად აიტაცეს, ცნობილი იყო, პროკურატურის მიერ დაკითხულიც და ბოლო-ბოლო, „კორტების საქმეზე“ თუ ვინმე ჰყავდათ მოსაკლავი ამ მკვლელობის ორგანიზატორ-შემსრულებლებს, მოწმე იყო მოსაკლავი, არა იური ვაზაგაშვილი? (სხვათაშორის, იური ვაზაგაშვილი ეჭვობდა, რომ მთაწმინდა-კრწანისის სამმართველოს ყოფილი უფროსი ინსპექტორ-გამომძიებელი, შემდეგ ორგანიზაცია „საქართველოს არწივის“ ხელმძღვანელი გელა მებონია, რომელიც ირაკლი ფირცხალავას ზურაბ ვაზაგაშვილის მკვლელობაში ადანაშაულებდა, 2013 წლის დეკემბერში, მოსკოვში, ოფიციალური ინფორმაციით თვითმკვლელობით გარდაცვლილი, სწორედ „კორტების საქმის“ გამო გამოესალმა სიცოცხლეს).

7 თებერვალს მათ სახლში ჩატარდა ჩხრეკა და საქათმის სახურავიდან ამოიღეს 3 ხელყუმბარა (ტელეფონები და ავტომანქანა „ნივა“). ნუთუ გასაოცრად არავის ეჩვენება, რომ დამნაშავემ საცხოვრებელი არ „გაასუფთავა“? ან, 6 თებერვალს ადამიანს იბარებენ „ვაზაგაშვილის საქმესთან“ დაკავშირებით (დნმ-იც აუღეს), ანუ ერთგვარად ეჭვმიტანილია და ხელყუმბარებს საქათმეში ტოვებს? ახლა დნმ-ზეც ვთქვათ — სტაჟიანმა დივერსანტმა სოსანაშვილმა იმდენი არ იცის, რომ დნმ-ის აღმოჩენა შესაძლებელი იქნებოდა ფალიის სახელურზე? (მითუმეტეს, რომ საქართველოსი დნმ-ის ანალიზი კეთდება. აქ მნიშვნელოვანია ისიც, რომ დნმ-ის პროფილების მონაცემთა ბაზა არ არის, ანუ თუ სავარაუდო ეჭვმიტანილი არ ჰყავს გამოძიებას, დმნ-ის ანალიზით ვერ ჩამოუვლი სამ მილიონ ადამიანს, ამიტომ კიდევ რაღაც უნდა იყოს დამატებით, რომ წრე მნიშვნელოვნად დავიწროვდეს, და აი, სატელეფონო ზარიც!) სულელი გამოდის გაქნილი დივერსანტი და „მხედრიონელი“ და კიდევ უფრო სულელი იური ვაზაგაშვილის მკვლელობის შემკვეთი, ასეთი ხმაურიანი საქმის შესრულება რომ დაუვალებია? თუმცა, საკითხავია, ვის სჯერა, რომ სოსანაშვილია სულელი, კაცი, რომელიც ძალიან კარგად ფლობს იარაღსა და ტექნიკას, საქმის შემკვეთი ან ორივე ერთად?

გასაოცარი იყო მთავარი პროკურორის მოადგილის ფრაზები, რაც მკვლელის შეცდომას ეხებოდა: — „მოგეხსენებათ, სახელურის ფალიაზე შეინიშნება საიზოლაციო ლენტის გადაკვრის კვალი, ამ ლენტის ერთი მხარე არის წებოვანი... ასეთი ადამიანები რეზინით ან ძაფით აბამენ თავიდან აირიდონ გაუთვალისწინებელი აფეთქებები. ამ შემთხვევაში მკვლელმა გამოიყენა საიზოლაციო ლენტი და სწორედ მის წებოვან ნაწილზე დარჩა დნმ-ის კვალი. ეს არის მკვლელის შეცდომა, დასამალი არ არის, გაგვიმართლა.“

რა ტექსტია, სხვას ასწავლიან რომ ასეთი შეცდომა აღარ დაუშვან? და მეორე — იქნებ სულაც არ არის მკვლელის შეცდომა, ისევე როგორც საქათმეში შენახული ხელყუმბარები, ირაკლი ფირცხალავასთან ნათლისღების დღესასწაულის მისალოცად დარეკვა, ფბ-შექება „კარგი კაცი და პოლიციელი ხარ“ და მსგავსი წვრილმანები სწორედაც რომ შეგნებულად არის თვალსაჩინოდ დატოვებული, რომ პირდაპირ ირაკლი ფირცხალავას დაედოს ხელი და არა სხვა ვინმეს?

ადვოკატი ირმა ჭკადუა აცხადებს, სოსანაშვილს შემთხვევის ადგილიდან რამდენიმე წუთში განხორციელებული აქვს ზარი შემთხვევის ადგილზე არსებული ანძიდან, რაც ერთ-ერთი მთავარი მტკიცებულებაა რომ სოსანაშვილი იქ იმყოფებოდაო...

ყველა შემთხვევაში, სოსანაშვილი-ფირცხალავას გვარები ერთმანეთს გადაება, რადგან თურმე 19 იანვარს ნათლისღების მისალოცად სოსანაშვილმა დაურეკა მობილურზე ფურცხალავას, 20-ში კი ფირცხალავამ გადაურეკა, ვინ ხარ რომ მირეკავდიო? — ასე ამბობს სოსანაშვილის დაცვა. თუ ეს მართლაც ასეა და დაცვა არ ცრუობს (რაც გამორიცხული არ არის), არ ჰგავს ეს რეკვები შემკვეთ-შემსრულებლის ურთიერთობას, პირიქით, იმ აზრს ამყარებს, რომ კი, სოსანაშვილი შემსრულებელია, მაგრამ დამკვეთად ფირცხალავა უნდა დასახელდეს, უბრალოდ, ახლა სიტყვა იმ ფირცხალავაზეა, რომელსაც გარეთ მისთვის ძვირფასი ადამიანები ჰყავს უპატრონოდ დატოვებული... დიახ, უპატრონოდ, რადგან ჩადენილი ავკაცობების გამო სალხში კაცი არაა მისი თანამგრძნობი, პირიქით, ხოლო თანაგუნდელები „ნაცხელისუფლებიდან“ და კოლეგები, თვით „არა მკითხე არასამთავრობო ელიტაც“ კი, საეჭვოდ არიან გასუსულები არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართალდამცავთა დაცვის ლიგის“ ბოსისთვის ერთი სიტყვის შესაწევადაც (ერთი, ზაზა ჭაია შერჩა, ისიც, ალბათ, იმიტომ, რომ მის თანამონაწილედ და თანამოაზრედ სახელდება ბნელ საქმეებში და კიდევ — ირაკლი ქადაგიძე).


გია სოსანაშვილი

დაცვის მხარე რომ ყველა საშუალებით იცავდეს თავის კლიენტს, რა გასაკვირია, მაგრამ ის, რომ სოსანაშვილი ფირცხალავას ერთ-ერთი ყველაზე ერთგული თანამშრომელი იყო, მასთან ოჯახშიც უქეიფია, არაერთი უკანონობა აქვთ ერთად ჩადენილი და მხოლოდ სამსახურებრივი ურთიერთობა არ აკავშირებდათ, გამორიცხავს დაცვის ნათქვამს, რომ 20 იანვარს მხოლოდ იმიტომ გადაურეკა ფირცხალავამ სოსანაშვილს იური ვაზაგაშვილის აფეთქებიდან მცირე დროში, რომ ეკითხა, ვინ ხარო? თუ მათი მეგობრობის ამბავიც გაბუქებულია მავანთა მხრიდან მედიაში? — რას გაიგებ? ზურაბ ჟვანიასაც ჰყავდა მეგობრები...

უბრალოდ, ბევრი კითხვა იბადება და თან, იმდენად თვალსაჩინოდ და მარტივად იდება იური ვაზაგაშვილის მკვლელობის შემკვეთად ყველასგან საეჭვოდ გარიყული ირაკლი ფირცხალავას პიროვნება, რაგინდ მასიურად საძულველი იყოს, ყველანაირ ვერსიას უჩნდება არსებობის საფუძველი.

მედიასაშუალებით გავრცელდა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომ გამოძიებამ ამოიღო სოსანაშვილფირცხალავას მიმოწერა ვაზაგაშვილის მკვლელობამდე, მაგრამ ტექსტი დაშიფრულია და მისი გაშიფვრა ამ დრომდე ვერ მოხერხდა. გადასარევი ამბავია, ჯერ რას ნიშნავს „დახურულმა წყარომ მოგვაწოდა ინფორმაცია“, რატომ არ კითხულობს ვინმე ვინ ჯანდაბაა ეს დაუსრულებელი „წყარო“ ყველაფრიდან რომ ჟონავს, მითუმეტეს, როცა საქმე მკვლელობას ეხება და მეორე — თქვე კაი ხალხო, „ფესტოს დისკო“ გაიშიფრა და თუ მართლა არსებობს ასეთი დაშიფრული მიმოწერა, მისი გაშიფვრა რაღა გახდა?

ასევე — რას ნიშნავს „ანონიმი წყარო“, რომლის ინფორმაციითაც 19 იანვარს სოფელ ყარაფილაში შუქი გათიშული იყო? (სოსანაშვილმა დაახლოებით პირველ საათზე სასაფლაოსგან მოშორებით გააჩერა მანქანა და ისე მივიდა სასაფლაოზე, პირისპირ არავინ შეხვედრია) „წყარო“ რათ უნდა იმის გარკვევას, მართლა იყო თუ არა შუქი გათიშული და თუ იყო, ვის ევალება იმის ახსნა-განმარტება რატომ, რა აუცილებლობით იყო გამოწვეული, ან ვისი მითითებით გათიშეს შუქი?

ასეა თუ ისე, გიორგი სოსანაშვილს დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობა ედება ბრალად (და არა ტერაქტი), რაც 11-იდან 14 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. მისმა დაკავებამ საზოგადოების აზრი გაჰყო, ნაწილი ფიქრობს, რომ დანაშაული ფაქტობრივად გახსნილია, მხოლოდ შემკვეთის გამოვლენაა დარჩენილი, ნაწილი კი ფიქრობს, რომ არაფერიც არ არის გარკვეული...

ძალიან ცუდია, რომ ხალხი ეჭვიანი გახდა, მაგრამ არც გაემტყუნებათ, რადგან თვლიან, რომ მახინჯი თანაცხოვრება დამნაშავე ძალასთან, სახელად კოჰაბიტაცია, არ და ვერ დასრულდა...

დასაწყისშივე აღვნიშნეთ, რომ ირაკლი ფირცხალავა მზად იყო „კორტების საქმე“ მხოლოდ საკუთარ თავზე აეღო, მაგრამ აიღებს კი საკუთარ თავზე იური ვაზაგაშვილის მკვლელობას, კიდევ უფრო დაიმძიმებს ბრალს მკვლელობის ორგანიზების ბრალდებით? ასევე, საინტერესოა, სოსანაშვილი ბოლომდე უარზე იქნება, არ აღიარებს ბრალს თუ დამკვეთის ვინაობის დასახელებაც შეკვეთილი აქვს?

და უმთავრესი — დავუშვათ, ირაკლი ფირცხალავას იმდენად ჭკვიანად მიაჩნია თავი, რომ იფიქრა, სწორედაც რომ ჩემზე არ იფიქრებენო, მაგრამ რაში აძლევდა ხელს იური ვაზაგაშვილის მოკვლა?

გიორგი სოსანაშვილს გაუფრთხილდით, სხვა მნიშვნელოვანი მოწმეების მსგავსად მოულოდნელად რაიმე არ მოუვიდეს...

**გიორგი ჩხეიძე**

# ვაგზლის მოედანი, რომელიც დიდ ბაზრობად იქცა

თბილისში „ვაგზლის მოედანს“ მხოლოდ ძველი სახელი შემორჩა, თორემ თამამად შეგვიძლია დიდ ბაზრობად მოვიხსენიოთ. სადგურის მოედანზე არსებულმა მიწისქვეშა გადასასვლელმა თავისი ძირითადი ფუნქცია დიდი ხანია დაკარგა. და ქვეითად მოსიარულეებს მანქანების გარღვევა უწევთ. ბაზრობის მიწისქვეშა გადასასვლელში არსებობა იქაურ მოსახლეობას შედარებით ნაკლებ დისკომფორტს უქმნის.

სასტუმრო „კოლხეთის“ გვერდით, დეკემბერში სულ რამდენიმე დღეში წამოჭიმეს შუშის მაღაზიები. საამისოდ უცნობმა მეპატრონეებმა თავიანთი კონსტრუქციები გზის სავალი ნაწილის მიჯნაზე და ტროტუარზე განათავსეს. ამას გარდა, სრულიად ჩაკეტეს შენობასთან მისასვლელი. სასტუმროს პირველ სართულზე განთავსებულია აფთიაქი, მაღაზია „ნიკორა“ და სხვა სავაჭრო დაწესებულებები. იმის გარდა, რომ ჩახერგილია მისასვლელი, გზის სავალ ნაწილზე არის მანქანის გაჩერების ამკრძალავი ნიშანი. როგორ უნდა მიუდგეს დისტრიბუტორი სავაჭრო ობიექტს, ჯერ არავინ იცის.

„რა ვქნათ, ბატონო, როგორც შეგვეძლო, გავაპროტესტეთ. მერიაში ვიჩივლეთ, დედაქალაქის საკრებულოში ალეკო ელისაშვილსაც მივმართეთ დასახმარებლად, მაგრამ დღემდე პასუხი არავისგან მიგვიღია, არც არავინ მოსულა. თქვენ დისტრიბუტორებზე მკითხეთ, თავისთავად გვიძნელდება პროდუქციის შემოტანა, თუმცა როგორღაც ვახერხებთ. პროდუქციის შემოტანა იქით იყოს, მაგრამ ღმერთმა დაიფაროს, რაღაც უბედური შემთხვევა რომ მოხდეს, თუნდაც ხანძარი, სპეც-





ტექნიკა შენობასთან, ფაქტობრივად, ვერ მოვა“, — გვითხრა „ნიკორას“ მენეჯერმა, ქალბატონმა მარინამ.

სადგურის მოედნის მხარეს, სასტუმროს შენობის გაყოლებაზე, ჯერ კიდევ შარშან ნოემბერში დააპირეს მსგავსი შუშის კონსტრუქციის ჩადგმა, ადგილიც შეარჩიეს — გამწვანების ზოლი. კორპუსის მოსახლეობამ სასტიკი პროტესტი გამოთქვა და არ მისცა ნება, მშენებლობა დაეწყოთ. კონსტრუქციის დადგმის შემთხვევაში რამდენიმე მრავალწლოვანი ნაძვი უნდა მოეჭრათ. „ისე გავაკეთებთ, რომ ხეებს არ მოვჭრითო“, არწმუნებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას მომხვდურები. თუმცა მოსახლეობამ არ დაუჯერა მათ ზღაპრებს (როგორც შემდეგ გამოჩნდა, სამართლიანადაც) და სასამართლოშიც შეიტანა სარჩელი. სასამართლომ მოსახლეობა გაამართლა და მშენებლობა აკრძალა.

სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად, ერთ მშვენიერ დილას იქაურ მოსახლეობას რკინის შეკრული ჩარჩოკონსტრუქცია დახვდა. ამასთან, კონსტრუქციაში ერთბაშად სამი მრავალწლიანი წიწვოვანი ხე მოექცა. როგორც გვითხრეს, მომხვდური მშენებლები ღამის 4 საათზე მისულან და სასწრაფოდ დაუმონტაჟებიათ კონსტრუქცია. ფაქტმა კიდევ უფრო გააღიზიანა როგორც მოსახლეობა, ასევე შენობაში არსებული დაწესებულებების თანამშრომლები.

„შარშან პაპანაქება სიცხეში ამ ხეებს ჩემი ხელით ვრწყავდი, არ გამხმარიყო. ხომ ხედავთ, აქ მთელ ქუჩაზე მხოლოდ რამდენიმე ხეა, რომელიც ცოტაოდენ შეღავათს გვაძლევს აქ მომუშავეებსა და მოსახლეობას“, — გვითხრა ერთ-ერთმა მეწარმემ. მოსახლეობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არც ამჯერად მისცეს მშენებლობის დამთავრების ნება. მრავალწლოვანი ნაძვები კი დღესაც რკინის კონსტრუქციის ტყვეობაში რჩებიან და ელოდებიან შესაძლო სასიკვდილო განაჩენს.

გასაგებია, რომ სასტუმრო „კოლხეთში“ მცხოვრები, ძირითადად სამაჩაბლოდან დევნილები ადგილობრივების მსგავსად აშკარად ვერ გააპროტესტებდნენ შუშის სავაჭრო დაწესებულებების მშენებლობას. მათ ყოფილი ხელისუფლება ლამის ყოველდღიურად ემუქრებოდა გამოსახლებით. ამიტომ ახლაც დუმილს ამჯობინებენ. თუმცა კერძო საუბრებისას ისინიც უკმაყოფილოები არიან. გაკვირვებას იწვევს დედაქალაქის მმართველების, საკრებულოს წევრების დუმილი. არჩევნებამდე გვიმტკიცებდნენ, ხალხის სამსახურში ვიქნებითო. სამწუხაროდ, დღეს სხვა რეალობა გვაქვს. ბატონ ალეკო ელისაშვილს, რომელსაც „ნიკორას“ წარმომადგენლებმა მიმართეს, ელემენტარულად პასუხიც კი არა გაუცია მათთვის.

# „ნაციონალები“ ისევ გვისმენენ?

გასულ კვირას „ნაციონალური მოძრაობის“ ცენტრალურ ოფისში ბრიფინგი პარლამენტარმა აკაკი მინაშვილმა გამართა. დეპუტატმა ჟურნალისტებს წარუდგინა ზუგდიდში ფარულად ჩაწერილი სატელეფონო საუბრები. ამჯერად ბრიფინგის

## ეს შენ გეხება

თემას გვერდს ავუვლით, რამდენადაც „ნაცმოძრაობისთვის“ დამახასიათებელი სულისკვეთებით გაიმართა და ტრადიციულად ხელისუფლების კრიტიკას დაეთმო.

ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა, თუ როგორ მოიპოვა პარლამენტარმა ფარული ჩანაწერები. დღევანდელი კანონით ფარული მოსმენები მოსამართლის ნებართვით ხორციელდება. საკითხავია, ჰქონდათ თუ არა მოსამართლის ნებართვა მათ, ვინც ფარული ჩანაწერები განახორციელა? ან თუ ჰქონდა, ვინ, როდის და რა საჭიროებიდან გამომდინარე გასცა? საერთოდ, მიყურადება სამართალდამცველთა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ხორციელდება. ძნელი დასაჯერებელია, რომ „ნაცმოძრაობას“ წინასწარ სცოდნოდა, ვინ ვის დაურეკავდა და რა თემაზე ექნებოდათ საუბარი. კითხვები, იცოცხლეთ, ბევრია, მაგრამ, სამწუხაროდ, პასუხს არავის გვაძლევს.

„ნაცმოძრაობა“ ერთი უბედურებაა, მაგრამ რატომ სდუმან არასამთავრობო უფლებადამცველები, ეს არის საკითხავი. მათგან არავის უკითხავს, თუ როგორ განახორციელეს ფარული ჩანაწერები. მათგან არავის გაუპროტესტებია ის უმსგავსობა, რასაც კერძო საუბრების მიყურადება ჰქვია. დაუჯერებელია, რომ ჩანაწერი სამართალდამცველებს განეხორციელებინათ. გამოდის, რომ მოსასმენი აპარატურა კერძო პირების ხელშია და ნებისმიერ ადამიანს მოუსმენენ. არასამთავრობო ორგანიზაციები და, მათ შორის, „საია“, დუმს. მათი ლოგიკით, რაც არ შეიძლება სახელმწიფო სტრუქტურებისთვის, დასაშვებია „ნაცმოძრაობის“ წევრებისთვის. ერთი ვაი-ვიში ატეხეს ბიძინა ივანიშვილის კრიტიკაზე არასამთავრობო ორგანიზაციების მისამართით. „ნაცმოძრაობა“ პირდაპირ გვეუბნება გიყურადებთო, მაგრამ ამის შესახებ ჩვენი „უფლებადამცველი“ არასამთავრობოები სდუმან, გამოდის, რომ „ნაცმოძრაობასთან“ მჭიდრო კავშირში არიან.

გაუგებარია ჩვენი კოლეგა-ჟურნალისტების პოზიციაც, რატომ ახლა არ აპროტესტებენ ფარულ მოსმენას, როდესაც კანონდარღვევის ფაქტი აშკარაა. სავარაუდოდ, ისინიც მხოლოდ თავიანთ პიარზე ყოფილან ორიენტირებულნი.

სამწუხაროდ, არც პარლამენტის წევრებს მოუთხოვიათ პასუხი თავიანთი კოლეგისთვის, როგორ და რატომ მოიპოვა და გაასაჯაროვა კერძო საუბარი ფარულად. ჩვენი მოკრძალებული აზრით, იმ შემთხვევაზე დეპუტატებს იურიდიულ და ადამიანთა უფლებათა დაცვის კომიტეტებში უნდა ემსჯელათ, ხოლო ქვეყნის პროკურატურას, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად, დაეწყოთ მოკვლევა, ვის აქვს მოსასმენი აპარატურა, რომლებითაც მართლაც ყველას გვისმენენ.

გვერდი მოამზადა
გია ბურდულმა
551 71 27 07



# საზღვარს მიღმა აღმოჩენილი ნამდვილი საქართველო



ახალგაზრდულ მოძრაობა „დავითიანნთან“ არსებული კულტურული მემკვიდრეობის კომიტეტი 5 და 6 მაისს იმყოფებოდა ისტორიულ ჰერეთში, დღევანდელ აზერბაიჯანში. ჩვენი ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა ქურმუხის წმ.გიორგის სახელობის ეკლესიის მოლოცვა, იქ არსებული ქართული ძეგლების მონახულება, ფოტო-ვიდეო მასალის გადაღება.

ახალგაზრდებს კარგად გვესმის, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა როგორც საზღვრის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. აზერბაიჯანში ვიზიტიც სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა – მოგვენახულებინა ქართული ძეგლები, რომელებსაც „მოძმე'' აზერბაიჯანი ალბანურ ძეგლებად ნათლავს და რაც არ უნდა სამწუხარო იყოს, ქართული მხარეს ჯერჯერობით არანაირი რეაგირება არ მოუხდენია აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით. ჩვენი მისია გარკვეულ სირთულეებს და რისკებს შეიცავდა, თუმცა თითოეულ ჩვენგანს ეს ყოველივე კარგად ჰქონდა გაანალიზებული და მზად ვიყავით სირთულეების დასაძლევად. პირველი დაბრკოლება შეგვექმნა საზღვარზე აზერბაიჯანული მხარის მხრიდან - ჩვენი ჯგუფის ერთ-ერთ წევრს სომხეთის საზღვრის გადაკვეთის გამო არ აძლევდნენ აზერბაიჯანში შესვლის უფლებას.



ღამის გათენებას სასტუმროში ვაპირებდით, რადგან არ გვინდოდა პრობლემები შეგვექმნა იქ მცხოვრები ქართული ოჯახებისთვის, რადგან მათ ქართველების მასპინძლობა ძალიან დიდ პრობლემას უქმნის. ამის გამო ისინი უკიდურეს ფსიქოლოგიურ, მორალურ და სოციალურ ზეწოლასა განიცდიან უშიშროების მხრიდან. თუმცა მოხდა სრულიად საპირისპირო რამ, ჩვენ გვიმასპინძლა იქაურმა ქართულმა ოჯახმა, იმის მიუხედავად, თუ რა საფრთხე შეიძლება შექმნოდათ მათ ამის გამო. მოგეხსენაბათ, ქართველები ერთ-ერთი, რითაც ვიწონებთ თავს, ეს სტუმარ-მასპინძლობა და სტუმრის განსაკუთრებული სიყვარულია. თუმცა ჰერეთში ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ოჯახი, რომელმაც ჩვენ გვიმასპინძლა, პირველად სწორედ სტუმრობის დღეს გავიცანით, მაგრამ მიგვიღეს, როგორც ძალიან დიდი ხნის ნაცნობები, ოოჯახის დიასახლისმა კი თითოეული ჩვენგანი, როგორც საკუთარი შვილი. ამ ოჯახში მცხოვრებმა ჩვენმა თანატოლებმა კი უდიდესი სიყვარული და სითბო გამოხატეს ჩვენდამი და ორი დღის მანძილზე მხოლოდ იმაზე ფიქრობდნენ, როგორ ესიამოვნებინათ ჩვენთვის. ვერც ერთი სიტყვა ვერ გამოხატავს მადლიერებას, რომელსაც ჩვენ ვგრძნობთ ამ ოჯახისადმი.

მასპინძელი ოჯახის დახმარებით ჩვენ ჩასვლის დღესვე შევძელით კახში მდებარე ერთადერთი მოქმედი წმ.გიორგის სახელობის და ტაძრის წინამძღვართან გასაუბრება. მამაოსთან საუბრის შემდეგ იმედი გადაგვეწურა, რომ ქურმუხს ქართული ძეგლის სტატუსი დაუბრუნდება, თუმცა გულის სიღრმეში მაინც მჯერა, რომ აუცილებლად დადგება დრო, როცა ეს მოხდება. სამწუხაროდ, მარტო ქურმუხს არ ეხება ეს პრობლემა, ყველა ქართული ძეგლი, რომელიც მე-19 საუკუნემდეა აშენებული, მსგავსი პრობლემის წინაშე დგას – ყველა ძეგლი ტურისტულ ტრაფარეტზე მოხსენიებულია ალბანურ ძეგლად. კახში მდებარე კიდევ ერთი ეკლესია კი გადაკეთებულია მუზეუმად. საქართველოში კი მოქმედებს 311 მეჩეთი. საქართველოს მთავრობა აბსოლუტურ მხარდაჭერას უცხადებს მათ. აზერბაიჯანის „მოძმე'' მთავრობა აბსოლუტური წნეხის ქვეშ ამყოფებს იქ მცხოვრებ ქართველებს. „კიდევ ერთ-ერთი მწვავე პრობლემა - სკოლებში იკრძალება საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლა. დღესდღეობით იქ მოქმედებს მხოლოდ 11 ქართული სკოლა, სადაც ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილები კვირაში მხოლოდ 2 საათია. საქართველოში მოქმედებს 240-მდე აზერბაიჯანული სკოლა, სადაც აზერბაიჯანული ენა კვირაში 5 საათია, ქართული ენა კვირაში მხოლოდდ2 საათი. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს აზერბაიჯანის ..კეთილმეზობლურ'', „კეთილმეგობრულ'' დამოკიდებულებას საქართველოსა და ქართველებისადმი.

სტუმრობის მეორე დღეს, 6 მაისს, გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულზე წირვას კახში მდებარე წმ.გიორგი ეკლესიაში დავესწარით, რომელიც ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა აღავლინა. თითოეული ჩვენგანი ძალიან ამაყი იყო, რადგან წირვას ვესწრებოდით მუსლიმანურ ქვეყანაში, რომელსაც ქართველი სასულიერო პირები აღავლენდნენ ქართველებით სავსე ტაძარში. ტაძარი შიგნიდან ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. მისული მომლოცველები სანთლებს პირდაპირ კედლებზე ანთებენ, მიუხედავად იმისა, რომ იქ რამდენიმე სასანთლეა. კედლები ნაწერებითაა აჭრელებული – განსაკუთრებით საკურთხეველი. ტაძარი მთელი წლის მანძილზე ღიაა, არ იკეტება და ნებისმიერ დროს ნებისმიერს მსურველს შეუძლია იქ შესვლა და იმის გაკეთება რაც მოესურვება. სწორედ ამის გამო იქ ვერანაირ ხატს ვერ ტოვებენ, რომ ვინმემ არ დააზიანოს. სასულიერო პირებს კი ქურმუხზე ასვლის და პარაკლისის გადახდის უფლება წელიწადში მხოლოდ 2-ჯერ - 6 მაისს და 23 ნოემბერს - გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულზე ეძლევათ. საქართველოში კი წარმოუდგენელია რომელიმე მოლას რომელიმე მეჩეთში ვადები დაუწესო, ან აუკრძალო რიტუალის ჩატარება...

მკაცრი გაფრთხილების მიუხედავად, ჩვენ მაინც გავშალეთ ქართული დროშა ქურმუხზე და მის ფონზე ვუმღერეთ საქართველოს იქ, სადაც იკრძალება ყველაფერი ქართული. იმ წუთში ძალიან ბევრ ქართველს უნდოდა ჩვენთან მოსვლა, ჩახუტება, დალაპარაკება, მაგრამ მათ აბრკოლებდათ თვალები, რომლებიც მათ ყველა ნაბიჯს აკონტროლებდნენ და არ აძლევდნენ ჩვენთან მოსვლის საშუალებას, თუმცა ხშირად თვალები ბაგეებზე მეტყველია, განსაკუთრებით ცრემლიანი.

**მზია ჯავშანაშვილი,**
**სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი**

# ბედის ანაბარა დარჩენილი ძალადობის მსხვერპლი ბავშვები

ბავშვთა მიმართ ძალადობა ერთ-ერთი იმ პრობლემათაგანია, რომელიც ბოლო პერიოდში ყურადღების მიღმა დარჩა. კვლევამ,რომელიც ჩვენს ქვეყანაში 2007 წლის შემდეგ არც კი ჩატარებულა, სავალალო შედეგები აჩვენა .გაეროს ბავშვთა ფონდის (იუნისეფის) მიერ 2007 წელს წარმოდგენილი კვლევის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 60% თვლის, რომ ოჯახში აღზრდის მკაცრი მეთოდების გამოყენება უფრო შედეგიანია, ვიდრე არაძალადობრივი მეთოდები. გამოკითხულთა 94%–ს ესმის, რომ ბავშვებისთვის ისიც კი საზიანოა, როდესაც ოჯახში ძალადობის მომსწრეა, მაგრამ 70% თავშეკავებით ეკიდება იდეას „უფლებამოსილი ორგანოები“ ოჯახის საქმეებში ერეოდნენ. უფრო მეტიც, ბავშვთა დაცვის სფეროში მომუშავე პროფესიონალთა (მასწავლებლების, მანდატურების და სოციალური მუშაკების) 60% ფიქრობს, რომ ოჯახის შიდა საქმეები მხოლოდ ამ ოჯახის პირადი საქმეა და სხვები მასში არ უნდა ერეოდნენ.

ბავშვთა ზრუნვის დეპარტამენტში აცხადებენ, რომ მიმდინარეობს აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრა. ჯერ კონკრეტული სტატისტიკა უცნობია, თუმცა ასეთი ბავშვების აღრიცხვა დაწყებულია და შედეგები მალე გახდება ცნობილი. განხორციელდა სხვადასხვა სახის პროექტი არა მხოლოდ თბილისსა და ქუთაისში, არამედ საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტსა თუ ქალაქში. „ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, მოკლე დროში შევძლოთ დაწყებული პროექტის ბოლომდე წარმატებით მიყვანა“, – აღნიშნავენ დეპარტამენტში.

2014 წლის 30 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა დებატები გამართა თემაზე „ბავშვის მიმართ ძალადობა საქართველოში – ვის ეკისრება პასუხისმგებლობა“? სახალხო დამცველმა ხაზი გაუსვა ბავშვთა მიმართ ძალადობის თემით საზოგადოების დაინტერესებას, ისაუბრა ამ



პრობლემის განსაკუთრებულ აქტუალობაზე და სახელმწიფოს მხრიდან სახალხო დამცველის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინების აუცილებლობაზე.დისკუსიამ ცხადი გახადა თემის სიმწვავე და ისიც, რომ ბავშვის მიმართ ძალადობა არაერთ პრობლემურ სფეროს მოიცავს.

ფსიქოლოგები, პედიატრები და სოციოლოგები ერთხმად თანხმდებიან, რომ ბავშვებზე ძალადობა უკვალოდ არ ქრება და შედეგად ვიღებთ მათ ხშირ სიკვდილიანობას, მომავლის შიშს, კონფლიქტებს, აგრესიულობას ,გონებრივ ჩამორჩენილობას, სუიციდის მცდელობებს. ბავშვებს ხშირად უვითარდებათ სასკოლო უნარების (მეხსიერება და ყურადღება) დაქვეითება. ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს



უჭირთ ადაპტაცია, ექმნებათ ფიზიკური და ფსიქიკური პრობლემები. გარდატეხის ასაკში ეძალებიან ალკოჰოლს, ხდებიან ნარკოდამოკიდებულნი, ექცევიან კრიმინალური სამყაროს გარემოცვაში. შინაგანი პროტესტის გამოხატვის მიზნით, ბავშვები, ხშირად, არასწორ გზას ირჩევენ, რასაც საბოლოოდ სავალალო შედეგი მოაქვს.

17 წლის მოზარდი, ზედმეტსახელად „სასკე“, ბავშვთა სახლის ერთ–ერთი აღსაზრდელია. ის ყვება, რომ დედა ბავშვობაში გარდაეცვალა, მამა კი წამალს იკეთებდა, რის შემდეგაც ხშირად სცემდა მას. „მიუხედავად იმისა, რომ მამა ცუდად მექცეოდა და ძალიან ხშირად მცემდა, ვცდილობდი მამაშვილური თუ არა, მეგობრული კონტაქტი მაინც დამემყარებინა, მომეკითხა, მაგრამ ესეც არ გამოვიდა. ბოლოს მან თავი ჩამოიხრჩო. შემდეგ ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა. ნევროზი მაქვს. გუშინაც სასწრაფო იყო ჩემთან, გულ-მკერდის არეში ტკივილები მეწყება და სუნთქვა მეკვრის.ეს ალბათ ჩემი წარსულის ბრალია“.

სტატისტიკური მონაცემების არარსებობის გარდა, კიდევ ერთი პრობლემა იკვეთება. ბავშვები სრულწლოვანობის მიღწევისთანავე ტოვებენ ბავშვთა სახლს,რის შემდეგაც ისევ ქუჩაში უწევთ ცხოვრების გაგრძელება. „მე ძალიან ხშირად ვფიქრობ ჩემს მომავალზე. რამდენიმე თვეში 18 წლის გავხდები და ისევ ქუჩაში მომიწევს ცხოვრების გაგრძელება,რადგან არავინ მყავს ისეთი, ვინც შემიფარებს“, – ამბობს „სასკე“.

ვინ და რა ბერკეტებით ზრუნავს ძალადობის მსხვერპლ ბავშვებზე? რითი უნდა იარსებონ იმ ბავშვებმა, რომლებიც 18 წლის ასაკში ტოვებენ ბავშვთა სახლებს? ამ კითხვებზე პასუხი ისევ უცნობია.

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების სახით არაერთი არასამთავრობო ორგანიზაცია გვხვდება, სადაც ჩართულები არიან ახალგაზრდა მოქალაქეები. ჩვენს ქვეყანაში არსებობს ბავშვთა დახმარების ცხელი ხაზი ე.წ. „ჰელპლაინი“, რომელიც „ბავშთა დახმარების ცენტრის“ ფარგლებში არსებული, ბავშვთა უფლებების დაცვისკენ ორიენტირებული სერვისია. სერვისის მიზანია მინიმუმამდე დაიყვანოს ბავშვის დაცვის და უსაფრთოხოების დარღვევის რისკი, თუმცა, სანამ მოსახლეობის 60% დასაშვებად მიიჩნევს აღზრდის ძალადობრივი მეთოდების გამოყენებას და ძალადობის მსხვერპლი ბავშვისთვის დახმარების გაწევას სხვისი ოჯახის საქმეში ჩარევასთან გააიგივებს, ეს ორგანიზაციები ვერაფერს გახდებიან და პრობლემა კვლავ პრობლემად დარჩება.

**მარიამ გაბისონია,**
**ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი**



ახლახან გამომცემლობა „მერიდიანმა“ გამოსცა ცნობილი ქართველი მწერლისა და პუბლიცისტის **ციალა არდაშელიას** ისტორიულ-მხატვრული ნარკვევებისა და წერილების კრებული „დაშთომილ ვართ ყურესა ამას...“

# „დაშთომილ ვართ ყურესა ამას...“

„წინამდებარე კრებულში თავმოყრილია ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში დაწერილი ისტორიულ-მხატვრული ნარკვევებისა და პუბლიცისტური წერილების ერთი ნაწილი. „მთიებთა სამაია“ („საუნჯე სათნოებისა“) პირველად 1986 წ. გამოქვეყნდა. გამომც. „ნაკადულმა“ — მიზეზთა გამო იგი ალა-ალაგ შეკვეცილი სახით და იმ დროისთვის ერთობ მცირე ტირაჟით დასტამბა. თუმცა, რომ არა პოეტ მორის ფოცხიშვილის თანადგომა (იმხანად „ნაკადულის“ დირექტორი იყო), წიგნი შეიძლება საერთოდ არც დაბეჭდილიყო. ლიტერატურისმცოდნე რეზი თვარაძის აზრით, ეს ნარკვევი გამოსვლისთანავე ბესტსელერად იქცა. აწ უკვე შევსებული ნარკვევებისა და წერილების საერთო სათაურად შემთხვევით არ შემირჩევია მე-8 საუკუნის ჰაგიოგრაფის, დიდებული იოვანე საბანისძის სიტყვები „ჰაბოს წამებიდან“, როცა ქვეყანა არაბების შემოსევის გამო — ყოფნა-არყოფნის ზღვარზე იყო, როცა: „ალვირიენით ერსა უცხოსა“. პოეტის თქმით, დასაბამიდან საომარ ლელოდ გადაქცეული საქართველო ჟამიდან-ჟამამდე, ნიკოფსიით დარუბანდამდის რომ იყო გადაჭიმული, დღესაც, როგორც არაერთხელ დაკუწულ-დაჩეხილი, მართლაც მცირე ყურედ თუ აღიქმება თანამედროვე მსოფლიოს თვალში. ანუ ამირანივით იგი კვლავ კავკასიონის კლდეზეა თითქოს მიჯაჭვული და ისევისე გულ-ღვიძლს უკორტნიან გარეშე თუ შინაური ყვავ-ყორნები.

ე. წ. გლობალიზმისა და ინტეგრაციის ეპოქაში, ხშირად — ფსევდოდემოკრატიის ფონზე — საქართველო არა მხოლოდ კიდურებმოგლეჯილ, სისხლმდინარე, გალატაკებულ-გამათხოვრებულ ქვეყანად იქცა, არამედ მას უკვე შიგ გულში აქვს მახვილი გარჭობილი შიდა ქართლის სახით. მართლაც რომ „ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის!“ პარადოქსია თითქოს, მაგრამ ფაქტია, რომ კაციობრიობის ცივილიზაციის ერთ-ერთი უძველესი ფუძის ჩამყრელი — ხორბლის, ვაზის თუ მეტალურგიის სამშობლო, ერთ დროს „ოქროს საწმისის“ მფლობელი, სამი სრულყოფილი დამწერლობის მქონე, ბრწყინვალე საერო თუ სასულიერო ლიტერატურისა და ხელოვნების შემოქმედი, მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერთა სამჭედლო, სარწმუნოებისა და მამულისთვის თავდადებულ უთვალავ გმირთა სამკვიდრებელი ანუ კოლხ-იბერთა მოდგმა-გადაშენების, მიწის პირიდან აღგვის საშიშროების წინ აღმოჩნდა — თანამედროვე გარკვეული ძალების მიერ გეზმიმართული“, — ეს გახლავთ ნაწყვეტი ავტორის წინასიტყვაობიდან. რითაც, ფაქტობრივად, ნათელი ხდება, რა მუხტით და შინაგანი პათოსით შეიძლება იყოს გაჟღენთილი შესანიშნავი მწერლის ეს ნაშრომიც.

ქალბატონი ციალა ერთ-ერთი პირველია უფროსი თაობის იმ მწერალ-შემოქმედთა შორის, რომლებიც ერთი წუთითაც არ ტოვებენ სამშობლოს მაჯისცემას უყურადღებოდ და როგორც ხშირად ასეთ დროს ხდება, არ გამოეპარებათ ხოლმე საფრთხე, რომელიც ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოს წინაშე აღიმართება დროდადრო.

დიახ, მძიმე ჟამი უდგას დღეს საქართველოს. ამ მძიმე ჟამზე, საფრთხეებზე, წარსულის მწარე გაკვეთილების გათვალისწინებაზე, მომავლის გაფრთხილებაზე წერს ციალა არდაშელია ამ წიგნში. ნაშრომში, რომელიც ყველა თაობის მკითხველმა უნდა წაიკითხოს.




**„საერთო გაზეთი“**


# სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)

ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.



წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

ნანა თათარაშვილი: მე ერთ-ერთი იმათგანი ვარ ვინც საკუთარ თავზე გამოსცადა ეს წამალი. სახსრების აუტანელ ტკივილს ვგრძნობდი.

სახალხო მკურალ ირმა სიხარულიძესთან. მეათე სეანსის შემდეგ ტკივილი მთლიანად გამიქრა, აღმიდგა შრომისუნარიანობა, გამიუმჯობესდა სისხლის მოძრაობა.

ქალბატონ ირმასთან განიკურნა ცნობილი მსახიობი ლეილა აბაშიძე, მსოფლიო ჩემპიონი დიტო შანიძე, დამსახურებული პედაგოგი ნანული მელიქიშვილი, რეჟისორი ლილი ჯიქიძე, მწერალი მერაბ შათირი და სხვა მრავალი.

დიტო შანიძე: ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ვარ მძლეოსნობაში. ახალგაზრდობაში რამდენიმე სერიოზული ტრავმა მივიღე. ათასგვარი მკურნალობით თავმობეზრებულს განკურნების დიდი იმედი არ მქონდა. ირმა სიხარულიძესთან 20-დღიანი მკურნალობის შემდეგ კი შედეგი აშკარა იყო და მეც ვაღიარე ამ წამლის ძალა.

მანანა ჩხიკვიშვილი: ექიმებმა დამისვეს ართროზის ანუ კოქსართროზის საწყისი ფორმის დიაგნოზი. თხუთმეტდღიანი კურსის შემდეგ მე, ფაქტობრივად, განვიკურნე. მთელი ცხოვრება ქალბატონი ირმას მადლიერი ვიქნები.

**მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:**
**ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან)**
**ტელ: 557 358 900, 34 21 63**


# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*
***მთვარისა კევლიშვილი.***
**ტელ.: 2 79 63 91;**
**0 790 60 64 69;**
**5 93 78 64 69**

* * *

**—რა ვადაში გაქარწყლდება ნასამართლობა?**

-სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლი/ ნასამართლობა/:

1. მსჯავრდებული ნასამართლევად ითვლება გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის მომენტამდე. ნასამართლობა მხედველობაში მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლის-სამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.

2. სასჯელისაგან გათავისუფლებული ითვლება ნასამართლობის არმქონედ.

3. ნასამართლობა გაქარწყლდება:

ა) პირობით მსჯავრდებულისა — გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ;

ბ) თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებულისა — სასჯელის მოხდიდან ერთი წლის შემდეგ;

გ) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა — სასჯელის მოხდიდან სამი წლის შემდეგ;

დ) მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა — სასჯელის მოხდიდან ექვსი წლის შემდეგ;

ე) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა — სასჯელის მოხდიდან რვა წლის შემდეგ.

4. თუ მსჯავრდებული კანონით დადგენილი წესით სასჯელის მოხდისაგან ვადამდე იქნა გათავისუფლებული ან თუ მას სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვალა უფრო მსუბუქი სახის სასჯელით, ნასამართლობის გაქარწყლების ვადა შესაბამისად გამოითვლება სასჯელის ფაქტობრივად მოხდილი ვადიდან ან უფრო მსუბუქი სახის სასჯელის (ძირითადი და დამატებითი) მოხდის მომენტიდან.

5. თუ სასჯელის მოხდის შემდეგ მსჯავრდებული უმწიკვლოდ იქცეოდა, მაშინ მისი თხოვნით სასამართლოს შეუძლია მოუხსნას მას ნასამართლობა ნასამართლობის გაქარწყლების ვადის გასვლამდე.

6. გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლის-სამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.

მუხლი 100. ნასამართლობის გაქარწყლება

იმას, ვინც დანაშაული თვრამეტ წლამდე ჩაიდინა, ნასამართლობა გაუქარწყლდება:

ა) პირობით მსჯავრდებისას — გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ;

ბ) თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებისას — სასჯელის მოხდიდან ექვსი თვის შემდეგ;

გ) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას — სასჯელის მოხდიდან ერთი წლის შემდეგ;

დ) მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას — სასჯელის მოხდიდან სამი წლის შემდეგ;

ე) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას — სასჯელის მოხდიდან ხუთი წლის შემდეგ.

* * *

**— რა შემთხვევაში ისჯება დანაშაულის შეუტყობინებლობა. როგორია სანქცია?**

-თუ პირმა იცის, რომ მზადდება ან ჩადენილია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული და ამის შესახებ არ აცნობებს სამართალდამცავ ორგანოებს, ის დაისჯება დანაშაულის შეუტყობინებლობისათვის.

სანქცია გახლავთ ასეთი: ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა ვადით ორიდან ოთხ წლამდე.

* * *

**— რა არსი შესაგებელი სამოქალაქო საქმეში?**

— შესაგებელი გახლავთ მოპასუხის მიერ სამოქალაქო სარჩელში დასმულ შეკითხვებზე გაცემული პასუხი მოსამართლის მიერ განსაზღვრულ ვადაში.


ავეჯის
გადაზიდვა



593 20 46 87




გამომცემლობა „მერიდიანმა“ გამოსცა მცირეფორმიანი წიგნი „მე, ბიძინა ივანიშვილი“ — მეცენატის პორტრეტი. წიგნის გამომცემელია ოთარ კუსიანი, რედაქტორი — დავით ჭელიძე.

წიგნში შესულია სხვადასხვა ავტორების მიერ ბიძინა ივანიშვილის შესახებ დაწერილი წერილები, ამონარიდები მისი გამოსვლებიდან და წერილებიდან, ასევე ფრაგმენტები სხვა ავტორების წერილებიდან, რომლებიც მის პორტრეტს ქმნიან.

„ჩემი ოცნებაა ისეთი ქვეყანა, სადაც არავის დასჭირდება ლუკმაპურის საშოვნელად სამშობლოდან გადახვეწა და მთელ მსოფლიოში მიმოფანტული ქართველებიც უკან დაბრუნდებიან. ჩემი ოცნებაა ისეთი საქართველო, სადაც ჩვენი დვნილები თავიანთ სახლებში შეძლებენ ცხოვრებას. ჩვენ ვიწყებთ, რათა პენსიონერებს ჰქონდეთ ისეთი პენსია, რომ ღირსეულად ცხოვრება შეეძლოთ. ჩვენ ომისა და შრომის ვეტერანებს პატივი უნდა მივაგოთ და სათანადო სოციალური შეღავათებით უზრუნველვყოთ. ჩემი ოცნება ისეთი ქვეყნის შექმნაა, რომლითაც იამაყებენ ჩვენი თანამედროვენი და მომავალი თაობები!“ — ბრძანებს ბიძინა ივანიშვილი.

წიგნის ბოლო ნაწილში დაბეჭდილია ბიძინა ივანიშვილის მიერ განხორციელებული საქველმოქმედო პროექტებისა და მისი ცხოვრების ამსახველი ფოტოები.

გამოვიდა სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალ „რიწის“ 2015 წლის პირველი ნომერი.

რუბრიკაში „მოყვარეს პირში უძრახე“ დაბეჭდილია ალექსეი თარიას, რეზო ჭეიშვილისა და ზაურ კალანდიას წერილები.

რუბრიკაში „პოეზია“ იხილავთ ემზარ კვიტაიშვილის, გენო კალანდიას, მურმან ხურცილავას, ქეთევან შენგელიას, პაატა შამუგიას და ჯემალ შონიას ლექსებს, ხოლო რუბრიკაში „პროზა“ თქვენ წაიკითხავთ ლალი ბრეგვაძე-კახიანის, თორნიკე გოგნიაშვილის, ზაურ კოდუას მოთხრობებს და აპოლონ ჯინჯოლიას მინიატურებს.

რუბრიკა „ინტერვიუ“ გთავაზობთ შეხვედრას დიმიტრი ჯაიანთან.

რუბრიკაში „პოეტის არქივიდან“ იბეჭდება პოეტ ოთარ მიქაძის ესეისტური ხასიათის წერილები, „ახალ თარგმანებში“ დაბეჭდილია გაბრიელ გარსია მარკესის „იცხოვრო, რომ მოჰყვე“ და მთარგმნელის, ლანა კალანდიას მოსაზრებები მარკესისა და მისი შემოქმედების შესახებ.

რუბრიკაში „საგანძური“ იხილავთ ბეჟან ხორავას წერილს ილორის წმ. გიორგის სახ. ეკლესიის შესახებ, ხოლო რუბრიკა „წერილები“ გთავაზობთ თემურ შავლაძის, მურმან ჯგუბურიას და ნანა ქარდავას წერილებს. ჟურნალის ბოლოს განთავსებულია კულტურის ქრონიკა.





# ქოზიფას მამათა მონასტრის განვითარების ფონდი



დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან
0 901 500 540
თიბისი ბანკი
ა/ნ GE88TB1117236080100001



# რომელ დაავადებებზე შეიძლება მიმართოთ პროფესორ ოთარ წიწილაშვილს?

ბიოლოგ ოთარ წიწილაშვილს ბუნებრივი, ფიტოთერაპიული მეთოდით მკურნალობის ორმოცდაათწლიანი გამოცდილება აქვს. დღეს, როცა კლასიკური მედიცინა ფიტოთერაპიასთან კომპლექსში თანამედროვე მედიცინის განუყოფელი ნაწილი გახდა, მისი მკურნალობის მეთოდები საუკეთესოა. ამიტომ ვისაც არ სურს ქიმიური პრეპარატების მიღება და ბუნებრივი გზით სურს განკურნება, შემდეგი დაავადებების დროს შეგიძლიათ მიმართოთ მას, ესენია:

- სასუნთქი სისტემის ორგანოების
- სისხლძარღვთა სისტემის
- საჭმლის მომნელებელი სისტემის
- შარდსასქესო სისტემის
- ნერვული სისტემის
- სისხლის დაავადებები
- ძვალ-სახსართა სისტემის
- კანის დაავადებები
- თვალის დაავადებები, შაქრიანი დიაბეტი
- ბუნებრივი კოსმეტიკა

ტელ.: 599 53 32 00; 2 14 26 73


# ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** — მთელი თქვენი ძალისხმევა მატერიალისტური პრობლემების მოსაგვარებლად იქნება მიმართული. თავი შეიკავეთ ვალის აღებისგან.

**კურო** — შეეცდებით, აქტიურად ჩაერთოთ როგორც საოჯახო, ისე სამსახურებრივ საქმეში. თუ კონკრეტულ მიზანს დაისახავთ, არ გაგიჭირდებათ საარსებო საშუალების პოვნა.

**ტყუპები** — დროის ამ მონაკვეთში სარფიანად წარიმართება თქვენი ურთიერთობები პარტნიორებთან.

**კირჩხიბი** — მოგემატებათ სასიცოცხლო ენერგია, გამომჟღავნდება თქვენი შემოქმედებითი პოტენციალი. ნუ მოახდენთ ვითარების დრამატიზებას, უმჯობესია გაერთოთ.

**ლომი** — თქვენი ენთუზიაზმი და შემართება საგრძნობლად შემცირდება. ახალი მეგობრები ხელს შეუწყობენ თქვენს ინტელექტუალურ განვითარებას.

**ქალწული** — თამამად შეგიძლიათ დანიშნოთ საქმიანი შეხვედრები და დადოთ ხელშეკრულებები. სულიერ სიმშვიდეს ბუნების წიაღში გასეირნება დაგიბრუნებთ.

**სასწორი** — საქმეებს მოხერხებულად და წინდახედულად წარუძღვებით. წარმატებებს იოლად მიაღწევთ სავაჭრო ბიზნესსა და კულტურულ ღონისძიებებში.

**მორიელი** — ეკონომიკური თვალსაზრისით, ეს კვირა სტაბილური იქნება. ამ დღეებში დადებული ხელშეკრულებები სტაბილური და მომგებიანი გამოდგება.

**მშვილდოსანი** — ეს პერიოდი ხელსაყრელი იქნება სახლის კეთილმოწყობისთვის, მით უფრო რომ სწორედ თქვენს სახლში შეიძლება შედგეს არაერთი საინტერესო შეხვედრა.

**თხის რქა** — მოგეცემათ შანსი, განახორციელოთ თქვენი ძველი ოცნება. შესაძლოა, სამსახურიც შემოგთავაზონ. თამამად შეგიძლიათ, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება სასიყვარულო ურთიერთობებში.

**მერწყული** — თქვენი წარმატება დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად სარფიანად დადებით ხელშეკრულებას.

**თევზები** — დაბრკოლებები გელით პროფესიულ საქმიანობაში, გარშემო მყოფებიც მტრულად იქნებიან თქვენ მიმართ განწყობილი. მაღალია გაუგებრობის ალბათობა, რის გამოც სასურველია, სამომავლოდ გადადოთ ფინანსური ოპერაციები და მნიშვნელოვანი საქმეები.

ISSN 2233-3983
9 772233 398001